

სამოქალაქო განათლება და დემოკრატიის
გამოცდილება პოსტსაბჭოთა ქვეყნებში

საერთაშორისო კონფერენციის მასალების კრებული

Civic Education and Practicies of Democracy in
Post Soviet Countries

International Conference Papers

სამოქალაქო განათლების ლექტორთა ასოციაცია
თბილისი 2017



საერთაშორისო კონფერენციის მასალათა კრებული შექმნილია საქართველოში საარჩევნო პროცესების გაძლიერების პროექტის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდი (IFES). კრებულის გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით. კრებულში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნით მხოლოდ ავტორებს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს სამოქალაქო განათლების ლექტორთა ასოციაციის (CELA), საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდის, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან ამერიკის მთავრობის შეხედულებებს.

The collection of the international conference material was developed in the framework of the Strengthening Electoral Processes in Georgia project implemented by the International Foundation for Electoral Systems (IFES). The edition of the collection is made possible by the support of the American people through the United States Agency for International Development (USAID). The content of the collection are the sole responsibility of the authors and do not necessarily reflect the views of the Civic Education Lecturers Association (CELA), IFES, USAID or the United States Government.

რედაქტორი: მალხაზ მაცაბერიძე

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

პროექტის ხელმძღვანელი: თამარ ქარაია

სამოქალაქო განათლების ლექტორთა ასოციაციის (CELA) აღმასრულებელი დირექტორი

გარეკანის დიზაინი: თინა დავაძე

© ყველა უფლება დაცულია. 2017 CELA. All rights reserved.

© 2017 სამოქალაქო განათლების ლექტორთა ასოციაცია (CELA), 2017

ISBN 978-9941-27-715-3

შინაარსი

ქეთევან ჭკუასელი
თინათინ დოლიძე
“სამოქალაქო განათლება“ საქართველოში - თეორია და
პრაქტიკა7

ინგა მიხანაშვილი
უმცირესობების საკითხი 2012 წლის საპარლამენტო
არჩევნების შემდეგ სახალხო დამცველის ანგარიშების
ანალიზის საფუძველზე.....19

Уршула Маевска
Ольга Дорохина,
Партисипативный бюджет как метод гражданского участия .37

Hokuma Abbasova
ETHNIC MINORITY POLICY OF THE REPUBLIC OF
AZERBAIJAN AND THEIR RIGHT TO GET EDUCATION IN
MOTHER LANGUAGES.....51

ეკა დარბაიძე
სექსუალური შევიწროება საჯარო სივრცეში:
საქართველო და მსოფლიო გამოცდილება60

Sonya Msryan
FACING CIVIC CONSCIOUSNESS: A COMMODIOUS
CONCEPT FOR EMPIRICAL RESEARCH.....84

Beyim Abdulla
ФАКТОРЫ, ВЛИЯЮЩИЕ НА ФОРМИРОВАНИЕ
НАЦИОНАЛЬНОЙ ИДЕНТИЧНОСТИ В СОВРЕМЕННОЙ
ЭПОХЕ В СЕВЕРНОМ КАВКАЗЕ.....95

Tamar Charkviani
Гражданское сознание и дискурс о границах участия
Грузинской Церкви в общественной жизни..... 108

ანა კუჭუხიძე
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის
მიმოხილვა ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობის
დაკავების უფლებასთან დაკავშირებით124

ვლადიმერ ბოჟაძე
სამოქალაქო ჩართულობის მეთოდები დამოუკიდებელ
საქართველოში 139

სალომე დუნდუა
ენისა და განათლების როლი სამოქალაქო ინტეგრაციის
პროცესში154

Content

Ketevan Chkuaseli Tinatin Dolidze Civic education in Georgia – theory and practice.....	7
Inga Mikhanashvili The issue of the national minorities after 2012 Parliamentary elections based on the analyses of the Public Defender’s reports.....	19
Urshula Maevska Olga Dorokhina Participatory Budgeting as a Method of Civil Engagement	37
Hokuma Abbasova ETHNIC MINORITY POLICY OF THE REPUBLIC OF AZERBAIJAN AND THEIR RIGHT TO GET EDUCATION IN MOTHER LANGUAGES.....	51
Eka Darbaidze Sexual harassment in the public space: Georgian and world experience	60
Sonya Msryan FACING CIVIC CONSCIOUSNESS: A COMMODOUS CONCEPT FOR EMPIRICAL RESEARCH	84

Beyim Abdulla	
Influencing Factors of Developing National Identity of Contemporary North Cucasus	95
Tamar Charkviani	
Гражданское сознание и дискурс о границах участия Грузинской Церкви в общественной жизни.....	108
Ana Kuchukhidze	
Review of Georgian Constitutional Court Regarding to the Occupation of the State Position	124
Vladimer Bozhadze	
Methods for the civic engagement: from voting to social activities.....	39
Salome Dundua	
National minorities and educational policy.....	154

ქეთევან ჭკუასელი,
თინათინ დოლიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

“სამოქალაქო განათლება“ საქართველოში - თეორია და პრაქტიკა

სამოქალაქო ცნობიერების ფორმირება პედაგოგიკის მეცნიერებაში ზნეობრივი აღზრდის თემაა. მოზარდში ზნეობრივი უნარების ფორმირება გულისხმობს ზნეობრივი შეგნების, ზნეობრივი შეგრძნების და ზნეობრივი ქცევის განვითარებას. ამ უნარების ფორმირება მიიღწევა მხოლოდ ინტეგრირებული გზით, გამჭოლად, ყველა საგნის შინაარსისა და მასწავლებლის მიზანმიმართული მოქმედებით.

ზნეობრივი განათლების ერთ-ერთ ასპექტს სამოქალაქო განათლება წარმოადგენს. “სამოქალაქო განათლების” სწავლება საქართველოში ამ სახელწოდებით 2006/2007 სასწავლო წლიდან იწყება, როდესაც განათლების სისტემის რეფორმის პროცესში შეიქმნა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ძირეული დოკუმენტი „ეროვნული სასწავლო გეგმა“. მანამდე, სამოქალაქო განათლების პროფესიული საკითხები საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ისწავლებოდა „საზოგადოებათმცოდნეობის“ კურსის სახით, ხოლო სამოქალაქო ცნობიერების ფორმირება ხდებოდა ინტეგრირებულად ზოდატანსაგანმანათლებლო სკოლის საგანთა ციკლის მეშვეობით.

საქართველოში „სამოქალაქო განათლების“ სწავლების საკითხების რაგვარობის განხილვას შევეცდებით ამ საკითხთან

დაკავშირებული განათლების სისტემის სამართლებრივი რეგულაციების ფონზე, კერძოდ, სამოქალაქო განათლების სწავლების თეორიულ საფუძვლებს განვიხილავთ დოკუმენტების - „განათლების ეროვნული მიზნები“, „ეროვნული სასწავლო გეგმა“, „მასწავლებლის პროფესიულ/საგნობრივი სტანდარტი“ - საფუძველზე. ამასთან, დისციპლინის სწავლების ფორმატისა და შინაარსის საკითხებს განვიხილოთ პედაგოგიკის მეცნიერების, კერძოდ, სწავლების დიდაქტიკური პრინციპების პოზიციიდან.

ქართული სახელმწიფოს განათლების პოლიტიკა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში განხილულია ისეთ უზოგადეს დოკუმენტში, როგორცაა **„ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები“**, რომელიც საქართველოს მთავრობამ 2004 წელს მიიღო. ამ დოკუმენტში მკაფიოდაა გაწერილი სახელმწიფოს მიზნები და დაკვეთები ზოგადი განათლების მიმართ, გაწერილია, როგორი, რა ცოდნისა და უნარების, რა ღირებულებების მატარებელი უნდა იყოს მოქალაქე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დასრულების შემდეგ. მოვიტანთ ფრაგმენტს ამ დოკუმენტიდან - “განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ - ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს **ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას** და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში“. მამასადაამე, საქართველოს მთავრობა, გარდა პიროვნების საბაზისო უნარების განვითარებისა, განათლების სისტემის ვალდებულებად აცხადებს საზოგადოებაში არსებობისათვის ისეთი აუცილებელი მოქალაქეობრივი უნარ-ჩვევების განვითარებას მოზარდებში, როგორცაა სამოქალაქო ცნობიერების ფორმირება, დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარე-

ბის ხელშეწყობა; ამ ზოგად დოკუმენტში გაწერილი მიზნების საფუძველზე 2006/07 სასწავლო წელს შეიქმნა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის „ეროვნული სასწავლო გეგმა“, სადაც დეტალურადაა გაწერილი თითოეული საგნის მოცულობა და შინაარსი, ამა თუ იმ საგნის მისაღწევი სწავლის შედეგი. „ეროვნულ სასწავლო გეგმაში“ სამოქალაქო განათლება საზოგადოებრივ მეცნიერებათა ციკლში მოიაზრება. ამ გეგმის შესატყვისად, მოზარდში სამოქალაქო ცნობიერების ფორმირების საკითხს განვიხილავთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის არსებული სტრუქტურის შესაბამისად, კერძოდ, **დაწყებით, საბაზო და საშუალო** საფეხურებზე.

ამ დოკუმენტის მიხედვით, დაწყებითი საფეხურის /1-ლი – მე-6 კლასები/ საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების მიზანია: „მოსწავლის კოგნიტური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა; მოსწავლის სამოქალაქო აღზრდა; მოსწავლისთვის საზოგადოებრივი მეცნიერებების შესწავლისთვის საჭირო უნარების განვითარება.“

1-ლ მე-4 კლასებში - საზოგადოებრივი მეცნიერებები ინტეგრირებულია სხვა საგნებთან; მე-3 მე-4 კლასებში შემოდის საგანი - “მე და საზოგადოება”, მე-5- მე-6 კლასებში - “ჩვენი საქართველო”/2017/.

განათლების შინაარსი /სასწავლო პროგრამა/ დაწყებით საფეხურზე ორიენტირებულია სამოქალაქო ცნობიერების ფორმირებაზე, პროცესი წარიმართება ინტეგრირებულად, არასპეციფიურსაგნობრივად.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ დაწყებით საფეხურზე სამოქალაქო ცნობიერების ფორმირების თეორიული ფორმატი და შინაარსი, პრინციპში, სწორადაა შერჩეული პედაგოგიკის მეცნიერების პოზიციიდან, კერძოდ, **სამოქალაქო ცნობიერების**

ფორმირების საკითხი ინტეგრირებულია ყველა საგანში და ევალუა ყველა საგნის მასწავლებელს. თუმცა, სწავლის შედეგი მიიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სწავლების პროცესში გათვალისწინებულია პედაგოგიკურ/დიდაქტიკური მიდგომა - სამოქალაქო შეგნების, სამოქალაქო შეგრძნების, სამოქალაქო ქცევის ფორმირება. ამ თვალსაზრისით, განათლების სისტემის დოკუმენტებში სახეზეა მხოლოდ სამოქალაქო შეგნების ფორმირება. სასურველი იქნებოდა პრაქტიკული ნაწილის ჩართვა, კერძოდ, **სამოქალაქო ქცევის**, რომელიც მოსწავლეთა მიზანმიმართული აქტივობების სახით უნდა დაიგეგმოს. ასეთ შემთხვევაში მოსწავლეები პრაქტიკულად მონაწილეობენ სამოქალაქო აქტივობებში და ამ გზით სამოქალაქო განათლების სფეროში მიღებულ ცოდნას იღრმავებენ და აანალიზებენ. ასეთ აქტივობებში მონაწილეობა მათ განუვითარებთ თანამშრომლობითი კომუნიკაციის უნარებს, განაპირობებს მათ შორის მეგობრული დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, გამოიწვევს საზოგადოებაში მათი მოქალაქეობრივი როლისა და ინიციატივის მნიშვნელობის გააზრებას და ამ მიმართებით სამოქალაქო პასუხისმგებლობის ამალვებას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სკოლების გარკვეულ ნაწილში მოსწავლეთა სამოქალაქო აქტივობები პერიოდულად ხორციელდება /სასწავლო პროექტები სკოლაში/, ეს აქტივობები მაინც მასწავლებლის პროფესიულ ნებად მოიაზრება და არ ატარებს სავალდებულო მიზნობრივ ხასიათს ამ თვალსაზრისით.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 2017/2018 სასწავლო წლიდან ცალკე საგნის - “მე და საზოგადოება” მე-3 კლასის ბადეში ჩართვა, ვერ მოიტანს სასურველ შედეგს. მიუხედავად საჭირო და აუცილებელი თემატიკისა და კომპეტენციებისა, რომელებზეც უნდა გავიდეს მოსწავლე ამ საგნის სწავლით, **მიზნის მისაღწე-**

ვად აუცილებელია წარმოდგენილი თემატიკის ინტეგრირება სხვა საგნებთან, როგორც აქამდე იყო. წარმოდგენილ თემატიკას თავისუფლად ითავსებს დაწყებითი სკოლის საგანთა ციკლი. ამასთან, პროგრამაში გაწერილი კომპეტენციებზე ზრუნვა თანაბრად ყველა საგნის მასწავლებლის მოვალეობაა და, ზოგადად, მოსწავლისათვის მაგალითი უნდა იყოს სასკოლო ცხოვრებაში. აღარაფერს ვამბობთ მოსწავლის სასწავლო კვირეული ბადის გადატვირთვაზე და ამ საგნისთვის მასწავლებლის შერჩევაზე, რაც საგნის სწავლების პროცესში სერიოზულ პრობლემებს შექმნის პროფესიული მიზანმიმართულობის თვალსაზრისით.

„ეროვნული სასწავლო გეგმის“ მიხედვით, საბაზო საფეხურის /მე-7-მე-9 კლასები/ საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების მიზანია დაეხმაროს მოსწავლეს „ადამიანის უფლებების, მმართველობისა და ეკონომიკის განვითარების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის ყოველდღიურ ცხოვრებასთან მისადაგებაში.“

ამ საფეხურის **განათლების შინაარსში** გაწერილია, რომ მოსწავლეს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია როგორც საქართველოს, ასევე, მსოფლიოს ბუნებრივ, პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ, რელიგიურ და ეთნიკურ მრავალფეროვნებაზე. მაშასადამე, ამ ეტაპზე სამოქალაქო ცნობიერების ფორმირებისათვის შემოდის სპეციფიკურ/საგნობრივი ცოდნა.

სამოქალაქო განათლების სწავლება მე-7-მე-8 კლასებში მიმდინარეობს ისტორიასთან ინტეგრირებით, მე-9 კლასში **სამოქალაქო განათლება** ცალკე საგნად ისწავლება.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ საბაზო საფეხურზე, ზნეობრივი აღზრდის თეორიის შესატყვისად, მოზარდებში სამოქალაქო ცნობიერების ფორმირება მიმდინარეობს ინტეგრირებული გზით, გამჭოლად, ყველა საგნის შინაარსისა და მასწავ-

ლებლის მიზანმიმართული მოქმედებით. შესაბამისად, სასწავლო კურსის თეორიული ფორმატი და შინაარსი, პრინციპში, სწორადაა შერჩეული იმ გათვლით, რომ მოსწავლეები, ასაკთან მიმართებით /მე-9 კლასი/, საგნობრივ/სპეციფიკურ ცოდნასაც ეუფლებიან. თუმცა, ამას ვერ ვიტყვით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საბაზო საფეხურზე მიმდინარე სამოქალაქო განათლების პრაქტიკაზე - სამოქალაქო ქცევაზე. კერძოდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზნეობრივი აღზრდის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ საშუალებას წარმოადგენს ზნეობრივი ქცევა, რაც მოსწავლეთა სამოქალაქო აქტივობებით ფორმირდება. **მოსწავლეთა სამოქალაქო აქტივობები**, როგორც მოქალაქეობრივი აღზრდის საშუალება, იშვიათი გამონაკლისის გარდა, სასკოლო პრაქტიკაში არ გვხვდება;

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, **საშუალო** საფეხურზე /მე-10 - მე-12 კლასები/ საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების მიზანია მოსწავლეების მიერ „პოლიტიკური, იურიდიული და ეკონომიკური მეცნიერებების საფუძვლების დაუფლება; სოციალური, მორალური, სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაცნობიერებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისათვის საჭირო კომპეტენციების განვითარებაში მოსწავლის დახმარება.“

საზოგადოებრივი მეცნიერებები ისწავლება ცალკ-ცალკე, სამოქალაქო განათლება - მე-10 კლასში

ამ საფეხურის **განათლების შინაარსი** მოიაზრებს სპეციფიკურ/საგნობრივი ცოდნას - მდგრადი განვითარება; ეკონომიკურად აზროვნება და მისი მნიშვნელობის გააზრება მდგრადი განვითარების კონტექსტში; ინტერკულტურული წიგნიერება და ურთიერთობები; საზოგადოებრივი უსაფრთხოების მნიშვნელობა; ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობის გააზრება ინდივი-

დუალურ და საზოგადოებრივ დონეზე, პროფესიონალიზმის, როგორც ღირებულების და მდგრად განვითარებაში მისი მნიშვნელობის დადგენა; თანამშრომლობის კულტურის განვითარება; ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ ინტერესთა კონფლიქტებისა და მათი მოგვარების მექანიზმების საფუძვლები.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ საშუალო საფეხურზე საგნის სწავლება ემსახურება **საგნობრივ/ სპეციფიკური** ცოდნის შეძენას. შესაბამისად, თეორიული ფორმატი და შინაარსი პედაგოგიკის მეცნიერების პოზიციიდან მისაღებია. თუმცა, ამ საფეხურისათვის მოსწავლეს წინა ორი საფეხურის საფუძველზე, ჩამოყალიბებული უნდა ჰქონდეს ზნეობრივი შეგრძნებისა და ზნეობრივი ქცევის უნარები, რათა საგნის შინაარსის სწავლებისას გამოუმუშავდეს ადეკვატური, სწორი დამოკიდებულებები შესასწავლი თემატიკის მიმართ.

მოსწავლეთა სამოქალაქო აქტივობები სასკოლო პრაქტიკაში არც ამ საფეხურზე გვხვდება. მაშასადამე, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის/1-12 კლასები/ სამივე საფეხურზე, სამოქალაქო განათლების სწავლების ფორმა და შინაარსი, პრინციპში, სწორადაა გადაწყვეტილი პედაგოგიკის მეცნიერების პოზიციიდან, თუმცა პრაქტიკასთან მიმართებით სერიოზული ხარვეზებია.

ცალკე უნდა აღინიშნოს **სამოქალაქო განათლების მასწავლებლის** საკითხი, რომელიც სერიოზულ პრობლემებს უქმნის საგნის ხარისხიან სწავლებას. კიდევ ერთი სახელმწიფო დოკუმენტით, „**მასწავლებლის საგნობრივი სტანდარტი**“ გათვალისწინებული მოთხოვნები სამოქალაქო ცნობიერების ფორმირების თვალსაზრისით, სამოქალაქო განათლების მასწავლებელს ავალდებულებს „მოსწავლეებში საგნისათვის დამახასიათებელი ისეთი ღირებულებების განვითარებას, როგორებიცაა: პატიოსნება,

პატივისცემა, კაცთმოყვარეობა, შრომისმოყვარეობა, პატრიოტიზმი; მოსწავლეებში ისეთი სოციალური უნარების განვითარება, როგორებიცაა: თვითგამოხატვა, თანაგრძნობა, თვითკონტროლი, პასუხისმგებლობა და თანამშრომლობა; მასწავლებლის სტანდარტის მიხედვით - შესაბამის საგნობრივ ცოდნასთან ერთად, მასწავლებლის პროფესიული უნარ-ჩვევებიც უნდა ჰქონდეს, კერძოდ, კვლევის, შეფასებისა და კომუნიკაციის უნარები.“

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მე-9 კლასამდე სამოქალაქო განათლების საგნის სწავლება ისტორიასთან ინტეგრირებულად მიმდინარეობს და ნაკლებად საჭიროებს საგნობრივ-სპეციფიკურ ცოდნებს, ხოლო მე-9 და მე-10 კლასებში ცალკე საგნად ისწავლება. სწორედ აქ დგება მასწავლებლის პრობლემა. საქმე ისაა, რომ სამოქალაქო მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები უმაღლეს სკოლაში 2016/17 სასწავლო წელს ამოქმედდა, მაგრამ პროგრამაზე სწავლის მსურველთა რაოდენობა ძალზე დაბალია. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან ამ საგნის მასწავლებლის დატვირთვა საათობრივ ბაზეში მხოლოდ 4 სთ-ია, რაც 3 პარალელური კლასის არსებობის შემთხვევაშიც კი, ვერ ქმნის საშუალებას განაკვეთს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2007 წელს გაიხსნა სამოქალაქო განათლების მასწავლებლის მომზადების სამაგისტრო პროგრამა, მაგრამ პროგრამაზე არც ერთი სტუდენტი არ ჩარიცხულა დაბალი მოტივაციის გამო. სახელმწიფომ გამოსავალი იპოვა სხვა საგნის მასწავლებელთა დატრენინგებით, რითაც ვერ მზადდება მაღალი პროფესიული დონის კადრი. ეს კი სერიოზულად მოქმედებს საგნის სწავლების ხარისხზე. ამას გარდა, არ არის ადვილი უნივერსიტეტებში პროფესურის პოვნა, რომელიც სამოქალაქო განათლების მასწავლებლის მომზადების პროგრამას უხელმძღვანელებს, ვინაიდან პროგრამა საგნობრივი ცოდნის გარდა, გულისხმობს საგნის

სწავლების მეთოდის სწავლებას. ამის გამოცდილება კი, უნივერსიტეტის პროფესორს ნაკლებად აქვს.

როგორც საკითხის ზემოაღნიშნული ანალიზიდან ჩანს, სამოქალაქო განათლების სწავლების საკითხი საქართველოში, მიუხედავად სახელმწიფოს ძალისხმევისა, ფორმალურ ხასიათს ატარებს და სერიოზული პრობლემებით მიმდინარეობს, რაც აისახება კიდევ ამ მიმართებით მოზარდის ცნობიერებაზე.

გთავაზობთ, რამდენიმე რეკომენდაციას, რომლებიც, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს სამოქალაქო განათლების სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, კერძოდ,

- სამოქალაქო ცნობიერების ფორმირება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ინტეგრირებულად, ყველა საგნის მეშვეობითა და სასკოლო გარემოს ზემოქმედებით უნდა მიმდინარეობდეს;
- მასწავლებელთა მომზადების საუნივერსიტეტო პროგრამებში სამოქალაქო განათლების სასწავლო თემატიკა ინტეგრირებული უნდა იყოს სხვადასხვა საგნის მასწავლებლის მომზადების პროგრამების შესაბამის თემატიკებთან;
- ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებელთა მომზადების პროგრამებში სერიოზული მოცულობით უნდა იყოს ჩართული სამოქალაქო განათლების თეორიულ/მეთოდოლოგიური საკითხები. ამგვარი მიდგომით მოიხსნება სამოქალაქო განათლების მასწავლებელთა კადრის პრობლემა.
- საშუალო და უმაღლეს სკოლებში სამოქალაქო ცნობიერების ფორმირებას, თეორიული სასწავლო კურსების პარალელურად, უნდა ემსახურებოდეს მოსწავლეთა და სტუდენტთა სამოქალაქო აქტივობები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები - საქართველოს მთავრობის დადგენილება №84 2004 წლის 18 ოქტომბერი ქ. თბილისი

2. ეროვნული სასწავლო გეგმა 2011/2016წწ.

3. ეროვნული სასწავლო გეგმა 2017/2023წ.

4. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი- 2014წ.

Ketevan Chkuaseli,

Tinatin Dolidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Civic Education in Georgia - Theory and Practice

Resume

The conference paper deals with the issues of civic education in the general educational institutions in Georgia from the positions of classical and contemporary didactics. In the article, author discusses the theoretical and practical aspects of forming civic consciousness in all three stages / primary, basic, secondary / of adolescents in general school based on the legal documents of the educational system of Georgia, moreover, she point out the positive and negative moments of achievement from the position of pedagogy.

According to the National Qualifications Framework learning of the pupil / student is not only to acquire knowledge, but they should develop knowledge via practical skills, should be able to communicate on a professional level, deepen the gained knowledge independently and, most importantly, should develop appropriate values of the field of knowledge while study. Consequently, it is obvious that today's learning process, in parallel with the theoretical formal discipline, must necessarily involve a connection with the field of practice, which is less common in school life. In author's opinion, this is the main problem in the format of teaching the subject.

What is more, there are highlighted problems and difficulties in "Civic Education" teacher training program at the university level, which is justified as student's low motivation to study within the programme, moreover, there are some elaborations in creating the program itself in terms of the methodical / professional staff.

At the end of the work there are a few recommendations to solve the problem.

Results and recommendations of the research will be interesting for educators and professionals of the field.

ინგა მიხანაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
პოლიტოლოგიის ინსტიტუტი

უმცირესობების საკითხი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ სახალხო დამცველის ანგარიშების ანალიზის საფუძველზე

საქართველოს სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა. საქართველომ 2005 წელს მოახდინა „ეროვნულ უცირესობათა დაცვის შესახებ ევროპის ჩარჩო კონვენციის“ რატიფიცირება, რომელიც მრავალ მნიშვნელოვან დებულებას შეიცავს, კერძოდ, კონვენციის მიხედვით: აღიარებულია ეროვნული უმცირესობების კანონის წინაშე თანასწორობა და აკრძალულია ნებისმიერი დისკრიმინაცია; ეროვნულ უმცირესობებს უნდა შეექმნათ მათი კულტურის შენარჩუნების, განვითარებისა და თვითმყოფადობის ძირითადი ელემენტების - რელიგიის, ენის, ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის აუცილებელი პირობები; ეროვნული უმცირესობები დაცულები უნდა იყვნენ ნებისმიერი ქმედებისაგან, რომელიც მიზნად ისახავს ასიმილაციას მათი სურვილის წინააღმდეგ.

სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით ასევე საქართველოს მთავრობამ 2009 წელს მიიღო შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და სამოქმედო გეგმა. სხვადასხვა სამინისტროები და უწყებები მრავალ

პროგრამასა და აქტივობას ახორციელებენ ამ დოკუმენტით გათვალისწინებული ექვსი ძირითადი მიმართულებით - კანონის უზენაესობა, განათლება და სახელმწიფო ენა, მედია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა, სოციალური და რეგიონული ინტეგრაცია, კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება. კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს კი რეგულარულად ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭო, რომელშიც გაერთიანებულია ეროვნული უმცირესობების პრობლემატიკაზე მომუშავე 100-ზე მეტი ორგანიზაცია და თემის ლიდერი.¹

სახალხო დამცველის ანგარიშების შესწავლის საფუძველზე ყურადღება გავამახვილე ეროვნული უმცირესობების შემდეგ საკითხებზე, როგორცაა: ეროვნული უმცირესობების სკოლამდელი, ზოგადი და უმაღლესი განათლება; მათთვის სახელმწიფო ენის შესწავლის ხელმისაწვდომობა; ეროვნული უმცირესობებით დასახლებული რეგიონების მოსახლეობის სრულფასოვანი ინფორმირება; მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობების მშობლიური ენის შესწავლის ხელშეწყობა, ბოშათა თემთან არსებული პრობლემები და ეროვნული უმცირესობების კულტურის განვითარება და თვითმყოფადობის შენარჩუნება.

¹ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში-საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2012, ეროვნული უმცირესობების უფლებები და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა, <http://www.ombudsman.ge/uploads/other/0/86.pdf>

ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის შესწავლა და მათთვის განათლების მიღება.

ეროვნული უმცირესობების დასაქმებისა და წარმომადგენლობითობის გაზრდის თვალსაზრისით ეროვნული უმცირესობებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია სახელმწიფო ენის ცოდნის გაღრმავება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის შესწავლის მიზნით განახორციელა სპეციალური პროგრამა. ბოლნისში, მარნეულში, ნინოწმინდაში, ახალქალაქში ფუნქციონირებდა ენის სახლები, სადაც მსურველებს შესაძლებლობა ჰქონდათ ესწავლათ ქართული ენა. ამ ფაქტორების გავლენით, ბოლო წლებში, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში გაიზარდა სახელმწიფო ენის შემსწავლელთა და ქართული ენის მცოდნეთა რაოდენობა, მაგრამ მთლიანობაში უნდა აღინიშნოს, რომ სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების დიდი ნაწილი და ასევე კახეთში აზერბაიჯანელებით კომპაქტურად დასახლებული სოფლების მცხოვრებლები ჯერ კიდევ ვერ ფლობენ სახელმწიფო ენას საკომუნიკაციო დონეზე, რაც, ბუნებრივია, ხელს უშლის სრულფასოვან სამოქალაქო ინტეგრაციას.²

ასევე საყურადღებოა სკოლამდელი განათლების საკითხი ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. ამ

² საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში-საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2012, ეროვნული უმცირესობების უფლებები და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა, <http://www.ombudsman.ge/uploads/other/0/86.pdf>

თვალსაზრისით გამორჩეულია ქვემო ქართლში არსებული ვითარება, სადაც აზერბაიჯანულენოვანი მშობლების მნიშვნელოვან ნაწილს ბავშვები შეჰყავს ქართულ სკოლებში. ამ ბავშვების საკომუნიკაციო ენა არ არის ქართული და შესაბამისად, მათ, ბუნებრივია, ქართულ სკოლაში სწავლა უჭირთ. ამ პრობლემის დაძლევის ერთ-ერთი საშუალებაა სკოლამდელი აღზრდის ცენტრების გაძლიერება და არაქართულენოვანი ბავშვებისთვის ქართული ენის შესწავლის პირობების შექმნა.

ასევე ეროვნული უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სკოლებში პედაგოგების დეფიციტია. საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში არ ხდება აზერბაიჯანულ და სომხურენოვანი სკოლის პედაგოგების მომზადება. ის სტუდენტები, რომლებიც ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში ზოგად უნარების სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი ტესტების ჩაბარების საფუძველზე ირიცხებიან, ამჯობინებენ, დაეუფლონ უფრო მაღალანაზღაურებად პროფესიებს. ამდენად, არსებული ტენდენციების შენარჩუნების შემთხვევაში, უახლოეს ხანებში სომხურ და აზერბაიჯანულენოვან სკოლებში პედაგოგების დეფიციტი დიდ სირთულეებს შეუქმნის სწავლის პროცესს.

ასევე პრობლემური იყო ქართულიდან აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე თარგმნილი სასკოლო სახელმძღვანელოების თარგმნის ხარისხი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2012 წელს გაეროს ასოციაციის ხელშეწყობით, ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წევრებისა და პედაგოგების დახმარებით განახორციელა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე თარგმნილი სასკოლო სახელმძღვანელოების საგნობრივი რედაქტირება, რითაც მნიშვნელოვანწილად აღმოიფხვრა სასკოლო სახელმძღვანელოების თარგმნის დროს დაშვებული ხარვეზები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნული უმცირესობების ენებზე სწავლების მქონე საჯარო სკოლებში ახორციელებს მულტილინგვური სწავლების პროგრამას. ბილინგვური სწავლების დროს გამოიყენება ორენოვანი სახელმძღვანელოები. ამ სახელმძღვანელოების შინაარსის გაგება უჭირს არა მხოლოდ მოსწავლეების, არამედ პედაგოგების დიდ ნაწილს. საქართველოს საჯარო სკოლების პედაგოგთა ძალზე მცირე ნაწილი ფლობს ორივე ენას – ქართულ და მშობლიურ ენას იმ დონეზე, რომ შეძლოს საგნის სწავლება. ბილინგვური განათლების თვალსაზრისით, ქვეყნის მასშტაბით იკვეთება ორენოვანი პედაგოგების, სახელმძღვანელოებისა და პედაგოგების მიერ ბილინგვური სწავლების მეთოდების ცოდნის პრობლემა. ამდენად, ორენოვანი სწავლების პროგრამები საჭიროებს დახვეწასა და შესაბამის მომზადებას.

2009 წელს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ იქნა ცვლილება, რომლის მიხედვითაც უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდები ბარდება ზოგად უნარების აფხაზურ, ოსურ, სომხურ ან აზერბაიჯანულ ენებზე შედგენილი საგამოცდო ტესტის ჩაბარების საფუძველზე. ამ ნორმის მოქმედების შედეგად ეროვნული უმცირესობების მრავალი აბიტურიენტი ჩაირიცხა და წარმატებულად სწავლობს საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. თუმცა 2012 წელს ოსურენოვან აბიტურიენტებთან მიმართებით აღნიშნული საკანონმდებლო ნორმის რეალიზება ვერ განხორციელდა ადმინისტრაციული პრაქტიკის გამო.³

³ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში-საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2012, ეროვნული უმცირესობების უფლებები და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა, <http://www.ombudsman.ge/uploads/other/0/86.pdf>

ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონში ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

2013 წლიდან საზოგადოებრივ მაუწყებელზე განახლდა უმცირესობათა ენებზე ყოველდღიური საინფორმაციო პროგრამების მომზადება. ეს გადაცემები ახალი გაუმჯობესებული და მაყურებლისთვის უფრო საინტერესო ფორმატით მზადდება. უმცირესობების ენებზე მომზადებული გადაცემები გადაიცემა საზოგადოებრივი მაუწყებლის მე-2 არხით და ვრცელდება რეგიონული ტელევიზიების მეშვეობით. თუმცა 10 წუთიანი გადაცემები ვერ აწვდის სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობას სრულფასოვან ინფორმაციას ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ. ამ პრობლემის დაძლევისთვის აუცილებელია რეგიონული ტელევიზიების გაძლიერება და მათი საშუალებით სომხურ, აზერბაიჯანულ და ოსურენოვანი გადაცემების მომზადება. მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციას ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რაიონების დიდი ნაწილი უცხოური საინფორმაციო საშუალებებით იღებს, იმავე წყაროებით იღებენ ინფორმაციას საქართველოში განვითარებული მოვლენების თაობაზე, მაგრამ ეს ინფორმაცია დღის განმავლობაში მაქსიმუმ ერთი სიუჟეტით შემოიფარგლება.⁴

აღსანიშნავია ასევე ის ფაქტიც, რომ აფხაზურ, ოსურ, სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი „ნაციონალური მოამბის“ აუდი-

⁴ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში-საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2013, ეროვნული უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობა, <http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1563.pdf>

ოვერსია ყოველდღე გადაიცემა საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი რადიოს ეთერით. თუმცა სამწუხაროდ საზოგადოებრივი რადიოს მაუწყებლობა ვერ ვრცელდება ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის დიდ ნაწილში. ამის გამო აღნიშნულ რეგიონებში საზოგადოებრივ რადიოს მსმენელი პრაქტიკულად არ ჰყავს. ამდენად, ეროვნული უმცირესობების ენებზე მაუწყებელი რადიოპროგრამების ეფექტი, ეროვნული უმცირესობებით დასახლებული რეგიონების მოსახლეობის ინფორმირების თვალსაზრისით, ძალზე უმნიშვნელოა.

ეროვნული უმცირესობების ინფორმირების კუთხით მნიშვნელოვანია აზერბაიჯანულენოვან გაზეთ „გურჯისტანისა“ და სომხურენოვან გაზეთ „ვრასტანის“ საქმიანობა, თუმცა ეს გაზეთები მწირი დაფინანსებისა და სხვა მიზეზების გამო ვერ ახერხებენ ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობისთვის ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების თაობაზე სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებას. ასევე დონორებისა და სხვადასხვა კომერციული სტრუქტურების მხარდაჭერით ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში გამოიცემა რამდენიმე სხვა გაზეთი, მაგრამ ეს გამოცემებიც იშვიათად გამოდიან, რეგულარულად და ოპერატიულად ვერ აშუქებენ ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს, ამდენად მათ ინფორმაციის მიმწოდებლის ფუნქცია ვერც დაეკისრებათ.

ეროვნული უმცირესობების კულტურის განვითარება და თვითმყოფადობის შენარჩუნება

საქართველოს კონსტიტუციით სახელმწიფოს ეკისრება კულტურის განვითარების ხელშეწყობა და კულტურული ურთიერთობების გაღრმავების ვალდებულება (მუხლი 34.1). კონსტიტუციის ეს ნორმა ბუნებრივია, თანაბრად ეხება საქართვე-

ლოს ყველა მოქალაქეს, მათ შორის ეროვნულ უმცირესობებს, რაც ასევე კონსტიტუციით არის განსაზღვრული – „საქართველოს მოქალაქენი თანასწორი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილები-სა.“⁵ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ. 2013 წელს ამ კუთხით კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ და სხვა ორგანიზაციებმა მრავალი პროექტი განახორციელეს, მაგრამ არის საკითხები, რაც განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებს და თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

ეროვნული უმცირესობების კულტურული მემკვიდრეობისა და თვითმყოფადობის დაცვის თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური და ჰეიდარ ალიევის სახელობის აზერბაიჯანული თეატრები, მაგრამ ამ თეატრების შენობები მრავალი წელია სავალალო მდგომარეობაშია. აღსანიშნავია, რომ ეს თეატრები ერთ-ერთი უძველესია სამხრეთ კავკასიაში. ორივე თეატრში საკმაოდ საინტერესო თეატრალური დასია, მაგრამ ამ თეატრების შესაძლებლობები სამოქალაქო ინტეგრაციის თვალსაზრისით, ნაკლებად არის გამოყენებული, რადგან შენობების

⁵ საქართველოს კონსტიტუცია, 1995,
<https://emis.ge/acts/saqartvelos%20konstitucia.pdf>

ავარიულობის გამო მაყურებელი პრაქტიკულად ვერ ესწრება სპექტაკლებს.⁶

ასევე დიდ როლს ასრულებდა რეგიონებსა და სოფლებში არსებული კულტურის სახლები სოფლად მცხოვრები მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში. თუმცა ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სოფლების კულტურის სახლების დიდი ნაწილი ძალზე სავალალო მდგომარეობაშია, რომელიც საჭიროებს უახლოეს მომავალში შეკეთებას, რათა კულტურის სახლებმა იკისრონ სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის ფუნქცია.

მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობების პრობლემები

ბოლო წლებში არასაკმარისი ყურადღება ექცევა მცირერიცხოვან ეროვნულ უმცირესობებს, კერძოდ, მათი თვითმყოფადობის, ენის, კულტურის, ტრადიციებისა და სხვა ეთნიკური თავისებურებების დაცვის საკითხს. მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობების დაცვის საკითხი არ არის ასახული შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნულ კონცეფციასა და სამოქმედო გეგმაში. ქვეყანაში სამოქალაქო ინტეგრაციის მხარდაჭერა და ეროვნული უმცირესობების მიერ საკუთარი იდენტობის დაცვის ხელშეწყობა თანაბარი ღირებულებისა და მნიშვნელობის პროცესია და მის მხარდასაჭერად აუცილებელია შესაბამისი პროგრამების განხორციელება.

⁶ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში-საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2014, ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვა და სამოქალაქო ინტეგრაცია <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3509.pdf>

საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის ყველაზე პრობლემური საკითხი იყო მშობლიური ენის შესწავლა და შენარჩუნება. მცირერიცხოვან ეროვნულ უმცირესობებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, სასკოლო განათლების ფარგლებში შეესწავლათ მშობლიური ენა. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური იყო საქართველოს ოსების, ასურელების, ქურთების, ქისტების/ჩეჩნების, უდიებისა და დაღესტნელებისთვის (ავარებისთვის). საბჭოთა პერიოდში და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგაც ზოგიერთ სკოლაში ცალკეული ენთუზიასტების ან სხვადასხვა დონორების მიერ მხარდაჭერილი პროგრამების ფარგლებში მიმდინარეობდა ზემოაღნიშნული ზოგიერთი ენის სწავლა, მაგრამ მთლიანობაში ბოლო წლებში, სხვადასხვა მიზეზების გამო (პედაგოგების ნაკლებობა, სახელმძღვანელოების არარსებობა და სხვა), ზემოაღნიშნული ენების სწავლება სკოლებში პრაქტიკულად არ ხორციელდება.

ამ პრობლემის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან ბოლო წლებში სახელდებოდა შესაბამისი ენების სწავლების სტანდარტის არარსებობა.

ეროვნული უმცირესობებიდან ერთ-ერთი მცირერიცხოვანნი არიან უდიები. მეცნიერთა მნიშვნელოვანი ნაწილი თვლის, რომ უდიები კავკასიის აბორიგენული ეთნოსია. საქართველოში უდიები ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზინობიანში ცხოვრობენ (სადაც 1920–1922 წლებში აზერბაიჯანიდან გადმოსახლდნენ) და ასევე აზერბაიჯანის სამ სოფელში. საქართველოში ამჟამად დაახლოებით 350 უდი ცხოვრობს, ისინი ძირითადად მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან. უდიები მშობლიურ ენაზე საუბრობენ. მეცნიერების აზრით, უდიური ენა

განეკუთვნება იბერიულ-კავკასიურ ენათა დაღესტნური ჯგუფის ლეზგიურ ქვეჯგუფს. უდიურ ენას მკვლევართა ნაწილი კავკასიური ალბანური ენის თანამედროვე ვერსიად თვლის. დღევანდელი მდგომარეობით უდიების ეთნოსი და უდიური ეთნოკულტურა გაქრობის საფრთხის წინაშე დგას. უდიური ენის მცოდნეთა რიცხვი დღითიდღე კლებულობს, მცირდება ამ ენის გამოყენების არეალი, უდიურ ენაზე ოჯახებშიც იშვიათად საუბრობენ. სოფელ ზინობიანის სკოლაში არსებობს უდიური ეთნოგრაფიული მუზეუმი და ენთუზიასტი პედაგოგის მიერ ისწავლება უდიური ენა. მაგრამ ამ ენის შენარჩუნებისთვის ეს საკმარისი არ არის. თუ არსებული ტენდენცია შენარჩუნდა უახლოეს წლებში, უდიური ენა პრაქტიკულად გაქრება.⁷

ასევე საქართველოში ბოშების მდგომარეობა იმდენად რთულია, რომ შეუძლებელია ერთი რომელიმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხის გამოყოფა. ბოშათა თემისთვის ცხოვრების ყველა სფერო (განათლება, ჯანდაცვა, სამოქალაქო ინტეგრაცია, კულტურული ტრადიციების შენარჩუნება, დასაქმება და სხვა) პრობლემურია. საქართველოში დაახლოებით 1500-მდე ბოშა ცხოვრობს. მათი ნაწილი კომპაქტურადაა დასახლებული კახეთში, თბილისში, ქობულეთში, ქუთაისსა და გარდაბანში. საქართველოში მცხოვრები ბოშების დიდმა ნაწილმა არ იცის წერაკითხვა. ბოშების წინაშე მრავალი სირთულე არსებობს განათლების მიღების, ადამიანის უფლებების დაცვის, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ცხოვრების ყველა სფეროში. საქართველოში

⁷ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში-საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2012, ეროვნული უმცირესობების უფლებები და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა, <http://www.ombudsman.ge/uploads/other/0/86.pdf>

მცხოვრებ ბოშებს არავითარი წარმოდგენა არ აქვთ თავიანთი უფლებების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ბოშები ძირითადად უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობენ, მათი ძალზე მცირე ნაწილი იღებს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთათვის განკუთვნილ სოციალურ შემწეობას, რისი მიზეზიც ძირითადად დოკუმენტების არქონაა, ბოშების დიდი ნაწილი რთული სოციალური მდგომარეობისა და უკიდურესი სიღარიბის გამო ძირითადად წვრილი ვაჭრობით, მკითხაობითა და მათხოვრობით ირჩენენ თავს. ჯერჯერობით არ არსებობს პრეცედენტი, რომ ბოშათა თემის წარმომადგენელი მუშაობდეს რომელიმე სახელმწიფო უწყებაში.⁸

რამდენიმე წლის წინ ბოშათა ნაწილმა არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით მიიღო პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები, მაგრამ ეს არ არის საკმარისი მათი ინტეგრაციისთვის. აღსანიშნავია, რომ იმ ბოშებმა, რომლებმაც არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით აიღეს პირადობის მოწმობები, 2012 წელს პირველად მიიღეს მონაწილეობა არჩევნებში. ბოშათა თემი ყველაზე დიდი სირთულეების წინაშე მყოფი ეთნოსია საქართველოში და მას განსაკუთრებული მიდგომა სჭირდება.

საქართველოს ქისტი/ჩეჩენი ეროვნების მოქალაქეებისთვის და, ასევე, საქართველოში კანონიერად მყოფი ჩეჩენი ლტოლვილებისთვის პრობლემას წარმოადგენს საქართველოს საზღვრის გადაკვეთა. მათი განმარტებით, პრობლემები იმ წუ-

⁸ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში-საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2013, ეროვნული უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობა, <http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1563.pdf>

თიდან იწყება, როგორც კი მესაზღვრე ქისტი/ჩეჩენი მოქალაქის მონაცემებს კომპიუტერულ ბაზაში შეიყვანს; მათ საათობით აჩერებენ სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე, რითაც დისკომფორტი ექმნებათ, როგორც კონკრეტულ მოქალაქეებს, ისე სხვა მგზავრებს. მოქალაქეებს კონკრეტულ განმარტებებსაც კი არ აძლევენ იმის შესახებ, თუ რატომ აჩერებენ საზღვარზე. ასეთი დამოკიდებულება ქისტ მოქალაქეებში მათი ეთნიკური და რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციისა და სახელმწიფოს მხრიდან უნდობლობის შეგრძნებას იწვევს. აღნიშნული ფაქტებით ირღვევა საქართველოს ჩეჩენი/ქისტი ეროვნების მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებები. საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრულია, რომ „ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, შეუძლია თავისუფლად გავიდეს საქართველოდან“ და ასევე, „საქართველოს მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში“ (მე-2 პუნქტი).⁹

ომბუდსმენის რეკომენდაციების შედეგად მიღწეული ცვლილებები

2015-2016 წლიდან საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება ოსურენოვან აბიტურიენტებზე საშეღავათო პირობების გავრცელებას და მიაჩნია, რომ აღნიშნული სისტემა ოსურენოვან აბიტურიენტებს საქართველოს უნივერსიტეტებში ჩარიცხვის დამატებით შესაძლებლობას მისცემს.¹⁰

⁹ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში-საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2013, ეროვნული უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობა, <http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1563.pdf>

¹⁰ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში-საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2015,

ასევე განათლების სამინისტრომ სახალხო დამცველის რეკომენდაცია გაითვალისწინა და 2016 წლიდან სასკოლო განათლების ფარგლებში დაიწყო საქართველოში მცხოვრები მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობების მშობლიური ენის შესწავლის პროცესი. დაინერგა ქისტური, ასურული, უდიური, ოსური და ხუნძური ენების სწავლება. სამწუხაროდ, ქურთული ენის სწავლება პედაგოგის არარსებობის გამო ვერ დაიწყო.¹¹

ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და შერიგებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა გაითვალისწინეს სახალხო დამცველის წინადადება და აჭარის ორ სკოლაში 2017 წლის იანვრიდან აფხაზური ენის სწავლება დაიწყო, რაც ასევე დადებითად უნდა შევაფასოთ.

საქართველოს სახალხო დამცველმა დადებითად შეაფასა 2015 წელს დაწყებული გიორგი ჩიტაიას სახელობის თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში არსებული ე.წ. „ოსური სახლის“ რესტავრაციის პროცესი, რის შესახებაც მას რამდენჯერმე რეკომენდაცია ჰქონდა მიცემული კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსათვის.¹²

ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვა და სამოქალაქო ინტეგრაცია, <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3891.pdf>

¹¹ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში-საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2016, ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვა და სამოქალაქო ინტეგრაცია, <http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4494.pdf>

¹² საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში-საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2016, ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვა და სამოქალაქო ინტეგრაცია, <http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4494.pdf>

მასალის გაანალიზების შედეგად შესაძლებელია შემდეგი დასკვნის გამოტანა: საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევის მიუხედავად ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებით კვლავ რჩება მთელი რიგი საკითხები მოსაგვარებელი. ვიმედოვნებ, რომ საქართველოს ხელისუფლება მეტად შეძლებს სახალხო დამცველის რეკომენდაციების გათვალისწინებას, რათა ეროვნული უმცირესობების საკითხი სრულყოფილად იქნას მოწესრიგებული.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში-საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2012, ეროვნული უმცირესობების უფლებები და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა, <http://www.ombudsman.ge/uploads/other/0/86.pdf>
2. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში-საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, ეროვნული უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობა, მოძიებულია 2013.05.22 <http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1563.pdf>
3. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში-საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2014, ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვა და სამოქალაქო ინტეგრაცია, მოძიებულია 2014.01.22 <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3509.pdf>
4. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში-საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2015, ეროვნული უმცირესობების უფ-

ლებების დაცვა და სამოქალაქო ინტეგრაცია, მოძიებულია 2015.05.22 <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3891.pdf>

5. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში-საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2016, ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვა და სამოქალაქო ინტეგრაცია, მოძიებულია 2016.01.10 <http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4494.pdf>

6. საქართველოს კონსტიტუცია, 1995, <https://emis.ge/acts/saqartvelos%20konstitucia.pdf>

7. შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია, 2005, http://www.tolerantoba.ge/failebi/nacional_concept_geo_doc173_18965.pdf

Inga Mikhanashvili
Institute of Political Science of Ilia State University

Issue of Minorities after the 2012 Parliamentary Elections
Based on the Analysis of the Ombudsman's Reports

Resume

One of the important issues for the Georgian state and society is protecting the rights of national minorities and promoting civil integration. In 2005 Georgia ratified the European Framework Convention on the Protection of National Minorities, which contains a number of important provisions, namely: recognition of the equality of national minorities before the law and prohibition of any discrimination; the state should create for national minorities the conditions for the preservation and development of their culture and protection of the fundamental elements of their identity - religion, language, traditions and cultural heritage; national minorities should be protected from any action aimed at assimilating against their will.

The Government of Georgia has also adopted the National Concept and Action Plan for Tolerance and Civil Integration in 2009 to promote civil integration. Various ministries and agencies are carrying out many programs and activities in the six main directions – the rule of law, education and state language, media and availability of information, political integration and civic engagement, social and regional integration, culture and identity preservation.

Based on the analysis of the Ombudsman's reports, I have focused on the following issues of national minorities: preschool, general and higher education of national minorities; availability of study of the state language; full awareness of the population of the regions inhabited by national minorities; promoting the study of the native languages of small national minorities; the problems with the Roma community and the

development of the culture of national minorities and preservation of their identity.

Below are the changes that have been made by the recommendations of the Ombudsman:

The Ministry of Education has taken into consideration the recommendation of the Ombudsman and from 2016 started the process of teaching the native languages of the small national minorities living in Georgia. The teaching of Kist, Assyrian, Udi, Ossetian and Avar languages was introduced. Unfortunately the teaching of Kurdish language did not start because of absence of a teacher.

The Ministry of Education and Science of Georgia and the State Minister for Reconciliation and Civic Integration took into consideration the proposal of the Ombudsman and started teaching Abkhazian language in two schools of Ajara since January, 2017, which should also be evaluated positively.

The Ombudsman of Georgia positively evaluated the process of restoration of the so-called “Ossetian House” at the Giorgi Chitaia Ethnographic Museum in Tbilisi, of which he had recommended to the Ministry of Culture and Monument Protection several times.

As a result of analyzing the material, the following conclusion can be made: despite the efforts of the Georgian authorities, there are still a number of pending issues concerning national minorities. I hope that the Georgian government will be able to take into consideration the recommendations of the Ombudsman so that the issues of national minorities should be properly settled.

Уршула Маевска

Фонд Другое Пространство (Польша)

Ольга Дорохина

Грузинского политехнического университет (Грузия)

Партисипативный бюджет как метод гражданского участия

Одним из наиболее важных элементов прямой демократии является обеспечение гражданского участия, или другими словами вовлечение жителей в процесс принятия решений по наиболее важным для них вопросам. Участие подразумевает вовлечение граждан в процессы управления, начиная с обсуждения, разработки политических, экономических, социальных и других общественно важных программ и проектов, наличие возможности влиять на процесс принятия решений и осуществление контроля за исполнением [10]. Одной из наиболее перспективных областей для вовлечения жителей является формирование финансовой политики, и через нее, направлений развития. Эту возможность дает бюджет участия (иначе называемый гражданским или партисипативным).

აშშ-ში სექსუალურ შევიწროებაზე ღიად საუბარი ჯერ კიდევ 1979 წელს დაიწყო, თუმცა სამუშაო ადგილზე მტრული გარემოს შექმნაში დამნაშავეთათვის 1991 წლამდე მხოლოდ ფინანსური სანქციები არსებობდა, ამავე წელს დადგინდა, რომ სტანდარტები შემუშავებული უნდა ყოფილიყო არა მოძალადის, არამედ მსხვერპლის პერსპექტივიდან. დღესდღეობით ამერიკის შეერთებულ შტატებში სექსუალური შევიწროება რეგულირდება 1984 დისკრიმინაციის აქტით და განიმარტება, როგორც არასასურველი სექსუალური შეთავაზება და ან სექსუალური ხასიათის ქმედების არასასურველი მოთხოვნა ისეთ გარემოებებში, რომელშიც ჩვეულებრივ გონიერი ადამიანი თავს იგრძნობდა შეურაცყოფილად ან შეშინებულად (თავი 28A) (Weizer. P. 2002, Sexual Harassment). საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროებას ამერიკაში მისი გამოვლენის ფორმის მიხედვით ყოფენ და თითოეულ მათგანს სხვადასხვა ან რამდენიმე კანონი არეგულირებს

სხვადასხვა შტატში. ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლების ძალისხმევის მიუხედავად, ბოლოდროინდელი კვლევები ცხადყოფს, რომ სექსუალური შევიწროების ფაქტები ამერიკაში კვლავაც ხშირია, განსაკუთრებით შავკანიანი მოსახლეობის მიმართ.

სექსუალურ შევიწროებასთან, როგორც გენდერული ნიშნით ძალადობის ერთ-ერთ დანაშაულთან, ბრძოლის კუთხით არანაკლებ საინტერესოა ბელგიის შემთხვევა. კერძოდ, 2014 წლის 21 მაისს, თანაბარი შესაძლებლობების ფედერალური მინისტრის ინიციატივით, მთავრობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განახორციელა 2007 წლის „დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კანონში“ და სექსის ნიშნით დისკრიმინაცია სისხლის სამართლის კანონით დასჯად დანაშაულად გამოაცხადა. აღნიშნული ინიციატივა უკავშირდება ბელგიის ქალაქ ბრიუსელში მცხოვრებ სტუდენტ გოგონა სოფი პიტერსის მიერ გადაღებულ ვიდეოს, სახელწოდებით *Femme de la Rue* (ქალი ქუჩიდან), რომელმაც ფარული კამერის საშუალებით შეეძლო დაეფიქსირებინა და გაესაჯაროებინა ბრიუსელის ქუჩებში კაცების მიერ ქალთა შევიწროების ფაქტები. აღნიშნული კანონის მიღებას გარკვეული კრიტიკა მოჰყვა საზოგადოების ნაწილის მხრიდან, მათ შორის, ქუჩაში შევიწროების წინააღმდეგ მიმართული ცნობილი მოძრაობა *Hollaback*-ის მხრიდან, რომლებიც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ ქუჩაში შევიწროების სისხლის სამართლებრივ დანაშაულად განსაზღვრას და აღნიშნულ ქმედებას მრავალმხრივი მიზეზით ხსნიდნენ. მათი აზრით, ყველა ვიდეო, რომელშიც ქუჩაში გადაღებული სექსუალური შევიწროება იყო ასახული წარმოადგენდა „ერთეულ“, პერსონალურ ისტორიას და კანონის ამ სახით მიღება და მოვლენების ამგვარი განვითარება ხელს შეუწყობდა ახალი სტერეოტიპების ჩამოყალიბებას საზო-

გადოებაში. საინტერესოა ის ფაქტი, რომ აღნიშნულ ვიდეოში ასახული ქუჩაში განხორციელებული სექსუალური შევიწროების დროს, ხშირ შემთხვევაში ფერადკანიანი მამაკაცები ფიგურირებდნენ, და შესაბამისად, სტერეოტიპი, რომ ძირითადად ფერადკანიანი კაცები უფრო ხშირად ავიწროებენ ქალებს, კიდევ უფრო გამყარდებოდა ამგვარი ვიდეოების ჩვენების საფუძველზე. ამგვარად, ის მამაკაცები, რომლებიც ეთნო-კულტურულ უმცირესობებთან ასოცირდებიან, შესაძლოა, ზეწოლის და კონტროლის ობიექტი გამხდარიყვნენ. მოძრაობა Hollaback-ი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მსგავსი საკანონმდებლო რეგულაციის მიღება ბელგიაში ხელს შეუწყობდა სექსიზმის რასიზმით ჩანაცვლებას. მიუხედავად საზოგადოების გაკვეთილი ნაწილის მძაფრი კრიტიკისა, ფაქტია, რომ ბელგიაში კანონი სექსიზმის წინააღმდეგ მაინც შევიდა ძალაში. ბელგიური კანონმდებლობით, სექსიზმის წინააღმდეგ ნორმის მიხედვით: „კანონის მიზნებისათვის, სექსიზმი არის ნებისმიერი ქმედება ან ქცევა [სისხლის სამართლის კოდექსის 444-ე მუხლში მითითებულ სიტუაციაში], რომელიც აშკარად მიზნად ისახავს პირის შეურაცხყოფას მისი სქესის გამო, ან იგივე მიზეზით განხორციელებული ქმედება პირის დამცირების მიზნით ან პირის მხოლოდ სქესობრივ განზომილებაში განხილვა ისე, რაც სერიოზულ ზიანს აყენებს პირის ღირსებას“ (Service Public Federal Interieur et Institut pour L’Egalite des Femmes et Des Hommes, Chapitre 2. Art 2.). აღნიშნულმა ახალმა კანონმა შემოიტანა სქესის ნიშნით შევიწროების დეფინიცია და დაკონკრეტდა მისი საზღვრები „ე. წ. საჯარო სივრცის საშუალებით“, რაც თავისთავად გულისხმობს როგორც ქუჩას, ასევე სხვა საჯარო სივრცეებს. ბელგიის ხელისუფლებამ სექსუალური შევიწროების ჩადენისათვის შემოიღო ჯარიმა 1000 ევროს ოდენობით ან თავისუფლების აღკვეთა ერთი თვიდან ერთ წლამდე.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის განმარტებით, სექსუალური შევიწროების მსხვერპლისთვის მტრული სამუშაო გარემოს შექმნა გულისხმობს სექსუალური ხასიათის ან სექსზე მიმართულ ხუმრობებს, არასასურველ რეპლიკებს ან შეხებას, რომელიც ხელს უშლის ადამიანს სამუშაოს შესრულებაში. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ექპერტები სექსუალურ შევიწროებას განმარტავენ, როგორც: „ნებისმიერი შეუსაბამო შენიშვნას, ხუმრობას, პიროვნების ჩაცმულობაზე, გარეგნობაზე, ასაკზე, ოჯახურ სიტუაციაზე; ქედმაღლური ან პატერნალისტური დამოკიდებულებას, რომელიც ატარებს სექსუალურ ქვეტექსტს და ლახავს პიროვნების ღირსებას; ნებისმიერი არასასურველი თხოვნა ან მიწვევა, იმპლიციტური თუ ექსპლიციტური, მიუხედავად იმისა, შეიცავს თუ არა მუქარას. ნებისმიერი სახის მხერას ან სხვა ჟესტიკულაციას, რომელიც ასოცირდება სექსუალობასთან და ნებისმიერი სახის არასასურველი ფიზიკური კონტაქტი, როგორცაა შეხება, ჩქმეტა, მოფერება თუ თავდასხმა (შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, N 111 კონვენცია, ჟენევა 1996).

განსხვავებენ სამუშაო ადგილზე განხორციელებული სექსუალური შევიწროების ორ სახეს:

1. Quid pro quo (მომსახურება მომსახურების სანაცვლოდ) - სექსუალური ხასიათის ფიზიკური, სიტყვიერი ან არავერბალური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ზემოქმედების მოხდენას ადამიანის სამსახურსა და კარიერულ წინსვლაზე.

2. მსხვერპლისთვის მტრული, საშიში ან დამამცირებელი გარემოს შექმნა.

და მაინც მართლაც, რა განსხვავებაა საზოგადოებრივ თავშეყრის და სამუშაო ადგილებს შორის განხორციელებულ შევიწროებას შორის? პასუხი საკმაოდ არასასიამოვნოა. საზოგადოებ-

რივ თავშეყრის ადგილებში სექსუალურ შევიწროვებას შეიძლება ჰქოდეს ერთჯერადი ხასიათი, რომელიც დროში არ გრძელდება და, სავარაუდოდ, შემთხვევის ადგილზევე დასრულდება. ხოლო რაც შეეხება სამუშაო ადგილზე სექსუალურ შევიწროვებას, იგი შეიძლება იყოს გრძელვადიანი და მსხვერპლს ნაკლებად ჰქონდეს იმის საშუალება, რომ თავიდან აიცილოს იგი.

შევიწროება ადამიანს ხელს უშლის განვითარებასა და სრულად რეალიზებაში, იგი ეწინააღმდეგება თანასწორობისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრასთან დაკავშირებით დადგენილ საკანონმდებლო და საერთაშორისო პრინციპებს. თუ შევიწროება სამუშაო ადგილზე ხორციელდება, ადამიანს სქესის გამო სირთულეები ექმნება კარიერულ წინსვლასა და ისეთ სფეროებში დასაქმებაში, სადაც ძირითადად განსხვავებული სქესის ადამიანები არიან დასაქმებული.

რა მდგომარეობაა სექსუალურ შევიწროებასთან ბრძოლის სამართლებრივი კუთხით საქართველოში და არეგულირებს თუ არა აღნიშნულ დანაშაულს კანონი? სამწუხაროდ, სექსუალური შევიწროების რეგულირების კუთხით ჩვენს ქვეყანაში სრული საკანონმდებლო ვაკუუმაა. ქართული კანონმდებლობის არც ერთი ნორმატიული აქტი არ შეიცავს სექსუალური შევიწროების ცნებას და ბუნებრივია არც მის ფორმებს არ განიხილავს. საქართველოში სექსუალური შევიწროება წარმოადგენს ქალთა დისკრიმინაციის ერთ-ერთ ყველაზე დაფარულ ფორმას, რომელიც ქალებს დაქვემდებარებულ მდგომარეობაში აყენებს მამაკაცებთან შედარებით, ლახავს მათ ღირსებას, და ხელს უშლის შრომითი ურთიერთობების შენარჩუნებას და მათი პოტენციალის სრულ რეალიზებას. კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ“, რომელიც 2010 წელს იქნა მიღებული საქართველოს პარლამენტის მიერ განმარტავს დასაქმების ადგილზე სექსუალურ

შევიწროებას, თუმცა მას არ განსაზღვრავს, როგორც დასჯად ქმედებად. კანონში ვკითხულობთ, რომ „დაუშვებელია შრომით ურთიერთობებში სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამამცირებელი, მტრული ან შეურაცმყოფელი გარემოს შექმნას (საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, მუხლი 6.1.(ბ). გარდა ამისა, არ არსებობს რაიმე სახის მექანიზმი/განყოფილება, რომელიც შეისწავლის სექსუალური ძალადობის შემთხვევებს. რეგულარული ადმინისტრაციული საჩივრები არ აძლევს მსხვერპლს კონფიდენციალურად დარჩენის საშუალებას. მსხვერპლს დამოუკიდებლად არ შეუძლია გამოიძიოს შემთხვევა, რადგან საზოგადოება დასაქმების ადგილზე და ასევე ზემდგომი პირები არ იჩენენ არანაირ სოლიდარობას მის მიმართ და პირიქით, ხშირ შემთხვევაში თავად მსხვერპლს ადანაშაულებენ აღნიშნული შემთხვევის პროვოცირებაში.

გასულ წელს, მომზადდა კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი სახის სექსუალური შევიწროება, მათ შორის შრომითი ურთიერთობისას განხორციელებული, ადმინისტრაციულ კანონდარღვევად ცხადდებოდა და კანონდამრღვევს ფინანსურ პასუხისმგებლობას აკისრებდა. კანონპროექტის ინიციატორი, რესპუბლიკური პარტია გახლავთ, პარტიის წევრების განცხადებით ასეთი კანონპროექტის საჭიროება განაპირობა სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიშმა, რომელშიც საუბარი იყო იმაზე, რომ სექსუალური ნიშნით შევიწროება სამუშაო ადგილზე, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ქმედებაა. ამავე ინიციატივას ასევე საფუძვლად დაედო გახმაურებული შემთხვევა ტელეკომპანია „იმედში“, როდესაც თანამშრომელმა პროდიუსერი დაადანაშაულა მსგავსი ტიპის ქმედებაში.

2017 წლის 4 მაისს პარლამენტმა „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ სტამბოლის კონვენციის რატიფიცირებას დაუჭირა მხარი. საქართველოს კანონმდებლობა უკვე მოიცავს არა მხოლოდ ოჯახის ფარგლებში, არამედ ზოგადად, ქალის მიმართ ძალადობას, როგორც პირად, ასევე საზოგადოებრივ სივრცეებში. ამავდროულად, კანონში მოცემული ცნება „ქალი“ გულისხმობს მდებარეობითი სქესის იმ წარმომადგენელსაც, რომელსაც ჯერ არ შესრულებიათ 18 წელი. კონვენციის საშუალებით კანონში ასევე შევიდა ცვლილება „ადევნებასთან“ დაკავშირებით, რომელიც სისტემური უკანონო თვალთვალისა და არასასურველი კომუნიკაციის დამყარების მცდელობის შემთხვევაში დაისჯება ჯარიმით ან 120-დან 180 საათამდე ვადით საზოგადოებისათვის სასარგელო შრომით, ანდა ორ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის საბჭოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ კონვენციის ხელმოწერით სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, რომ სექსუალური შევიწროვებაც დასჯადი გახადოს (40-ე მუხლი) და შრომის კოდექსის მიხედვითაც ყველა სახის დისკრიმინაცია აკრძალულია, ეს საკითხი, სამწუხაროდ, მაინც კანონმდებლობის მიღმა აღმოჩნდა.

ოფიციალური სტატისტიკა საქართველოში სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებით არ არსებობს, თუმცა სახალხო დამცველის არაოფიციალური ცნობებით, ასეთი შევიწროების მიმართ ყველაზე დაუცველები ძირითადად ახალგაზრდა და ქორწინებაში არმყოფი ქალები არიან, რაც უმთავრესად მოიცავს მაღალი თანამდებობის მქონე მამაკაცებისგან ახალგაზრდა ქალების საზოგადოებრივი ცხოვრების კონტროლსა და ისეთი ქა-

ლების დამცირების მცდელობას, რომლებიც არსებული სტერეოტიპის მიხედვით, „კაცის სამსახურში“ მუშაობენ.

საქართველოში სექსუალური შევიწროების პირველი ხმაურიანი შემთხვევა უკავშირდება აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს თანამშრომელ ქალს, რომელმაც სამსახურში სექსუალური შევიწროების ფაქტზე უფროსს რეაგირება სთხოვა. ამ ფაქტის გამო იგი გაათავისუფლეს და შესაბამის განცხადებაში მისი ქმედება მოხსენიებული იყო, როგორც „უღირსი საქციელი“. ეს განცხადება უზენაესმა სასამართლომ უკანონოდ მიიჩნია, თუმცა გაათავისუფლებული თანამშრომელი ამ დრომდე სამსახურში არ დაუბრუნებიათ.

საქართველოში საზოგადოების ცნობიერება სექსუალური შევიწროებების შესახებ საკმაოდ დაბალია. ხშირ შემთხვევაში, ქალთა მიმართ განხორციელებული სექსუალური შევიწროება არ განიხილება დანაშაულად, როგორც საზოგადოების ასევე მსხვერპლის მხრიდან, შესაბამისად ეს ართულებს ფაქტების გამოვლენის საკითხს და ასევე ამ პრობლემის აღმოფხვრას. იმისათვის, რომ ეს დამოკიდებულება შეიცვალოს, საჭიროა აქტიური კამპანია როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე სახელმწიფოს მხრიდან. ეს ერთის მხრივ აამაღლებს საზოგადოების ცნობიერებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ასევე მოახდენს სამართალდამცავი ორგანოების ჩარევას და დანაშაულის აღკვეთა/პრევენციას.

სექსუალური შევიწროებების პრობლემა აქტუალურია არამხოლოდ საზოგადოებრივ ტრანსპორტში და სხვა მსგავსი ტიპის თავშეყრის ადგილებში, არამედ სამუშაო ადგილებზეც. 2014 წელს, ქალთა საინფორმაციო ცენტრის მიერ ჩატარა კვლევა თბილისის მეტროში ქალთა მიმართ სექსუალური შევიწროებების ფაქტზე (Street Harassment). კვლევა ჩატარდა დედაქალაქის მეტ-

როს თოთხმეტ მეტროსადგურში. შედეგები მართლაც საგანგაშო აღმოჩნდა, რადგან კვლევაზე დაყრდნობით აღმოჩნდა, რომ მეტროთი მოსარგებლე ქალთა 45% გამხდარა სექსუალური შევიწროვების მსხვერპლი, 78.9%-ს ამ ფაქტზე რეაგირება არ ჰქონია, ხოლო 85.5%-ს არავინ დაეხმარა და არც ერთ მათგანს არ მიუძღვარათ პატრულისათვის. ეს კი ორგანიზაციის აზრით, საზოგადოებაში ინფორმირებულობის ნაკლებობაზე მეტყველებს.

საქართველოს გარდა, მსგავსი ტიპის შემთხვევებზე წერს ამერიკული გამოცემა „The Wall Street Journal“, სადაც საუბარია იმაზე, რომ ნიუ იორკ სიტიის მეტროში, მსგავსი ტიპის დაფიქსირებული ქმედებები 50%-ს აჭარბებს. აქაც, უმეტეს შემთხვევაში, მსხვერპლი ქალები არიან. ამ შემთხვევაშიც, საუბარია არასასურველ შეხებაზე, რეპლიკებსა და ნებართვის გარეშე ფოტო/ვიდეო გადაღებაზე. თუმცა საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ჩვენი რეალობის მსგავსად, აშშ-ს მოქალაქე ქალბატონებიც ხშირ შემთხვევაში ერიდებიან პოლიციას მიმართონ და აღნიშნული ქმედება დააფიქსირონ, რადგან სჯერათ, რომ მათი საჩივარი არ იქნება სერიოზულად აღქმული. მაგრამ რეალობა სხვაა, რადგან ნიუ-იორკის პოლიციის დეპარტამენტის სამგზავრო განყოფილების უფროსის განცხადებაში ვკითხულობთ, რომ მეტროს პოლიცია განსაკუთრებული სერიოზულობით ეკიდება მსგავს შემთხვევებს და ადეკვატურ რეაგირებას ახდენს თოთოეულ კრიმინალურ საჩივარზე (Hafford M. NYC Subway Harassment is up 50%, June 22, 2016).

2014 წელს, სოციალური მეცნიერების ცენტრის მიერ ჩატარდა კვლევა სამუშაო ადგილებზე სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებით, სადაც კითხვაზე „გამხდარხართ თუ არა სექსუალური შევიწროვების მსხვერპლი?“ პირდაპირ დადებითი პასუხი რესპოდენტთა 3%-მა გასცა და განაცხადა, რომ ერთხელ

მანც განუცდია სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროება. 2%-ის თქმით, ეს შევიწროება ბოლო 12 თვის განმავლობაში მოხდა, ხოლო მას შემდეგ რაც კითხვის ფორმულირება შეიცვალა, ხოლო შინაარსი აბსოლიტურად იგივე დარჩა, დადებითი პასუხის პროცენტული მაჩვენებელი 38%-მდე გაიზარდა, ხოლო კაცების რაოდენობამ კი 8%-ი შეადგინა.

ზემოთ მოყვანილი ფაქტებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სექსუალური შევიწროება ნამდვილად წარმოადგენს აქტუალურ პრობლემას მსოფლიოში, რომლის გადასაჭრელად სხვადასხვა ღონისძიებები ხორციელდება, თუმცა ჯერ კიდევ დიდი სამუშაოა გასატარებელი, რადგან საზოგადოებაში მყარადაა დამკვიდრებული სტერეოტიპები, რომელთა მიხედვითაც შევიწროების ეს სახე არასერიოზული, მსხვერპლისგან პროვოცირებული ან მხოლოდ ქალებისთვის არსებული პრობლემაა. ამ და სხვა სტერეოტიპების აღმოფხვა აუცილებელია, რათა საზოგადოებაში ტოლერანტულმა გარემომ დაისადგუროს და თანაც, სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სექსუალურ შევიწროებასთან ბრძოლა და მისი მაქსიმალურად ამოფხვრა გენდერული თანასწორობისა და ბალანსის დაცვის ერთ-ერთი საწინდარია.

რა შეიძლება გამოიწვიოს სექსუალურმა შევიწროებამ და რა შედეგებამდე შეიძლება მიიყვანოს მსხვერპლი? სექსუალური შევიწროება მსხვერპლისთვის ძალიან სტრესულია, მისი ნეგატიური შედეგები აისახება არა მხოლოდ სამუშაო, საქმიან გარემოზე, არამედ მსხვერპლის ჯანმრთელობასა და მის მენტალურ მდგომარეობაზე. მან შესაძლოა მსხვერპლში გამოიწვიოს დეპრესია, უძილობა, უსუსურობისა და თვით დანაშაულის შეგრძნება. ადამიანები ხშირად კარგავენ თავდაჯერებულობას და თუ ეს ხორციელდება სამუშაო ადგილზე, შესაძლოა მსხვერპლი საარ-

სებო წყაროს გარეშე აღმოჩნდეს. უფრო მეტიც, თუ მსხვერპლი გადაწყვეტს ასეთი სამსახურის დატოვებას, ცული რეკომენდაციის შემთხვევაში, მის მომავალ კარიერულ წინსვლასაც შეექმნება საფრთხე. თუ სექსუალური შევიწროება სამუშაო ადგილზე ხორციელდება, იგი ბუნებრივია, ნეგატიურ გავლენას ახდენს ორგანიზაციაზე, რადგან შეიძლება ორგანიზაციამ დაკარგოს ძლიერი თანამშრომლები ან აღნიშნულმა ფაქტმა გამოიწვიოს დასაქმებულებში მოტივაციის შემცირება, და რასაკვირველია, ნეგატიურად აისახება მათ იმიჯზე.

რა უნდა გაკეთეს საზოგადოების მხრიდან სექსუალური შევიწროების პრევენციის მიზნით? ამ ყოველივეს გამოსასწორებლად აუცილებელია საზოგადოებაში და დასაქმების სფეროებში ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარება, როგორცაა ტრენინგები, შეხვედრები, საინფორმაციო ბუკლეტები. საჭიროა სამუშაო ადგილებზე ხელი შეეწყოს განსხვავებულ სქესთა დაწინაურების თანაბარ შესაძლებლობას, მათთვის დაცული გარემოს შექმნას და დაფასებას რომელიმე სქესისთვის არატრადიციული პროფესიის არჩევის შემთხვევაში.

სექსუალური შევიწროების შემთხვევაში კარგია, თუ მსხვერპლი საკუთარ პოზიციას მყარად გამოხატავს, ან აცნობებს მისთვის სანდო პიროვნებას, სამსახურის შემთხვევაში მაღალი თანამდებობის მქონე პირს, ორგანიზაციას ან სახალხო დამცველის აპარატს, რომლის მოვალეობაც გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის მიხედვით, გენდერული თანასწორობის დარღვევებზე რეაგირებაა. აუცილებელია, მსხვერპლს ჰქონდეს შევიწროების ამსახველი წერილობითი ჩანაწერი, დამამტკიცებელი შეტყობინებები, აუდიოფაილები, არასასურველი საჩუქრები ან სხვა სახის მტკიცებულებები.

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა დღეს ამ მიმართულებით ქართული კანონმდებლობის დახვეწაა. დღემდე ტერმინი “სექსუალური შევიწროება” საქართველოს კანონმდებლობაში არსად მკაფიოდ არ არის განმარტებული. აუცილებელია, რომ პირველ რიგში ხელისუფლების ძალისხმევით შეიქმნას და ჩამოყალიბდეს სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შევლენ როგორც საჯარო, ასევე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები, გენდერის ექსპერტები, რათა კოორდინირებულად მოხდეს სექსუალური შევიწროების რეგულაციების ფორმებსა და მასთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან ასპექტებზე შეთანხმება და შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოს მომზადება. საჭიროა განიმარტოს, თუ რას ნიშნავს ტერმინი „შევიწროება“ ანტიდისკრიმინაციულ კანონში, ასევე კანონმდებლობის დასახვეწად საჭიროა ცვლილების განხორციელება შრომის, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის კოდექსში. საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროება უნდა გახდეს სისხლის და ასევე, ადმინისტრაციულ სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევა, რომელიც დამნაშავეს ადმინისტრაციულ სამართლებრივ ან სისხლის სამართლებრივ სანქციებს დააკისრებს. დღევანდელი შრომის კოდექსში არსებობს ჩანაწერი, რომელსაც დისკრიმინაციის ზოგადი აკრძალვა შემოაქვს, თუმცა იგი არანაირად არ ეხება და არ გულისხმობს კონკრეტულად სექსუალურ შევიწროებას, ან მის ფორმებს. იგივე შეიძლება ითქვას კანონზე „გენდერული თანასწორობის“ შესახებ, რომელიც განმარტავს დასაქმების ადგილზე სექსუალურ შევიწროებას, თუმცა არ განსაზღვრავს მას დასჯად ქმედებად.

ფაქტია, რომ ქალთა და გოგონათა უსაფრთხოება და თავისუფლება, როგორც ადამიანის ფუნდამენტური უფლება, სერიოზული საფრთხის ქვეშ დგას როგორც საქართველოში, ასევე მის

ფარგლებს გარეთ, მათ შორის ისეთ დემოკრატიულ და განვითარებულ სახელმწიფოებშიც, როგორცაა ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ქვეყანა აღიარებს მამაკაცისა და ქალის თანასწორობას და აღნიშნული გენდერული ბალანსის დასაცავად შემუშავებულია მთელი რიგი რეგულაციები, ყოველდღიურ ცხოვრებაში მაინც ვაწყდებით ისეთ შემთხვევებს, როდესაც ჩვენი მეგობრები, ნაცნობები და თანამოქალაქეები ხდებიან გარკვეული დისკრიმინაციის მსხვერპლნი. მიუხედავად უკვე არსებული გარკვეული ბერკეტებისა ასეთ შემთხვევათა წინააღმდეგ საბრძოლველად, საჭიროა უფრო ეფექტური და მრავალმხრივი კამპანია, რომელშიც აქტიურად იქნებიან ჩართულნი, როგორც სახელმწიფო სტრუქტურები, ასევე სამოქალაქო საზოგადოების ყველა სეგმენტი. ამ შემთხვევაში საქმე გვექნება არამხოლოდ საზოგადოების მხრიდან სოლიდარობასთან, არამედ სახელმწიფოს მხრიდან ქმედითი რეგულიციების გატარებასთან, რაც გარკვეულ დონეზე შეამცირებს მოძალადეთა რაოდენობას და პოტენციურ მოძალადეს გაუქრობს დანაშაულის ჩადენის სურვილს.

გამოყენებული ლიტერატურა

- 1) გაეროს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღკვეთის კომიტეტი, ზოგადი რეკომენდაცია №19, „ქალთა მიმართ ძალადობა“
- 2) ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ, მუხლი 40
- 3) საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2015). „ქალები და კაცები საქართველოში“

- 4) „სექსუალური შევიწროვება (ჰარასმენტი) ტრანსპორტში“. Gender Information Network of South Caucasus. 2014-11-27. From <http://www.ginsc.net/home.php?option=article&id=31014&lang=ge>
- 5) „სახელმწიფომ სექსუალური შევიწროვება დასჯადი უნდა გახადოს“. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. 2016-04-08. From <https://gyla.ge/ge/post/sakhelmtsifom-seqsualuri-shevitsroeba-dasjadi-unda-gakhados>
- 6) პურნოვა, ალა. „სექსუალური შევიწროვება საჯარო სივრცეში: ძალაუფლების დეკლარირება თუ უჩინარი დისკრიმინაცია?“ სამხრეთ კავკასია, ფემინიზმი და გენდერული დემოკრატია. 2016-02-19. From <http://www.feminism-boell.org/ka/2016/02/19/seksualuri-shevicroeba-sajaro-sivrceshi-zalauplebis-deklarireba-tu-uchinari-diskriminacia>
- 7) ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტო (2014), „ძალადობა ქალების მიმართ: ევროკავშირის მასშტაბით ჩატარებული ვლევა. ძირითადი შედეგები“
- 8) პეკინის ჟონგზუს ქალთა სამართლებრივი კონსულტაციისა და მომსახურების ცენტრი, WomenWatch China და შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (2010), „სახელმძღვანელო სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროვების პრევენციის შესახებ“
- 9) საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსი, article 222-333 du code penal
Retrieved on 06.16.2017 from: <http://www.bbc.com/news/world-europe-36297081>
- 10) Bassham.D (2009). *False Complaints of Sexual Harassment: A Practical Approach*

- 11) Chapitre 2. Art. 2. (Service Public Federal Interieur et Institut Pour L'Egalite des Femmes et des Hommes), Publié le : 2014-07-24. Retrieved on 03.16.2017 from http://www.ejustice.just.fgov.be/cgi/article_body.pl?language=fr&caller=summary&pub_date=14-07-24&numac=2014000586
- 12) Half of women in UK have been sexually harassed at work, study finds". Gender Information Network of South Caucasus. 2017-03-02. Retrieved on 02.10.2017 from:<http://www.ginsc.net/home.php?option=article&id=35476&lang=en>
- 13) ILO: Equality in Employment and Occupation: Special Survey on equality in employment and occupation is respect of Convention No.111, Geneva, 1996, .p. 39
- 14) Strub S., Schär M. Risque et ampleur du harcèlement sexuel sur le lieu de travail. Une enquête représentative en Suisse alémanique et en Suisse romande, Berne 2008 Retrieved on 06.16.2017 from (<http://www.ebg.admin.ch/themen/00008/00074/00219/index.html?lang=fr>)
- 15) "Reports of sexual harassment and assault on NYC subway skyrocket more than 50%". Gender Information Network of South Caucasus. 2016-06-22. Retrieved on 01.10.2017 from <http://www.ginsc.net/home.php?option=article&id=34457&lang=en>

Eka Darbaidze
Ilia State University,
Institute of Political Science

Sexual Harassment in the Public Space: Georgian and World Experience

Resume

Sexual harassment is defined as unwelcome sexual advances, requests for sexual favors, and other verbal or physical conduct of a sexual nature. Violence and harassment are attacks on personal dignity, the right to equal and non-discriminatory treatment and often a person's health. Workers affected by it feel insecure about their work; they are more frequently absent and may even be unable to work, with consequent impacts on productivity and corporate and public costs.

The Public Defender of Georgia, in his "Special Report on Women's Rights and Gender Equality" (2015), identifies sexual harassment in the workplace as one of the most widespread and unreported issues.

The practice of countries that have been successful in preventing sexual harassment shows that introduction of such mechanisms by employers is far more effective and less costly than legal action. All private and public employers should clarify that they do not tolerate sexual harassment; not only because it constitutes discrimination but also because it reduces productivity and is demoralizing for staff. An environment that is free from sexual harassment, on the other hand, shows that the employer cares about

its staff, which has a positive impact on the quality of work, the working environment and the public image of the organization.

I think that the primary weapon to combat sexual harassment is to raise awareness, to openly discuss the problem, support reporting by creating complaints mechanisms and not to criticize victims who choose to speak out about their experiences. Solidarity between colleagues is also important; colleagues can provide helpful information to the victim and support her or him to report the incident.

FACING CIVIC CONSCIOUSNESS: A COMMODIOUS CONCEPT FOR EMPIRICAL RESEARCH

Introduction

The study of relationships between citizens and the state continues to be the focus of scientific research as one of the essential factors underlying the success of democratic institutions. Field-specific concepts and methodological approaches have been developed for more systematic and grounded studies on this topic. Among these concepts, the concept of civic consciousness has been employed in practical discourses and applied sociological researches. Nevertheless, though its' potential to be developed as a singular and autonomous theoretical framework which will enable triggering a meaningful interpretation of factors underlying the civic behavior and self-reflection, the concept of civic consciousness still remains raw and disregarded. The concept has not received its concrete and widely accepted meaning at the academic level; there is a lack of empiric research and data supporting to the further theoretical development of the concept. As a result this leads to the various interpretations and misinterpretations of the concept which complicates the development of strong theoretical framework based on empiric evidences.

To address this issue, the paper endeavors to introduce the concept of civic consciousness as a viable and useful concept in applied sociological research. The paper reveals how the literature has dealt with this concept and derives the key interpretations of the latter. Through analyzing the general approaches found in the literature and study of the cohesive concepts including common consciousness, political consciousness, political culture, civic culture and civic competence, a

working definition of civic consciousness has been identified and introduced, which will further enable quantitative reflection of civic consciousness in applied sociological researches. Based on main dimensional approaches, a multidimensional definition and structure of civic consciousness is established and proposed.

Literature review

The term “civic consciousness” most frequently has been employed at the discursive level commonly to specify attitudes and participation of citizens in governmental, public and civic life along with the other perceptions of the term. As for academic level, the concept has not received its substantial and widely accepted meaning and interpretation. The existing empirical researches generally do not go deep into the definition of the term and take the intuitive perception of the latter as granted.

One of the introducers of the term to the academic literature was M. Janowitz, who used the latter with the meaning of “citizen’s being conscious of duties towards state and home country” [Janowitz, M., 1983]. According to Janowitz civic consciousness is broad awareness of social and political responsibility which combines elements of reason, self-criticism and political commitment with themes such as social identity, personal habits, knowledge and values.

Further interpretations of the concept depart from the Janowitz’s approach to introduce civic consciousness merely as “consciousness of duties towards state and home country” and focus most on civic values and attitudes towards democratic institutions. Introducing the concept of “civic consciousness” as a “tentative” and meanwhile “viable” one, J. Sandal emphasizes that it can be used to describe “individual process of orientation in social and political life” [Sandahl, J., 2015, 1-15]. Sandal outlines that civic consciousness aims at “understanding of contemporary political life and political alternatives” [Sandahl, J., 2015, 1-15]. D. Close describes civic consciousness as aggregate of attitudes relating to the following: respect for law, support of government, concern for fellow

citizens, and the willingness to promote public welfare [Close, D., 2003, 63-78]. T. Huasheng interprets civic consciousness as the initiative knowledge of the relationship between individuals and the state or society; “the rational cognition of citizenship, civic rights and liabilities and civic virtues; the internalization and identification of the social behavioral norms and basic values” [Huasheng, T., 2012, 110-116].

The empirical researches referring to the civic consciousness are quite limited [e.g. Bunzl M., 2012, 105-123; Pope IV, A. 2014, 241–256; Sandahl, J., 2015, 1-15; Cheung Ch., Ty Lee, Chan W., Leung K., 2014, 651-660; Valeeva A. R., Koroleva E. N. & Sakhapova K. F., 2014, 350-353; Anisa, M. 2015, 454-469; Kovalchuk, V. 2015, 13-15; and etc.]. Within these quantitative empirical researches there are quite limited attempts of revealing underlying structure of civic consciousness. One of the attempts to measure civic consciousness is in the context of revealing influence of young people’s engagement in activities in the school, youth center, family and mass media on their civic consciousness [Cheung Ch., Ty Lee, Chan W., Leung K., 2014, 651-660]. On the other case the authors used three components to describe the level of Technical University Students’ civic consciousness, which are cognitive, emotional and personal, practice-effective components [Valeeva A. R., Koroleva E. N. & Sakhapova K. F., 2015, 350-353]. Huasheng uses the following dimensions to describe civic consciousness in contemporary China: cognition of own roles, national identity, political participation, legal consciousness, moral consciousness, ecological civilization, global citizenship [Huasheng, T., 2012, 110-116]. Angelou J. provides further development to Huasheng’s approach and identifies five factors underlying the civic consciousness as follows: personal identity and citizenship, national identity, moral consciousness, ecological consciousness and social citizenship [Angelou J., 2015, 161-165].

To summarize, most of the researches aim at studying the level of development of civic consciousness among youth in the context of educational processes [e.g. Kovalchuk, V. 2015, Valeeva A. R., Koroleva E. N. & Sakhapova K. F., 2014, Valeeva A. R., Koroleva E. N.

& Sakhapova K. F., 2015 and etc.]. The authors prefer to adopt qualitative approaches while dealing with civic consciousness [e.g. Sandahl, J., 2015, Bunzl M., 2012, Pope IV, A. 2014, Anisa, M. 2015, Kovalchuk, V. 2015, and etc.] rather than bringing it to the sphere of “numbers” [e.g. Huasheng, T., 2012, Cheung Ch., Ty Lee, Chan W., Leung K., 2014 and etc.]. On the whole, the review of key literature reveals limited attempts to reveal underlying structure of civic consciousness. Most of the definitions of civic consciousness in some sense outline its multidimensionality describing it as an aggregation of particular personal attitudes and characteristics serving as components of the concepts [e.g. Close, D., 2003, 63-78, Huasheng, T., 2012, 110-116, Angelou J., 2015, 161-165 and etc.].

Deriving a definition of “civic consciousness”

The employment of the term “consciousness” in social vocabulary enables to adopt the notion of “reflexivity” which commonly belongs to psychology and enables to interpret the “civic” orientations in lens of reflexivity defining it as one of the important components of the concept. As S. Ahonen states, the notion of consciousness is important as it gives a personal meaning-attribution and is not merely about knowledge and cognizance [Ahonen, S., 2005, 697-707]. The application of reflexivity enables to escape the risk of oversimplification of the concept over being merely defined as “knowledge”, “competence” and “orientations” towards the object.

Bearing in mind the final aim of introduction of the “civic consciousness” into empiric research and construction of a measurement model for the latter we derive multidimensional definition of the civic consciousness, which considers incorporation of dimensions habitually associated with this notion. Based on the analytical review of approaches found in the literature we propose integration of the psychological dimensions of constructs - cognitive, affective and behavioral dimensions. These dimensions of the civic consciousness are identified as follows: civic competence which is cognitive dimension and includes

items referring to recognition of civic and democratic values and norms, forms of civic engagement and etc., civic orientations and beliefs which are affective dimension and include items referring to orientations and beliefs towards civic values and norms, towards engagement to civic, political and public life and etc., and deliberate civic behavior which is behavioral dimension and include items referring to the commitment of engaging into civic life, public discussions and etc., and finally self-reflection which is dimension referring to the orientations and beliefs towards the “self” as a citizen and civic actor.

The objects of components of the “civic consciousness” were accordingly identified based on the study of existing literature. Following to the statement of B. Steenbergen who represents citizenship as the notion of participation in public life (which is broader than political life) and departs from a strict political definition of a citizen to a broader (somewhat more sociological) definition, emphasizing the relationship of the citizen with society as a whole [Steenbergen B. V., 1994, 1-9], we distinguish three broad classes of the objects of orientations of the “civic consciousness”: civic sphere, some aspects of public life and some aspects of political life. The borders of these spheres are not precisely defined, but rather interweaved. All these spheres have their intersections with each other, meanwhile having their unique characteristics. In addition to these three main spheres, we distinguish also “self” as a fourth object of orientations. This kind of definition of object differs from the one of civic culture defined by Almond and Verba, who treated the object of orientations of civic culture to be merely political system rather than public or civic [Almond, G., Verba S., 1963, pp. 15-26].

Thus, based on the defined dimensions and object of orientations of “civic consciousness” we can derive the definition of the latter as a system of particular personal immanences which express ones competences, orientations, beliefs and deliberate behavior as well as self-reflection towards civic sphere, some aspects of political and public spheres. Civic consciousness of a group or society is defined as a

compound of civic consciousness of individuals of the particular group/society. This definition enables us to establish multidimensionality of civic consciousness considering it as a latent construct, being intangible and unobservable in a direct manner, which can be measured through a combination of directly observed items.

Relationship of the “civic consciousness” to the cohesive concepts

In this part we introduce civic consciousness in the context of its relationships to the cohesive concepts such as common or collective consciousness, political consciousness, political culture, civic culture and civic competence. This aims at better positioning the concept of civic consciousness within the framework of these conceptual frameworks and emphasizing the distinction and singularity of the latter. To interpret the relationship of civic consciousness to its cohesive concepts we compared the immanence's of the subjects (orientations, cognition, views and etc.) and object of these immanences (political system, civic society and etc.).

Common or collective consciousness is an umbrella concept within the context of which civic consciousness is to be interpreted. E. Durkheim defined collective consciousness as “the totality of beliefs and sentiments common to the average members of a society which forms a determinate system with a life of its own” [Durkheim, E., 1997, pp. 38-39]. Individual consciousness is a projection of collective consciousness; which means that one may affect in collective consciousness in rare cases, but generally individual consciousness depends on collective one. Analogy to the common consciousness the civic consciousness of society is defined as a compound of indicators of individuals' civic consciousness which is very close to Durkheim's definition of “common to the average members”.

Political consciousness is defined as a mode of common consciousness which is compound of theories, ideas, views and notions that reflects attitudes towards political order, political system as well as political institutions and leaders [Ирхин Ю., Зотов В., Зотова Л., 2002,

511]. The distinction between the concepts of political consciousness and civic consciousness is as follows: political system, political institutions and leaders are defined as the main objects of the orientations in case of political consciousness unlike civic consciousness which incorporate political, civic and public spheres. The immanence of the subject in case of political consciousness includes theories, ideas, views and notions unlike civic consciousness which triggers psychological dimensions (cognitive, affective, behavioral and self-reflectional).

By its definition civic consciousness is very close to the concept of political culture as defined by G. Almond and S. Verba [Almond, G., Verba S., 1963, pp.15-26:], however there are several conceptual differences between these concepts. The object of orientations of political culture is generally defined as political sphere unlike civic consciousness which involves above mentioned three general spheres of the object of orientations. Civic culture is considered to as developed as high is the political participation of citizens. For civic consciousness we shift to more realized and deliberate participation of citizens which considers not the absence or presence of any action but rather positioning of any action as reflection of civic orientations.

As for the next cohesive concept - civic competence, it is characterized as the ability required for enabling individuals to become active citizens [EU Education Council, 2006], which is defined as participation in civil society, community and/or political life, characterized by mutual respect and non-violence - in accordance with human rights and democracy [Hoskins, B., and others, 2006]. Civic competence is defined to include two dimensions: cognitive dimensions (knowledge and skills) and affective dimensions (attitudes and values) unlike civic consciousness which includes four dimensions.

Conclusion

The concept of “civic consciousness” has been employed in practical discourses and empirical research; however the precise and widely accepted definition of the term has not been identified as for now.

We propose definition of “civic consciousness” as a system of particular personal immanence which expresses ones competences, orientations, beliefs and behavior as well as self-reflection towards civic sphere, and some aspects of political and public spheres. Civic consciousness of a group or society is defined as a compound of civic consciousness of individuals of the particular group/society. Thus we propose establishment of multi-dimensional definition of civic consciousness proposing an operationalization which includes four basic dimensions comprising it (cognitive, affective, behavioral and self-reflection) and object of the orientations as follows: civic sphere, some aspects of public and political life, and “self”.

The introduction of relationships of civic consciousness to it’s cohesive concepts including common consciousness, political consciousness, political culture, civic culture and civic competence, revealed some conceptual similarities and at the same time essential distinctions between these concepts. These dissimilarities emphasize the singularity of the concept of civic consciousness to be studied as a distinct research question.

Literature

Ирхин Ю., Зотов В., Зотова Л., (2002), Политология: Учебник, М.: Юристъ, 511 с.

Ahonen, S., (2005), "Historical consciousness: a viable paradigm for history education?" in *Journal of Curriculum Studies*, Volume 37, Number 6, pp. 697-707

Almond, G., Verba S., (1963), "The Civic Culture: Political Attitudes and Democracy in Five Nations", Princeton: Princeton University Press, pp. 15-26

Angelou J., (2015) Scale on Civic Consciousness (SCC) for the National Service Training Program, *International Journal of Humanities and Management Sciences (IJHMS)* Volume 3, Issue 3, pp 161-165

Anisa M., (2015), "Active citizenship, dissent and civic consciousness: young Muslims redefining citizen-ship on their own terms", *Identities: Global Studies in Culture and Power*, April, pp. 454-469

Bunzl M., (2012), "Discovering an integral civic consciousness in a global age: Global problems, global governance, and denial", *Journal of Integral Theory and Practice*, March, pp. 105-123

Cheung Ch., Lee Ty, Chan W., Leung K., (2004), "Developing civic consciousness through social engagement among Hong Kong youths", *The Social Science Journal* 41(4), December, pp. 651-660,

Close, D. (2003), Is civic consciousness strengthening in Greece? Evidence in the Historical and Western European Contexts. In E. Close, M. Tsianikas and G. Frazis (Eds.) "Greek Research in Australia: Proceedings of the Fourth Biennial Conference of Greek Studies, Flinders University.", pp. 63-78

Durkheim E., (1893) *The Division of Labor in Society*. Trans. W. D. Halls, intro. Lewis A. Coser. NewYork: FreePress, 1997, p. 38-39

European Union, Education Council, (2006), "Recommendation of the European Parliament and the Council of 18 December 2006 on

key competencies for lifelong learning”, Official Journal of the European Union, Brussels

Hoskins, B., Jesinghaus, J., Mascherini, M., Munda, G., Nardo, M., Saisana, M., Van Nijlen, D., Vidoni, D and Villalba, E., (2006), *Measuring Active Citizenship in Europe*. Ispra: European Commission Institute for the Protection and Security of the Citizen

Huasheng T., (2012), *A Survey on Civic Consciousness in Contemporary China*, *International Education Studies*; Vol. 5, No. 6; pp. 110-116

Janowitz, M., (1983), “The reconstruction of patriotism: Education for civic consciousness.” Chicago: University of Chicago Press

Kovalchuk V., (2015), “Civic Consciousness Development of Youth in the Context of Educational Re-forms”, *The US Experience, Comparative Professional Pedagogy*, 5(2)/2015, pp. 13-15,

Lange, D., & Onken, H., (2013), Political socialization, civic consciousness and political interest of young adults. In M. Print, & D. Lange (Eds.), *Civic education and competences for engaging citizens in democracies*. Rotterdam: Sense Publishers, pp. 65-76

Pope IV, A., (2014), “Critical civic consciousness: Exploring the US civic opportunity gap with Giroux and Freire”, *Citizenship Teaching & Learning* 9: 3, pp. 241–256

Sandahl, J., (2015), *Civic consciousness: A viable concept for advancing students’ ability to orient themselves to possible futures? Historical Encounters: A journal of historical consciousness, historical cultures, and history education*, 2(1), pp. 1-15

Steenbergen B. V., (1994), “The Condition of Citizenship: An Introduction”, London, pp. 1-9

Valeeva A. R., Koroleva E. N. & Sakhapova K. F., (2015), “Civic Education of the Technical University Students in Foreign Language Classes”, *Review of European Studies*; Vol. 7, No. 1, Canadian Center of Science and Education, pp. 176-181,

Valeeva A. R., Koroleva E. N. & Sakhapova K. F., (2015),
“Development of The Technical University Students’ Civic
Consciousness”, Procedia - Social and Behavioral Sciences, May,
Volume 186, pp. 350-353

ФАКТОРЫ, ВЛИЯЮЩИЕ НА ФОРМИРОВАНИЕ НАЦИОНАЛЬНОЙ ИДЕНТИЧНОСТИ В СОВРЕМЕННОЙ ЭПОХЕ В СЕВЕРНОМ КАВКАЗЕ

Введение

Кавказский регион находится в очень выгодном географическом положении между Черным и Каспийским морем в пересечении Европы и Азии. Северный Кавказ является многонациональным, многоязычным, многоконфессиональным регионом России. Регион привлекает не только разнообразной природой, а также разнообразным населением. Как известно более 170 народов живут в Российской Федерации и более 60-ти из них относятся к Северному Кавказу. Основой государственной политики Российской Федерации является сохранение национальной идентичности этнических групп, развитие культуры и сохранение этнических и национальных языков.

Правовой статус национальных меньшинств в государственных законах и в международном правовом акте

Государство управляет эту политику на основе правовых и нормативных актов. В Российской Федерации существует собственная, весьма обширная, нормативно-правовая база, призванная гарантировать защиту прав национальных меньшинств.

Первым шагом на пути защиты прав национальных и этнических меньшинств, проживающих на территории страны было

The aim of this research is to analyze the influence of the Georgian Orthodox Church (GOC) on various areas of social life. The Church's high and growing influence is in correlation with spreading its growing presence in almost all areas of social life. However, we focus on the role of the Orthodox Church in the political processes, which is studied and interpreted on the basis of the sociological surveys. These data are further ground upon the analysis of the discourses of civil society actors and clerical sermons. In addition, the research discusses the attitudes of young people toward the process of secularization. The research measures specific indicators, which, in our opinion, in the best way identify value orientations of the Georgian youth. The respective survey was carried out in 2014 and 2015.

Keywords: Civil consciousness, Georgian Orthodox Church, the political functions of the church, religion, secularism, institutional differentiation, modernization, democratization.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლებასთან დაკავშირებით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უკანასკნელ წლებამდე კონსტიტუციის 29-ე მუხლთან მიმართებით საქმეები ფაქტიურად არ განუხილავს, შესაბამისად, 2014 წლამდე სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლებასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს საკუთარი მიდგომები არ ჩამოუყალიბებია. 2014 წლიდან საკითხმა განსაკუთრებული მნიშვნელობა და აქტუალობა შეიძინა. შემოსული სარჩელების კვალდაკვალ საკონსტიტუციო სასამართლოსაც მიეცა შესაძლებლობა განევიტარებინა საკუთარი დოქტრინები და კანონმდებლისთვის საკითხის მისეული ხედვა ეჩვენებინა. სწორედ ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თუნდაც იმ მწირი პრაქტიკის შესწავლა, რაც 2014 წლიდან დღემდე ამ მუხლთან დაკავშირებით არსებობს.

საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლი იცავს მოქალაქის უფლებას, ჰქონდეს თავისუფალი წვდომა სახელმწიფო სამსახურზე [1, II-19], განამტკიცებს მის უფლებას, დაიკავოს როგორც არჩევითი, ასევე დანიშნითი თანამდებობა და ადგენს სახელმწიფო სამსახურის განხორციელების კონსტიტუციურ საფუძვლებს. ამასთან, კონსტიტუციის აღნიშნული დებულება მოიცავს არა მხოლოდ კონკრეტული თანამდებობის დაკავების, არამედ ამ თანამდებობრივი უფლებამოსილების შეუფერხებლად განხორციელებისა და თანამდებობიდან უსაფუძვლოდ გათავისუფლებისაგან დაცვის

გარანტიებს [3, II-1] განვიხილოთ თითოეული უფლებრივი კომპონენტი.

1) **თანამდებობის დაკავების უფლება.** საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულია სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლება, თუმცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ეს უფლება არ მიეკუთვნება აბსოლუტურად დაცულ უფლებათა კატეგორიას და საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს მისი საკანონმდებლო წესით შეზღუდვის შესაძლებლობას საზოგადოებაში არსებული ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად. კერძოდ, კანონმდებლობა შესაძლებელია ადგენდეს სპეციალურ მოთხოვნებს სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად. რიგ შემთხვევებში შეზღუდვა შეიძლება უკავშირდებოდეს ასაკს, პროფესიულ/სამსახურებრივ გამოცდილებას, განათლებას, ფიზიკურ მომზადებას, ნასამართლობის არქონას და ა.შ. მაგრამ სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლების შეზღუდვისას კანონმდებელი ვალდებულია, დაიცვას გონივრული ბალანსი შეზღუდვის გამოყენებულ საშუალებებსა და ლეგიტიმურ მიზანს შორის. [4, II-36] როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ 2014 წლის 23 მაისის N3/2/574 გადაწყვეტილებაში განაცხადა, საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის ფარგლებში, კანონი, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო სამსახურის პირობებს, უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციურ სტანდარტებს. [1 II-20] 2015 წლის 31 ივლისის N2/1/572 გადაწყვეტილებაში კი დააზუსტა, რომ თანამდებობის დაკავების უფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც თანამდებობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ამის საჭიროება რეალურად და ობიექტურად არსებობს და არა ბლანკეტურად, ინდივიდუალური გარემოებების შეფასების გარეშე [5, II-25].

სწორედ ბლანკეტური ხასიათის გამო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველ

პუნქტთან მიმართებით არაკონსტიტუციურად მიიჩნია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის 4¹ პუნქტი, რომლის თანახმადაც სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეთათვის გათვალისწინებული იყო 3 წლიანი გამოსაცდელი ვადა, მოსამართლის თანამდებობაზე მათ უვადოდ გამწესებამდე. მოსარჩელები ასაჩივრებდნენ გამოსაცდელი ვადის არსებობის კონსტიტუციურობას იმ პირებთან მიმართებით, რომელთაც უკვე ჰქონდათ მოსამართლედ საქმიანობის 3 წლიანი გამოცდილება. სასამართლომ განმარტა, რომ შესაძლოა მოსამართლეთა შერჩევის პროცესში ობიექტურად არსებობდეს მოთხოვნები, რომლებთან შესაბამისობის დადგენაც უშუალოდ სამოსამართლო საქმიანობაზე დაკვირვებასა და მის შესწავლას საჭიროებდეს. ამდენად, ცალკეულ შემთხვევებში საკონსტიტუციო სასამართლომ გამოსაცდელი ვადის არსებობა ლეგიტიმური მიზნის მიღწევის გამოსადეგ საშუალებად მიიჩნია, თუმცა ასევე დაადგინა, რომ არსებული კანონმდებლობა იყო ზედმეტად ხისტი და არ იძლეოდა ინდივიდუალური მიდგომების შესაძლებლობას. გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: „მოპასუხე მხარის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი არგუმენტი, რომელიც გაამართლებდა სადავო ნორმის ბლანკეტურად გავრცელებას ყველა მოსამართლეზე, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც საქმე ეხება მოქმედ მოსამართლეს, რომელსაც აქვს არანაკლებ 3 წლიანი სამოსამართლო საქმიანობის გამოცდილება და მისი საქმიანობის შესწავლა არ არის სირთულეებთან დაკავშირებული. ამ შემთხვევაში გაუგებარი ხდება, რა მიზნის მიღწევას ემსახურება პირის მოსამართლედ გამწესება განსაზღვრული ვადით [8, II-44]. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმა მისი ბლანკეტური ხასიათის გამო არათანაზომიერად ზღუდავდა სახელმწიფო თანამდებობის დაკავების

უფლებას და ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველ პუნქტს.

2) თანამდებობრივი უფლებამოსილების შეუფერხებლად განხორციელების უფლება. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით საჯარო სამსახურში საქმიანობის კონსტიტუციით დაცული უფლება, გულისხმობს საჯარო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი საქმიანობის შეუფერხებელ განხორციელებას [6, II-4]. კონსტიტუციის 29-ე მუხლი... ავალდებულებს კანონმდებელს, დაადგინოს სახელმწიფო თანამდებობაზე საქმიანობის გონივრული პირობები და გაუმართლებლად არ შეზღუდოს მოქალაქის უფლება, მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო მართვაში [3, II-2].

საქმეში „საქართველოს მოქალაქეები - გიგა ბარათაშვილი და კარინე შახპარონიანი საქართველოს თავდაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ შეუფერხებელი განხორციელება მოიცავს კონკრეტული თანამდებობის ფუნქციურ უწყვეტობასაც. გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: მოქალაქის მიერ სამსახურებრივი საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელება პირდაპირ კავშირშია და მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული კონკრეტული თანამდებობის ფუნქციურ უწყვეტობასთან, საჯარო მოსამსახურის მიერ დაკავებული პოზიციის სრული ვადის განმავლობაში. კონსტიტუციის 29-ე მუხლის ფარგლებში, საჯარო სამსახურის პირობების განსაზღვრისას, კანონმდებელს განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს, არ მოახდინოს საჯარო მოსამსახურის მიერ დაკავებული თანამდებობის არსის, მისი დანიშნულების მოდიფიცირება/დაკნინება იმგვარად, რომ საფრთხე შეექმნას დაკავებული თანამდებობის ფუნქციურ დატვირთვას და ამგვარად, მოხდეს საჯარო მოხელის სამსახურებრივი საქმიანობის შეფერხება [6, II-5].

ამავე გადაწყვეტილებაში სასამართლომ კიდევ ერთი საინტერესო მოსაზრება დააფიქსირა. გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ:

აღნიშნული უფლებრივი კომპონენტი, მათ შორის, მოიაზრებს საჯარო სამსახურში დასაქმებული პირის უფლებას შესაბამის ანაზღაურებაზე, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს მოქალაქის წვდომას სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით დაფინანსებულ რესურსზე, მის მიერ გაწეული პროფესიული საქმიანობის სანაცვლოდ და, ამგვარად, სახელმწიფო სამსახურის აუცილებელ პირობას წარმოადგენს [6,II-4].

3) თანამდებობიდან უსაფუძვლოდ გათავისუფლებისაგან დაცვის გარანტიები. კონსტიტუციის 29-ე მუხლი მოიცავს თანამდებობიდან უსაფუძვლოდ გათავისუფლებისაგან დაცვის გარანტიებს. N1/2/569 გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ კანონით განსაზღვრული ვადის ფარგლებში საქმიანობის განხორციელების უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის არსებობის შემთხვევაში. [3, II-33] 2016 წლის 30 სექტემბრის N1/4/614,616 გადაწყვეტილებაში კი დააზუსტა, რომ ასეთი შეზღუდვების დამდგენი ნორმატიული აქტი უნდა აკმაყოფილებდეს განჭვრეტადობისა და სიცხადის მაღალ სტანდარტს. ამასთან, გარდა იმისა, რომ კანონმდებლობით ცხადად უნდა განისაზღვროს თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტი სახელმწიფოს ასევე ავალდებულებს, სათანადოდ გაწეროს საჯარო მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლებისათვის დადგენილი პროცედურები. საქმეში საქართველოს მოქალაქე ნათია იმნაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა: საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მოთხოვნას წარმოადგენს, რომ თითოეული საჯარო მოხელე უზრუნველყოფილი იყოს იმ მინიმალური პროცედურული გარანტიებით, რომლებიც აუცილებელი და საკმარისია მისი თანამდებობიდან დაუსაბუთებელი

გათავისუფლების თავიდან ასაცილებლად. [7, II-6] კონსტიტუციის ხსენებული დებულებით დაცული სფეროდან სამსახურიდან დაუსაბუთებლად გათავისუფლებისაგან დაცვისათვის მნიშვნელოვან პროცესუალურ გარანტიათა სრულად ამორიცხვა, მის მიღმა დატოვებდა ნორმებს, რომლებსაც რეალურად გააჩნია უფლების ხელყოფის რესურსი. [7, II-5] აღნიშნულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ერთი მხრივ, საჯარო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების მატერიალური საფუძვლები უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციით დადგენილ მოთხოვნებს, მეორე მხრივ კი, ნებისმიერი დისციპლინური საქმისწარმოება გარკვეული, კანონით დადგენილი პროცედურის შესაბამისად უნდა მიმდინარეობდეს, რადგან კონკრეტულ შემთხვევაში, გარკვეულ პროცესუალურ უფლებათა არარსებობამ/გამოუყენებლობამ შესაძლოა გავლენა იქონიოს თავად კონსტიტუციის 29-ე მუხლით დაცული მატერიალური უფლების რეალიზებაზე [7, II-5].

კონსტიტუციის 29-ე მუხლით დაცული, ზემოთ განხილული სამივე კომპონენტი ვრცელდება ნებისმიერ სახელმწიფო სამსახურზე, თუმცა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ დაკავებული თანამდებობის სპეციფიკის მიხედვით 29-ე მუხლით გათვალისწინებული ძირითადი უფლების კონსტიტუციური დაცვის გარანტიები შესაძლებელია განსხვავებული იყოს. 2014 წლის 23 მაისის N3/2/574 გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ თანამდებობის ლეგიტიმაციის წყაროს, კონსტიტუციური სტატუსის, კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის მოცულობის მიხედვით, თანამდებობის პირთა დამოუკიდებლობისა და ხელშეუხებლობის გარანტიები განსხვავებულია, რაც ნიშნავს, რომ ამაზე დამოკიდებულებით განსხვავებული უნდა იყოს უფლებაში ჩარევის წინაპირობები და პროცედურა [1, II-23].

აღნიშნულმა საკითხმა განსაკუთრებული აქტუალურობა შეიძინა საქმეში „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, რომელიც შეეხებოდა თბილისის არჩეული მერის თანამდებობიდან გადაყენების საკითხს. ზემოხსენებულ საქმესთან დაკავშირებით სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის N3/2/574 გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: „მოცემულ შემთხვევაში კონსტიტუციით დაცული სიკეთე შემოიფარგლება არა მხოლოდ მოსარჩელის კერძო ინტერესით, არამედ ასევე უკავშირდება ისეთ მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს, როგორცაა ამომრჩეველთა ნების რეალიზება. საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლით გარანტირებულ მოსარჩელის უფლებას დაცულობის ხარისხს მატებს ის გარემოება, რომ მოსარჩელე, როგორც არჩეული თანამდებობის პირი საკუთარ უფლებამოსილებას ამომრჩეველთა ნების საფუძველზე ახორციელებს. შესაბამისად, ხალხის მიერ არჩეული პირების თანამდებობრივი უფლებამოსილების შეჩერება/შეწყვეტა იმავდროულად გულისხმობს ხალხის მანდატის შეჩერება/შეწყვეტას და წარმოადგენს თვითმმართველობის ავტონომიაში ყველაზე უხეშ ჩარევას. ამიტომ ეს უნდა ხდებოდეს მხოლოდ მკვეთრად გამოხატული და ძალიან მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნებისთვის, რომელთა დაუცველობა, პირველ რიგში, თავად ამომრჩევლის ინტერესებს შეუქცევდად არღვევს, ამასთან, უკიდურეს შემთხვევებში, როდესაც ეს არის ერთადერთი და აუცილებელი გზა, იმავდროულად, ზედმიწევნით განჭვრეტადი, გასაგები, მკაცრად რეგლამენტირებული პროცედურით, რომელიც ეფუძნება ინტერესების სამართლიან ბალანსს [1, II-14].

საკონსტიტუციო სასამართლოს N1/2/569 გადაწყვეტილებაში დამატებით დაზუსტებულია, რომ მოსამართლის, სახალხო დამცველის, პარლამენტის წევრისა და მთავრობის წევრის (მინისტრის) სხვადასხვაგვარი ფუნქციისა და კონსტიტუციურ-სამართლებრივი როლის შესაბამისად, აღნიშნული სუბიექტები უნდა იქნენ გან-

ხილული, როგორც განსხვავებული დაცვის გარანტიებით აღჭურვილი სახელმწიფო თანამდებობის პირები. [3, II-9] ამავე გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ სახელმწიფო თანამდებობის პირის განთავისუფლება კონსტიტუციით დადგენილი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე მკაცრი კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტანდარტით უნდა შემოწმდეს იმ ნორმებთან კავშირში, რომლებიც უფლებამოსილების ვადას და ფარგლებს განსაზღვრავს, ვინაიდან, როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, ასეთ შემთხვევაში უფლებამოსილების ვადის ბოლომდე თანამდებობაზე ყოფნას განსაკუთრებული კონსტიტუციურ-სამართლებრივი მნიშვნელობა ენიჭება [3, II-31].

როგორც ვხედავთ, საკონსტიტუციო სასამართლომ სახელმწიფო სამსახურის ცალკეული სახეები განსაკუთრებული დაცვის ქვეშ მოაქცია და კანონმდებელს ზედმიწევნით ფრთხილი მიდგომისკენ მოუწოდა, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა ისიც, რომ არც ერთი თანამდებობა, მათ შორის, არც უშუალოდ ხალხის მიერ არჩევითი თანამდებობა, თავისთავად ვერ იქნება თანამდებობრივი უფლებამოსილების განხორციელებაში ჩაურევლობის, შეუზღუდაობის აბსოლუტური გარანტია. ყველაზე მაღალი ლეგიტიმაციის თანამდებობის პირის უფლებამოსილებაც შეიძლება ჩარევას დაექვემდებაროს, თუ რეალური და ობიექტურად ხელშესახებია საფრთხეები, რომლებიც გარდაუვლად დადგება პირის თანამდებობაზე დარჩენის შემთხვევაში [1, II-23].

საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის თაობაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის სწორი აღქმისთვის აუცილებელია კიდევ რამდენიმე საკითხზე ყურადღების გამახვილება. კერძოდ, უნდა განიმარტოს რა იგულისხმება ტერმინებში „სახელმწიფო თანამდებობა“ და „კანონი“.

საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლი ადგენს, რომ სახელმწიფო სამსახურის პირობები განისაზღვრება კანონით, რაც

გულისხმობს, რომ აღნიშნული კონსტიტუციური უფლების მომწესრიგებელი სამართლებრივი ბაზა, მათ შორის, მისი შემზღვეველი რეგულაცია მიღებული უნდა იყოს კანონის ფორმით. აღნიშნულთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ „კანონს“ კონსტიტუციის 29-ე მუხლის მიზნებისათვის აქვს დამოუკიდებელი კონსტიტუციური მნიშვნელობა და ის არ შეიძლება განიმარტოს ვიწროდ. 2016 წლის 30 სექტემბრის N1/4/614,616 გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: „...საკონსტიტუციო სამართალწარმოების მიზნებისთვის ნორმატიული აქტის შინაარსი არ ამოიწურება ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული დეფინიციით. საქართველოს პარლამენტი არის ორგანო, რომელსაც აქვს უფლებამოსილება, კონკრეტული საკითხის მოწესრიგების დელეგირება მოახდინოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოზე ან ადმინისტრაციულ დაწესებულებაზე. [6, II-18] განსახილველ საქმეებში საქართველოს თავდაცვის მინისტრის ორივე ბრძანებას, რომელიც არეგულირებდა სახელმწიფო სამსახურის პირობებს, ჰქონდა კანონით გათვალისწინებული საფუძველი. აღნიშნულზე დაყრდნობით საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო საქართველოს პარლამენტის მხრიდან კონკრეტული სამართალურთიერთობების მოწესრიგების დელეგირება თავდაცვის მინისტრზე, რაც შესაბამისობაშია საკანონმდებლო ორგანოს კონსტიტუციურ უფლებამოსილებებთან და, დაადგინა, რომ სადავო ნორმები ფორმალურად აკმაყოფილებდა კონსტიტუციის 29-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.

განმარტებას საჭიროებს ასევე ტერმინი „სახელმწიფო თანამდებობა“. კონსტიტუციის 29-ე მუხლით დაცულია არა ნებისმიერი, არამედ კონკრეტულად სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლება და ამ უფლების ცალკეული კომპონენტები. ამასთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლომ 2014 წლის 19

თებერვლის N1/1/569 საოქმო ჩანაწერში მიუთთა, რომ „სახელმწიფო თანამდებობა“ არის კონსტიტუციური ტერმინი, რომელიც უნდა განიმარტოს მისი ავტონომიური კონსტიტუციური მნიშვნელობით, მისი ბუნებისა და კონსტიტუციურ-სამართლებრივი დატვირთვის გათვალისწინებით“. [2, II-3] ამავე საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ კონსტიტუციის 29-ე მუხლის მიზნებისთვის სახელმწიფო სამსახური არის პროფესიული საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში [3, II-3] და საჯარო ფუნქციის განხორციელების მიზნით ჩამოყალიბებულ სხვა ინსტიტუციებში. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონსტიტუციის მიზნებისთვის, პრინციპულად არასწორი იქნებოდა „სახელმწიფო თანამდებობის“ ცნებაში მხოლოდ სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და კანონით განსაზღვრული საჯარო მოხელეების მოაზრება. კონსტიტუციური ტერმინის ამგვარი ვიწრო განმარტება კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტიების მიღმა დატოვებდა საჯარო ფუნქციის განმახორციელებელ სხვა პირებს. ... ამით გაუმართლებლად გაფართოვდებოდა ხელისუფლების დისკრეცია საჯარო ხასიათის ამოცანების შემსრულებელ პირთა დანიშვნის (არჩევის) და საქმიანობის მომწესრიგებელი ნორმების მიღების პროცესში, რაც აშკარა წინააღმდეგობაში მოვიდოდა კონსტიტუციის 29-ე მუხლის მიზნებთან [3, II-4].

ამავე გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა შემდეგ ფაქტორზე: სახელმწიფო თანამდებობაზე საქმიანობა, თავისი შინაარსით, წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის განსაკუთრებულ, სპეციფიკურ სეგმენტს. მისი სპეციფიკურობა უპირველესად განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ამ შემთხვევაში დამსაქმებელს წარმოადგენს სახელმწიფო. [3, II-5] სწორედ სახელმწიფო-დამსაქმებლის ფაქტორზე დაყრდნობით საკონსტიტუციო სასამართლომ 29-ე მუხლის დაცვის ქვეშ მოაქცია

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო. გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: „მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სამეურვეო საბჭოს წევრს, მეურვეს ირჩევს საქართველოს პარლამენტი (უკანასკნელი ცვლილებების განხორციელებამდე, მეურვის არჩევა ხდებოდა პარლამენტის მიერ საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით). საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით ხდება სამეურვეო საბჭოს წევრებისათვის საჯარო ხასიათის ფუნქციების დაკისრება. შესაბამისად, აღნიშნული საქმიანობის განხორციელების პროცესში, საქართველოს პარლამენტი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც კერძო დამსაქმებელი საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მიზნებისათვის. ამდენად, სამეურვეო საბჭოს წევრის თანამდებობაზე არჩევის კანონით განსაზღვრული წესი, ასევე ის გარემოება, რომ სამეურვეო საბჭოს წევრი მასზე კანონით დაკისრებულ მოვალეობას საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილების შედეგად ახორციელებს, სამეურვეო საბჭოს წევრის საქმიანობას საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლით დაცულ სფეროში აქცევს“ [3, II-20].

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით შეიძლება ჩამოვაცალიბოთ ის ძირითადი მიდგომები რომლებიც გადაწყვეტილებებში დაფიქსირდა. სწორედ ეს თეზისები ასახავს კონსტიტუციის 29-ე მუხლის ჭრილში კონსტიტუციურ-სამართლებრივ პოლიტიკას, რომელიც ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის საფუძველია.

- საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლით დაცულია:

- 1) პირის უფლება დაიკავოს სახელმწიფო თანამდებობა;

- 2) თანამდებობრივი უფლებამოსილების შეუფერხებლად განხორციელების უფლება;

- 3) პირის უფლება არ დაექვემდებაროს თანამდებობიდან უსაფძვლოდ გათავისუფლებას;

- კონსტიტუციის 29-ე მუხლი იცავს ასევე კონკრეტული თანამდებობის ფუნქციურ უწყვეტობას, რომელიც კანონმდებელს აკისრებს ვალდებულებას არ მოახდინოს საჯარო მოსამსახურის მიერ დაკავებული თანამდებობის არსის, მისი დანიშნულების მოდიფიცირება/დაკნინება იმგვარად, რომ საფრთხე შეექმნას დაკავებული თანამდებობის ფუნქციურ დატვირთვას;

- საჯარო სამსახურში დასაქმებული პირის უფლება შესაბამის ანაზღაურებაზე დაცულია კონსტიტუციის 29-ე მუხლით;

- კონსტიტუციის 29-ე მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოს, სათანადო სიცხადით და სიზუსტით გაწეროს საჯარო მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლებისათვის დადგენილი პროცედურები;

- საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლით დაცულ უფლებაში ჩარევის წინაპირობები და პროცედურა შესაძლებელია განსხვავებული იყოს თანამდებობის სპეციფიკის გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში ყურადღება ექცევა შემდეგ გარემოებებს:

- 1) თანამდებობის ლეგიტიმაციის წყარო;
- 2) თანამდებობის კონსტიტუციური სტატუსი;
- 3) კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის მოცულობა.

- არჩევითი თანამდებობების მიმართ საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლით გარანტირებული უფლების დაცულობის ხარისხი განსაკუთრებით მაღალია;

- მოსამართლის, სახალხო დამცველის, პარლამენტის წევრისა და მთავრობის წევრის (მინისტრის) სხვადასხვაგვარი ფუნქციისა და კონსტიტუციურ-სამართლებრივი როლის შესაბამისად, აღნიშნული სუბიექტები უნდა იქნენ განხილული, როგორც განსხვავებული დაცვის გარანტიებით აღჭურვილი სახელმწიფო თანამდებობის პირები;

- კონსტიტუციის 29-ე მუხლში გამოყენებული ტერმინი „სახელმწიფო თანამდებობა“ არის კონსტიტუციური ტერმინი, რომელიც უნდა განიმარტოს მისი ავტონომიური კონსტიტუციური მნიშვნელობით, რომელიც გულისხმობს პროფესიულ საქმიანობას სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში და საჯარო ფუნქციის განხორციელების მიზნით ჩამოყალიბებულ სხვა ინსტიტუციებში. კონსტიტუციის მიზნებისათვის სახელმწიფო თანამდებობა არის შრომითი ურთიერთობა, სადაც დამსაქმებელს წარმოადგენს სახელმწიფო. შესაბამისად კონსტიტუციის 29-ე მუხლით დაცული ყველა უფლება ვრცელდება ნებისმიერ იმ პირზე (პირთა ჯგუფზე), რომელიც ექცევა მოცემული განმარტების ქვეშ.

გამოყენებული ლიტერატურა

- [1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის N3/2/574 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- [2] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 19 თებერვლის №1/1/569 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- [3] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის N1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ

დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

- [4] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 ოქტომბრის N2/5/560 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნოდარ მუმლაური საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- [5] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის N2/1/572 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- [6] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის N1/4/614,616 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - გიგა ბარათაშვილი და კარინე შახპარონიანი საქართველოს თავდაცვის მინისტრის წინააღმდეგ“
- [7] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს N2/5/595 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე ნათია იმნაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- [8] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის N3/1/659 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

**Review of Georgian Constitutional Court Regarding to the Occupation of
the State Position**

Abstract

The Constitutional Court of Georgia till the recent years has not considered actually the issues in relation to the 29th Article of Constitution, relatively, correspondingly, till the year of 2014 the Constitutional Court has not formed (established) its own approaches to the right in relation to occupation of the state post. Since the year of 2014 the issue has acquired a specific importance and actuality. In footsteps of (After) the submitted suits the Constitutional Court was given a possibility as well to develop the doctrines and to show its own vision of the issue to the legislator. And that is why it is of specific importance to study even that tiny practice which is available since 1014 till present relative to this Article. With this aim the work deals with the decisions received on the suits submitted to the Constitutional Court in connection to the 29th Article of the Constitution and the considerations formed by the Constitutional Court in motivation part of these decisions. On the basis of reviewing the Court practice the specific conclusions have been received on the issue that what kind of rights and guarantees are given in the 29th Article, what kind are the limits of this right, on whom the rights protected by this Article are spread and what kind is the meaning of the terms used in the 29th Article of the Constitution.

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

სამოქალაქო ჩართულობის მეთოდები დამოუკიდებელ საქართველოში

საბჭოთა საქართველოში არჩევნები რეგულარულად, განსაზღვრული პერიოდულობით და არსებული კანონმდებლობის სრული დაცვით ტარდებოდა, ამომრჩეველთა აქტივობა აბსოლუტურ უმრავლესობას უტოლდებოდა, მაგრამ თავად პროცესს და მის შედეგებს რეალურ არჩევნებთან და დემოკრატიასთან არანაირი კავშირი არ ქონდა. მოქალაქეები არჩევნებზე დიდი ენთუზიაზმით დადიოდნენ, ეწყობოდა საერთო-სახალხო მსვლელობები, სეირნობები, კონცერტები, სპორტული და სხვადასხვა სახის კულტურული ღონისძიებები. ასე ზარ-ზეიმით ჩატარებულ არჩევნებს არ ქონდა მისი უმთავრესი ფუნქცია და შედეგი, ხელისუფლების სრულად ან ნაწილობრივ ცვლილება, უფრო მეტიც ხელისუფლების სხვადასხვა დონეზე არჩეული ადამიანების განახლება-გადახალისებაც კი იშვიათი შემთხვევა იყო. ასეთივე ენთუზიაზმით და „სიამოვნებით“ დადიოდნენ მოქალაქეები შაბათობებზე, დასუფთავების თუ გამწვანების აქციებზე, სხვადასხვა სამხედრო თუ სამოქალაქო აღლუმებზე. სწორედ ასეთი იყო სამოქალაქო ჩართულობა ტოტალიტარულ სახელმწიფოში, ნებაყოფლობითი და ამავედროულად სავალდებულო, ინიციატივა დასჯადი იყო, საკუთარი თუ სხვისი უფლებების დაცვა სიტყვითაც კი, მითუმეტეს საქმით ხანგრძლივი პატიმრობით ან კიდევ უფრო მძიმე შედეგით სრულდებოდა. ზემოთ თქმულიდან

გამომდინარე, საბჭოთა მოქალაქე შეგუებული იყო, რომ მის აზრს, პოზიციას, ინტერესებს ანგარიშს არავინ გაუწევდა, სახელმწიფო თუ სხვა ინტერესი უზენაესი იყო და ამ ინტერესებს მილიონობით ადამიანის სიცოცხლე ეწირებოდა.

თანამედროვე მსოფლიოში დემოკრატიის მშენებლობა, შენარჩუნება და განვითარება წარმოუდგენელია ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების, აქტიური, ცოდნითა და გამოცდილებით, შესაბამისი უნარ-ჩვევებით აღჭურვილი და საკუთარი სახელმწიფოს მიმართ პასუხისმგებლობით გამსჭვალული მოქალაქეების გარეშე.

აქტიური მოქალაქეობა არჩევნებში, რეფერენდუმში და პლემბისციტში მონაწილეობის მიღებიდან დაწყებული, საკუთარი თუ სხვისი კანონიერი უფლებების და თავისუფლების დაცვით გაგრძელებული, ან/და სულაც სხვადასხვა საქველმოქმედო, სოლიდარობის, დასუფთავების, გამწვანების თუ სხვა სახის აქციებში მონაწილეობით დასრულებული, მრავალმხრივი პროცესია. მოქალაქეები, როგორ წესი, სახელმწიფოს მართვას არჩევნებში, რეფერენდუმში, პლემბისციტში მონაწილეობის გზით ახორციელებენ, არჩევნიდან-არჩევნებადე პერიოდში კი, სხვადასხვა საშუალებებით: საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა, საკანონმდებლო წინადადების და პეტიციის წარდგენა, ხელმოწერების შეგროვება, საჯარო მოხელეებთან შეხვედრები, მოხალისეების და აქტივისტების მობილიზება, ადვოკატირების სხვადასხვა ფორმების გამოყენება და ა.შ.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 26 წელი გავიდა, ნელა მაგრამ სტაბილურად ვითარდება დემოკრატია, სამოქალაქო სექტორი, პოლიტიკური პარტიები, მას-მედია, სამოქალაქო კულტურა და აქტივიზმი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცესი სახელმწიფოს და საზოგადო-

ების სეროიზულ მხარდაჭერას საჭიროებს, სხვაგვარად ძალიან გართულდება დემოკრატიის სტაბილური განვითარება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ასიათასობით ადამიანი უშუალოდ მონაწილეობდა, საპროტესტო და შიმშილობის აქციები, პიკეტები და სხვა, დამოუკიდებლობის პირველ წლებში სამოქალაქო აქტივიზმი ძალიან ნელი ტემპებით ვითარდებოდა. შემდგომ წლებში პროცესები უფრო გააქტიურდა, თუმცა სამოქალაქო კულტურის განვითარებისთვის კვლავ ძალიან ბევრია გასაკეთებელი.

სამოქალაქო აქტივიზმის და კულტურის განვითარების დაბალ ტემპებს ბევრი ტრადიციული, კულტურული, რელიგიური, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზები გააჩნია, ეს ნაშრომი ამ საკითხების კვლევას შეეხება.

სამოქალაქო საზოგადოება - ცნების შინაარსი მოიცავს არასახელმწიფოებრივი ურთიერთობების მთელს ერთობლიობას - ეკონომიკურს, სოციალურს, კულტურულს (მათ შორის რელიგიურსაც). ორგანიზებული საზოგადოებრივი ცხოვრების სფერო, რომელიც ნებაყოფლობითია, თვითწარმოქმნადია, თვითგანვითარებადია, სახელმწიფოსგან ავტონომიურია და შეკრულია საკანონმდებლო წესრიგით ან გაზიარებულ წესთა ერთობლიობით.

ავტონომიური ასოციაციებისა და ჯგუფების არეალი, რომელსაც აყალიბებენ კერძო მოქალაქეები და რომელიც სარგებლობს მთავრობისგან დამოუკიდებლობით და ჩაურევლობით; სამოქალაქო საზოგადოება მოიცავს სხვადასხვა ბიზნესებს, კლუბებს, ასოციაციებს, შემოქმედებით კავშირებს, ინტერესთა ჯგუფებს, პროფკავშირებს, საქველმოქმედო და ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, ოჯახებსა და ა.შ. ის წარმოადგენს შუალედურ, ავტონომიურ ორგანიზაციას, ერთი მხრივ, სახელმწიფო ინსტი-

ტუტს, მეორე მხრივ კი, ინდივიდებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის. ის მოიცავს ნებაყოფლობითი ორგანიზაციებისა და მოძრაობების ფართო სპექტრს, რომელთაც სხვადასხვა სოციალური ინტერესები აქვთ და სხვადასხვა ტიპის ქმედებებს ახორციელებენ. სამოქალაქო საზოგადოების წიაღში მყოფი ჯგუფები, როგორებიცაა: აკადემიური ინსტიტუტები, ადამიანის უფლებათა დამცველი და პოლიტიკურ საკითხებზე ორიენტირებული არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც აქტიურ გავლენას ახდენენ სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა სფეროში მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

სამოქალაქო საზოგადოება, როგორც დემოკრატიულობის უფრო მაღალი საფეხური: საზოგადოებაში ხდება სოციალური რეგულირება საზოგადო კეთილდღეობისთვის, სამოქალაქო მონაწილეობა - პირადული ინტერესებისა და საზოგადო ინტერესებისთვის, საზოგადოების მსახურება - ნებაყოფლობითი (მოხალისეობრივი) წვლილი საზოგადოებრივი სიკეთისთვის. ამგვარ ქმედებათა ძირითადი საფუძველია ორი ღირებულება - თავისუფლება და პასუხისმგებლობა. სამოქალაქო საზოგადოების ჩასახვა, ფორმირება, განვითარება და სრულყოფა თავად სახელმწიფოს და საზოგადოების განვითარების ხარისხს, ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ რეჟიმსა და წეს-წყობილებას უკავშირდება.

სამოქალაქო ჩართულობის ფორმები:

აქტიური მოქალაქეობა მრავალი ტიპის ჩართულობას და მონაწილეობას აერთიანებს, თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოების გამოცდილებასა და მაგალითზე დაყრდნობით მოქალაქეთა ჩართულობის 7 ძირითადი ფორმა გამოიყოფა: 1. მოხალისეობრივი მუშაობა ორგანიზაციებსა და ქსელებში; 2. ღონისძიებების ორგანიზება და საქმიანობის წარმართვა თემსა და საზოგადოებისათვის; 3. არჩევნებში მონაწილეობა; 4. პოლი-

ტიკურ საქმიანობაში მონაწილეობა; 5. ინტერესის ჯგუფებში ჩართულობა; 6. მშვიდობიან პროტესტებში მონაწილეობა; 7. საჯარო დებატებში მონაწილეობა;

მოხალისეობრივი მუშაობა ორგანიზაციებსა და ქსელებში:
სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ მოხალისეობა საქართველოში არ გახლავთ პოპულარული და ისე განვითარებული როგორც დასავლურ დემოკრატიულ სახელმწიფოებში. სიტყვა „მოხალისეს“ საზოგადოებაში დემოკრატიული ღირებულების მატარებელი დატვირთვა ჯერ კიდევ არ აქვს. საქართველოში ახალგაზრდების 15 %-ია ჩართული მოხალისეობრივ საქმიანობაში. ბოლო კვლევა 2013 წელს ჩატარდა. მოხალისეობის უპრეცედენტო მაგალითი ქართულმა საზოგადოებამ 2015 წლის 13 ივნისის სტიქიის შემდეგ იხილა, როცა ქუჩაში ათასობით მოხალისე, სპეციალურ სამსახურებთან ერთად, თბილისის ქუჩების სტიქიისგან მიყენებული ზიანის აღმოსაფხვრელად გამოვიდა. ფორმალურ მოხალისეობას საქართველოში 2015 წლის დეკემბრიდან საქართველოს კანონმდებლობა არეგულირებს.

ღონისძიებების ორგანიზება და საქმიანობის წარმართვა თემსა თუ საზოგადოებაში:

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს რეგიონებში, სოფლებსა და თემებში საზოგადოების, ადგილობრივი მოსახლეობის თვითორგანიზების დონე ძალიან დაბალია. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ძალიან დაბალია მოქალაქეთა აქტივობები და ღონისძიებები.

არჩევნებში მონაწილეობა:

საპრეზიდენტო არჩევნები:

1991 წ. 26 მაისი - ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა იყო 3 594 810, ხოლო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2 978 247 (82.86 %) ამომრჩეველმა.

1991 წლის 14 აპრილს პირველად საქართველოს ისტორიაში შემოღებული იქნა პრეზიდენტის ინსტიტუტი, სახელმწიფო საპრეზიდენტო მმართველობის მოდელზე გადავიდა.

1991 წლის 26 მაისს დაინიშნა (პირველი) საპრეზიდენტო არჩევნები. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და ისტორიაში პირველი პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობა დიდი სტიმული და მოტივაცია აღმოჩნდა მოქალაქეებისთვის, შესაბამისად მათი სამოქალაქო აქტივობა ისტორიაში ყველაზე მასშტაბური იყო. ამ წლებში მოქალაქეები ძალიან აქტიურად იყვნენ ჩართულები სამოქალაქო ცხოვრებაში, დადიოდნენ მიტინგებზე, შეხვედრებზე, სხვადასხვა აქციებზე, უანგაროდ, ერთუზიანობით, რაც „ყოფილი“ საბჭოთა მოქალაქეებისგან ძალიან გასაკვირი საქციელი გახლდათ.

1995 წ. 5 ნოემბერი - ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა იყო 3 106 557, ხოლო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2 139 369 (68.86 %) ამომრჩეველმა.

2000 წ. 9 აპრილი - ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა იყო 3 088 925, ხოლო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2 343 176 (75.86 %) ამომრჩეველმა.

2004 წ. 4 იანვარი - ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა იყო 2 231 986, ხოლო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1 963 556 (87.97 %) ამომრჩეველმა.

2008 წ. 5 იანვარი - ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა იყო 3 527 964, ხოლო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1 982 318 (56.18 %) ამომრჩეველმა.

2013 წ. 27 ოქტომბერი - ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა იყო 3 537 719, ხოლო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1 648 662 (46.60 %) ამომრჩეველმა.

საპარლამენტო არჩევნები:

1992 წ. 11 ოქტომბერი - ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა იყო 3 471 866, ხოლო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2 575 197 (74.17 %) ამომრჩეველმა.

ეს არჩევნები შერეული სისტემით გაიმართა. მისი ჩატარების წესი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა სხვა არჩევნებისაგან. მაჟორიტარული საარჩევო სისტემის საფუძველზე აირჩიეს 75 დეპუტატი (ერთმანდატიანი ოლქებიდან), პროპორციული სისტემით კი (მრავალმანდატიანი ოლქები) 150 დეპუტატი. საარჩევნო ბარიერი 2% იყო. 1992 წლის არჩევნების დროს მაჟორიტარული და პროპორციული არჩევნებისათვის სხვადასხვა ოლქები იყო გამოყოფილი. პროპორციული არჩევნებისათვის შეიქმნა 10 მსხვილი მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქი. თითოეულში ამომრჩეველთა რაოდენობა 230 ათასიდან 250 ათასამდე მერყეობდა. პროპორციულ სისტემაში კენჭისყრა ხდებოდა სამბალიანი სისტემით (თითოეულ ამომრჩეველს ჰქონდა 3 ხმა). კვოტების დადგენა და ხმების დათვლა ხდებოდა მრავალმანდატიანი ოლქების დონეზე, დარჩენილი ხმები პრეფერენციის წესით ნაწილდებოდა საერთო ეროვნულ დონეზე.

1995 წ. 5 ნოემბერი - ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა იყო 3 121 075, ხოლო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2 127 946 (68.18 %) ამომრჩეველმა.

1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული კონსტიტუციის გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული იქნა 5 ნოემბრის არჩევნების ჩატარების პირობები. მასში მონაწილეობის მიღების უფლება ჰქონდა იმ პარტიასა და პოლიტიკურ გაერთიანებას, რომელიც წარმოადგენდა 50 ათასი მხარდამჭერის ხელმოწერას, ან რომელსაც ჰყავდა წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში კონსტიტუციის მიღების დღისთვის. პროპორციული სისტე-

მით არჩევნები ტარდებოდა ერთიანი პარტიული სიით. პოლიტიკურ გაერთიანებას უფლება ჰქონდა მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარედგინა დეპუტატობის ის კანდიდატიც, რომელიც მის პარტიულ სიაშიც იყო. აფხაზეთში, სეპარატისტული რეჟიმის გამო, არ დანიშნულა არჩევნები, ამიტომ აფხაზეთის დეპუტაციას უფლებამოსილება გაუგრძელდა. აფხაზეთის წარმომადგენლობა შედგებოდა 12 დეპუტატისაგან. კონსტიტუციისა და საარჩევნო კანონის თანხმად, პარლამენტის შემადგენლობა განისაზღვრა 235 დეპუტატით. 150 აირჩეოდა პროპორციული, 85 კი მაჟორიტარული წესით.

1999 წ. 31 ოქტომბერი - ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა იყო 3 143 851, ხოლო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2 133 878 (67.87 %) ამომრჩეველმა.

2003 წ. 2 ნოემბერი - ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა იყო 3 178 593, ხოლო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1 909 215 (60.06 %) ამომრჩეველმა.

2008 წ. 21 მაისი - ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა იყო 3 465 736, ხოლო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1 850 407 (53.39 %) ამომრჩეველმა.

საქართველოს პარლამენტის შემადგენლობა 2003 წელს ჩატარებული რეფერენდუმის პასუხად განისაზღვრა 150 დეპუტატით. შესაბამისი ცვლილებები კონსტიტუციაში შეტანილი იქნა ჯერ 2005 წლის 23 თებერვალს, რომლის თანახმადაც საქართველოს პარლამენტში არჩეული უნდა ყოფილიყო 100 დეპუტატი პროპორციული და 50 დეპუტატი მაჟორიტარული სისტემით. აღნიშნული ნორმა მოქმედებდა 2008 წლის 12 მარტამდე. 2008 წლის მარტში საქართველოს კონსტიტუციაში შევიდა კიდევ ერთი ცვლილება, რომლის მიხედვითაც საქართველოს პარლამენტის წევრების მანდატები გადანაწილდა შემდეგნაირად: 75 დე-

პუტატი აირჩეოდა პროპორციული და 75 – მაჟორიტარული სისტემით, 75 ერთმანდატიანი ოლქიდან. პროპორციულ სისტემაზე საარჩევნო ბარიერმა 7%–დან დაიწია 5%–მდე, ამასთან მაჟორიტარულ არჩევნებში გამარჯვებისთვის საჭირო გახდა კენჭისყრის დღეს კანდიდატს მიეღო ამომრჩეველთა სულ მცირე 30%-იანი მხარდაჭერა. იმ შემთხვევაში თუ ვერც ერთი კანდიდატი ვერ დააგროვებდა ხმების საჭირო რაოდენობას, ორი კვირის ვადაში არჩევნების მე–2 ტური უნდა დანიშნულიყო. არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება ჰქონდა იმ პარტიასა და პოლიტიკურ გაერთიანებას, რომელიც წარმოადგენდა 30 ათასი მხარდამჭერის ხელმოწერას, ან რომელსაც ჰყავდა წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში.

2012 წ. 1 ოქტომბერი - ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა იყო 3 613 851, ხოლო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2 197 243 (60.8 %) ამომრჩეველმა.

2016 წ. 8 ოქტომბერი - ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა იყო 3 513 884, ხოლო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1 814 276 (51.63 %) ამომრჩეველმა.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები:

1998 წ. 15 ნოემბერი (თბილისი) - ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა იყო 664 273, ხოლო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 258 095 (38.85 %) ამომრჩეველმა.

2002 წ. 2 ივნისი (თბილისი) -ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა იყო 634 257, ხოლო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 283 855 (44.75 %) ამომრჩეველმა.

2006 წ. 5 ოქტომბერი - ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა იყო 3 205 634, ხოლო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1 546 936 (48.25 %) ამომრჩეველმა.

2010 წ. 30 მაისი - ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა იყო 3 544 770, ხოლო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1 740 652 (49.10 %) ამომრჩეველმა.

2014 15 ივნისი - ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა იყო 3 429 748, ხოლო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1 485 372 (43.31 %) ამომრჩეველმა.

პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობა:

ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებასთან დაკავშირებული არასამთავრობო ორგანიზაციების, ასოციაციებისა და პოლიტიკურ პარტიების საქმიანობაში მონაწილეობა. მონაწილეობის სხვადასხვა ფორმები არსებობს: პოლიტიკურ დიალოგსა და დებატებში მონაწილეობა;

მშვიდობიანი პროტესტის სხვადასხვა ფორმები, მაგ. პეტიციების შემუშავება ან მათი ხელმოწერა, ხელმოწერების შეგროვება;

პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერა თავად პარტიის ან კანდიდატისათვის ფინანსური დახმარების ან საინფორმაციო/საარჩევნო კამპანიაში ჩართვის გზით; (ასეთი ჩართულობის დონე ძალიან დაბალია და ანაზრაურების გარეშე ფაქტობრივად არ ხდება).

დამოუკიდებელი გამოძიების წარმართვა ხელისუფლების ან პოლიტიკური პარტიის დარღვევების აღმოჩენისათვის; (საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა, დამოუკიდებელი ჟურნალისტური ან/და სხვა სახის გამოძიების წარმართვა).

სხვადასხვა ფორმით სამოქალაქო დაუმორჩილებლობის გამოხატვა.

ინტერესთა ჯგუფებში ჩართულობა:

სამოქალაქო საზოგადოებაში არსებული ორგანიზებული ჯგუფები, რომლებიც სახელმწიფო პოლიტიკის სხვადასხვა მი-

მართულეზაზე გავლენის მოხდენას ცდილობენ. მათი დახმარებით დემოკრატიულ პროცესში/პოლიტიკის განსაზღვრაში ჩართულია მოსაზრებათა სრული სპექტრი. ამგვარი პლურალიზმი სახელმწიფოსა და ინდივიდებს/ჯგუფებს შორის არსებული კავშირითაა განპირობებული. განასხვავებენ „შიგა“, „გარე“ და „ზეწოლის“ ჯგუფებს.

მშვიდობიან პროტესტებში მონაწილეობა:

საქართველოში ჩართულობის აღნიშნული ფორმა ძალიან პოპულარულია და საპროტესტო თუ სოლიდარობის აქციებში ხშირად მონაწილეობას ათი ათასობით მოქალაქე ღებულობს. იმართება ორგანიზებული და სპონტანური აქციები, როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში, ან პარალელურად მთელი ქვეყნის მასშტაბით. 2003 წ. „ვარდების რევოლუცია“, 2007 წ. 7 ნოემბერი, 2011 წ. 26 მაისი, 2012 წ. 29 სექტემბერი, „ეს შენ გეხება“, 2017 წ. –“თეთრი ხმაური მოძრაობა“.

საჯარო დებატებში მონაწილეობა:

ასეთი ტიპის ჩართულობა სამწუხაროდ არ გახლავთ ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა, რიგითი მოქალაქეები თავად იშვიათად ერთვებიან საჯარო დებატებში. ასევე მცირეა პეტიციების, საკანონმდებლო წინადადებების, ხელმოწერების შეგროვების, საპროექტო განაცხადების, ბიუჯეტის ან/და ინფრასტრუქტურული პროექტის განხილვებში მონაწილეობა, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა და ჩართულობის სხვადასხვა მექანიზმების გამოყენება.

დასკვნა

მსოფლიოში გავრცელებული მოქალაქეთა ჩართულობის ფორმებიდან საქართველოში ყველა გამოიყენება, მეტ-ნაკლები წარმატებით. არჩევნებში მონაწილეობა ყველაზე მასობრივ და აქტიურ ჩართულობის მექანიზმად გვევლინება, მიუხედავად ამ-

ისა ბოლო წლებში აშკარად იკლო არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობამ. 2012 წლიდან კიდევ უფრო ძლიერდება სამოქალაქო საზოგადოება და იზრდება მათ საქმიანობაში ჩართული მოქალაქეების რაოდენობა, რაც დამაიმედებელი პროგნოზის საშუალებას იძლევა. აქტიური მოქალაქეების ჩართულობის გარეშე წარმოუდგენელია საქართველოში დემოკრატიის განვითარება.

რეკომენდაციები

საქართველოში აქტიური მოქალაქის ინსტიტუტის გასამდიერებლად აუცილებელია სახელმწიფოს, ბიზნესის და არასამთავრობო ორგანიზაციების მჭიდრო თანამშრომლობა. საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან როგორც საკანონმდებლო ასევე ფინანსური მხარდაჭერა. სასურველი იქნება ბიზნესმა უფრო აქტიურად დააფინანსოს მოქალაქეთა/ჯგუფების ინიციატივები. არასამთავრობო ორგანიზაციებმა სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებისთვის მეტი რესურსები დახარჯონ, რათა მოხდეს მოქალაქეთა დაინტრესება, მოხალისეობის განვითარება და სხვა.

ბიბლიოგრაფია:

1. დამოუკიდებელ საქართველოში ჩატარებული არჩევნების დოკუმენტური მასალა, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, ნანახია, მოძიებულია 2016.05.03 <http://history.cesko.ge/PDF/1990%20-%20Geo.pdf>

2. საარჩევნო დოკუმენტაცია, სააგიტაციო მასალა, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, მოძიებულია 2015.11.05 <http://history.cesko.ge/index.html>
3. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, <http://cesko.ge/>

Vladimir Bozhadze

Georgian State Teaching University of
Physical Education and Sports

**"Civic Engagement Methods:
From voting to the public activity "
Civil engagement methods in independent Georgia**

Resume

The elections in Soviet Georgia were regularly carried out in full compliance with the existing legislation, the voter turnout was an absolute majority, but the process itself and its consequences had no connection with the real elections and democracy. Citizens were very enthusiastic about the elections and were "happy" on weekends, cleaning and greening races, various military or civilian parades. That was the civil involvement in the totalitarian state, voluntary and at the same time compulsory, the initiative was punishable by protecting the rights of one or another, even with the long-term imprisonment or even more serious consequences. Coming from the above mentioned, the Soviet citizen was adamant that his opinion, position, interests would not have been taken into the consideration, the state or other interest was supreme, and these interests were losing the lives of millions of people.

Construction, maintenance and development of democracy in the modern world is unimaginable without strong civil society, active, knowledge and experience, equipped with appropriate skills and responsible citizens.

Active citizenship is a multi-faceted process by participating in the elections, referendum and plebiscite, with the participation of the legal rights and freedoms of their own or others, and / or in various charities, solidarity, cleaning, greenery or other promotions. Citizens as a rule participate in governing of the state through their participation in

elections, referendums, plebiscite, and during the election period, through various means: requests for public information, submission of legislative proposals and petitions, collecting signatures, meeting public officials, mobilizing volunteers and activists, advocacy and etc.

26 years have passed since the announcement of the state independence of Georgia; slowly but steadily is developing democracy, civil sector, political parties, civil culture and activism, but it should be noted that this process requires serious support of the state and society, otherwise it will be difficult to stabilize democracy.

Despite the fact that hundreds of thousands of people participated in the fight for independence, protests and hunger strikes, picketing and other civil movements developed slowly in the first years of independence. The process has become more active in the following years, but there is still a lot to be done for the development of civil culture.

Large rates of civil activity and culture development have many traditional, cultural, religious, objective or subjective reasons, this work concerns the research of this task.

ენისა და განათლების როლი სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში

კომუნისტური სისტემის მარცხის შემდეგ საქართველო, ისევე როგორც ბევრი სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა, მრავალი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. ძველი პოლიტიკური ინსტიტუტების მიერ ლეგიტიმურობის დაკარგვისა და ახალი, დემოკრატიული ინსტიტუტების არ არსებობის, რთული საგარეო და საშინაო ფაქტორების, დაბალი პოლიტიკური კულტურისა და პრაქტიკულად მოშლილ ეკონომიკურ სისტემასთან ერთად საქართველოს საბჭოთა მემკვიდრეობიდან ეთნო-კონფესიური მრავალწევრიანობა და ამ ფონზე გარკვეული ფრაგმენტირებულობაც ერგო. შესაბამისად, პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სოციალურ პრობლემებთან გამკლავებასთან ერთად ქვეყნის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა იმგვარი საჯარო სივრცის შექმნაც გახდა, სადაც ქვეყნის ტერიტორიაზე მაცხოვრებელ ყველა ეთნო-კონფესიურ ჯგუფს მოცემული სახელმწიფოს მიმართ ლოიალობა და მისი თანაზიარობის შეგრძნება გაუჩნდებოდა.

დამოუკიდებლობის 20 წელზე მეტი გამოცდილების შემდეგაც კი ეთნიკური კატეგორიების სიმრავლით გამორჩეულ საქართველოს საჯარო-პოლიტიკურ სივრცესა და დისკურსს ძნელია კონსოლიდირებული, ფართო სამოქალაქო მონაწილეობაზე დაფუძნებული, აქტიური სამოქალაქო კულტურ-

რა ეწოდოს, რომელიც თავის მხრივ ფართო სოციალურ და პოლიტიკურ კონსესუსზე იქნებოდა დამყარებული. დღემდე საქართველოს პოლიტიკური კულტურა უფრო ფრაგმენტული ხასიათის და კონფლიქტოგენური ტენდენციების მატარებელია, რომელშიც მრავლადაა წარმოდგენილი პრიმორდიალური და პრემოდერნული ყაიდის სოციალ-პოლიტიკური ელემენტები, რომელნიც თავის მხრივ არც თუ მთლად შესაბამისობაშია თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობის პროცესებსა და მიზნებთან³².

რა თქმა უნდა, არსებული მდგომარეობის ჩამოყალიბებას სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებდა, რომელთა შორის გარკვეულწილად მნიშვნელოვანი წილი ალბათ პოლიტიკურ ელიტებზე მოდის. თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ მოცემული ელიტები ფუნქციონირებენ გარკვეული ისტორიული მემკვიდრეობის და არსებული სოციალ-პოლიტიკური კონტექსტის მიხედვით, რომელიც არც თუ ისე ძლიერ გვიბიძგებს წარმატებული სამოქალაქო ინტეგრაციისკენ. საქართველოში არსებულ ეთნიკურ უმცირესობებს, არა მხოლოდ სუსტი პოლიტიკური და კულტურული კომუნიკაცია აქვთ ერთმანეთთან, არამედ ეკონომიკური თვალსაზრისითაც მეტად სუსტად არიან ერთმანეთთან შეკავშირებულნი. არსებული საერთო ეკონომიკური ბაზარი არ ხდება მათი ინტენსიური შეხების, კონკურენციის და თანამშრომლობის წყარო. შესაბამისად, გასაკვირი არაა, რომ სახეზე გვაქვს ეთნი-

³² ს. დუნდუა, ზ. აბაშიძე, ეთნიკური და რელიგიური იდენტობის საკითხები და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები საქართველოში, თბილისი, გამომცემლობა ინტელექტი, 2009, გვ. 12

კურ უმცირესობათა ფაქტობრივი იზოლაციონიზმი (უმეტეს შემთხვევებში მაინც)³³.

იმის მიუხედავად, რომ საქართველოში ყველა საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყოფილია სამოქალაქო თანასწორობის ფორმალური მხარე და ქვეყანა მიერთებულია ყველა იმ ფუძემდებლურ საერთაშორისო საკანონმდებლო აქტს, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების დაცვას, საქმე არსობრივად წინ მეტად ზანტი ტემპებით მიიწევს. ფაქტია, რომ მხოლოდ ფორმალიზებული სამოქალაქო თანასწორობა ვერ უზრუნველყოფს აქტიურ სამოქალაქო ჩართულობას.

როგორც წესი, ენასა და განათლებას ერის მშენებლობის, ერის ფორმირების პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ენა და განათლება ძირითად აქტორებს წარმოადგენენ არა მხოლოდ განსხვავებულ ერებს შორის კომუნიკაციის განსამტკიცებლად, არამედ თავად ერთი სახელმწიფოს შიგნით სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესების წარმატებულობის უზრუნველყოფის საქმეშიც.

როგორც კარლ დოიჩი აღნიშნავდა, „ერის ჩამოყალიბებისთვის გადამწყვეტ წინაპირობას ეფექტიანი და ხშირი სოციალური კომუნიკაცია წარმოადგენს³⁴“, ამასთანავე, - „კომუნიკაცია, რომ იყოს ეფექტური, საჭიროა „სოციალურად სტანდარტიზირებული სიმბოლოების სისტემა“, როგორცაა ენა

³³ ს. დუნდუა, ზ. აბაშიძე, ეთნიკური და რელიგიური იდენტობის საკითხები და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები საქართველოში, თბილისი, გამომცემლობა ინტელექტი, 2009, გვ. 13

³⁴ Deutsch Karl, W, *Nationalism and Social Communication: An Inquiry into the Foundations of Nationality*, Cambridge, Massachusetts and London: MIT Press, 1966, pp.58.

და დამხმარე საშუალებები³⁵” (ანბანი, წერითი სისტემა და ა.შ.).

ღოიჩის მსგავსად, ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორიის სხვა მომხრეებიც (მაგალითად, გელნერი, ჰობსმაუმი, ფიშმანი) ხაზს უსვამენ ერის, როგორც თანამედროვე ფენომენის ჩამოყალიბებაში ენისა და განათლების როლს. ენა, ესაა ერის ფორმულირების ერთგვარი კატალიზატორი, რომელსაც, როგორც კომუნიკაციის საშუალებას უდიდესი ფუნქციონალური დატვირთვაც გააჩნია.

ამ ფონზე, სამოქალაქო ინტეგრაციის წარმატებული და სრულფასოვანი განხორციელების პროცესში ქვეყანაში ერთ-ერთ უმთავრეს დაბრკოლებად ეთნიკური უმცირესობების მიერ სწორედ კომუნიკაციის იმ უმთავრესი საშუალების არ ცოდნა მიიჩნევა, რასაც სახელმწიფო ენა ჰქვია.

კომუნისტური რეჟიმის მარცხის შემდეგ პოსტსაბჭოთა დამოუკიდებელ რესპუბლიკებისგან საქართველოს (პოლიტიკური, ეკონომიკურ თუ სოციალური მემკვიდრეობის ბევრი მსგავსების მიუხედავად) ისიც გამოარჩევა, რომ სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისგან განსხვავებით პრობლემას უქმნიდა არა ეთნიკურად რუსი მოსახლეობა და მის მიერ ქართული ენის არ ცოდნა, არამედ ეთნიკურად სრულიად სხვა – ძირითადად აზერბაიჯანული და სომხურენოვანი მოსახლეობის მიერ სახელმწიფო ენის არცოდნა.

³⁵ Deutsch Karl, W, *Nationalism and Social Communication: An Inquiry into the Foundations of Nationality*, Cambridge, Massachusetts and London: MIT Press, 1966, pp.59.

ისტორიული რეტროსპექტივა: XIX საუკუნის საქართველო – ენა და განათლება

„მამული, ენა, სარწმუნოება“ – ილიას მიერ მოკლედ და ლაკონურად გამოხატული ამ სამი უმთავრესი იდეის დაცვის ხაზზე გადიოდა როგორც თითქმის მთელი XIX საუკუნის ქართული ნაციონალური მოძრაობა, ისე ზოგადად, ქართველი ერის ფორმირების უმთავრესი შტრიხები. ქართველ ერში ამ სლოგანის გარშემო ხდებოდა ერთი მხრივ ეროვნული იდენტობის გრძნობის გაღვიძება, მეორე მხრივ კი საქართველოს სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისთვის ბრძოლაც. უფრო შორს რომ წავიდეთ ზოგადად ტერმინის - „ქართველი ერის“ დღემდე არსებობაშიც უდავოდ დიდია ამ სლოგანის იდეის გარშემო განვითარებული ქართული ნაციონალიზმის წვლილიც.

იმ პერიოდის ქართული ნაციონალიზმი აშკარად ზომიერი ხასიათისა იყო და შორს იდგა ზოგადად ნაციონალიზმისთვის ხშირად დამახასიათებელი ეთნო-კულტურულ დისკრიმინაციისგან. XIX საუკუნის ქართული ნაციონალიზმი (რომელსაც ჩვენში უფრო ხშირად ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის სახელით ვიცნობთ) იყო მეტწილად პასუხი მეფის რუსეთის მიერ განხორციელებულ აშკარა რუსიფიკაციის პოლიტიკაზე. შესაბამისად იმ პერიოდის საქართველოს (რომლის ტერმინოლოგიურ დონეზე გამოყენებაც კი აკრძალული იყო) უმთავრეს პრობლემას ეროვნული თვითგადარჩენა წარმოადგენდა და ამ თვითგადარჩენის გზაზე ერთ ერთ უმთავრეს იარაღად სწორი ლინგვისტური და საგანმანათლებლო პოლიტიკის გატარება იქცა.

XIX საუკუნის საქართველოში „საშუალო კლასის“ თითქმის ყველა წარმომადგენელმა იცოდა რუსული. იმდროინდე-

ლი ქართული ელიტა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ხშირად საუბრობდა რუსულად, რითაც ხაზი ესმებოდა მათ სოციალურ სტატუსსა და იმ ფაქტს, რომ განათლება რუსეთში ჰქონდათ მიღებული.

უმადლესი განათლების რუსეთში მიღება საქართველოში ამგვარი ტიპის სასწავლებლების არ არსებობის გამო გავრცელებული მოვლენა იყო. უმთავრეს პრობლემას იმ პერიოდში არა იმდენად უმადლესი განათლების რუსულ ენაზე და რუსეთში მიღება წარმოადგენდა, რამდენადაც საბაზისო განათლების, ე.წ. ქართულენოვანი საერო სკოლების არ არსებობა ან უკიდურესი სიმწირე. “დედა ენა ცნობილია არამც თუ უკეთეს და აუცილებელ სახსრად, რომ სკოლამ თავისი დანიშნულება აასრულოს, არამედ უპირველეს საგნადაც, რომელიც ბავშვმა უნდა შეისწავლოს და უნდა იცოდეს. მაშასადამე სკოლამ საზოგადოდ და საერომ საკუთრივ ეგ სამსახური უნდა გაუწიოს ერსა”³⁶ – ილიას და მთელი იმ პერიოდის ქართველი მოაზროვნეების მოღვაწეობის ძირითად საზრუნავს სწორედ განათლებისა და წერა-კითხვის გავრცელებაზე ზრუნვა შეადგენდა. მშობლიურ ენაზე მიღებული განათლება უნდა ქვეულიყო იმ ბაზისად, რაც შემდგომში ხელს შეუწყობდა ერთიანი ქართული თვითშეგნების, ეროვნული იდენტობის გრძნობის გაჩენასა და გამყარებას.

იმ ფონზე, როდესაც რუსულმა ხელისუფლებამ ტერმინი „საქართველოს“ აკრძალვაც კი მოინდომა და პრესაში ამ ტერმინის თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებით ჩანაცვლება მოხდა, ქართველი თერგდალეულების მიერ განხორციელებული ნაბიჯები: საკუთარი გაზეთის გამოცემა (რომელშიც

³⁶ ილია ჭავჭავაძე, პუბლიცისტიური წერილები, ტ.4, თბილისი, გამომცემლობა პალიტრა L, 2012 გვ. 63

განიხილებოდა საქართველოს ისტორიასა და კულტურასთან, თანადროულ პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემატიკასთან დაკავშირებული საკითხები), სტატიათა მთელი სერიის მიძღვნა განათლებისა და ქართული ენის სწავლების მნიშვნელობის თემაზე, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების სათავადაზნაურო ბანკების დაარსება (რომელთა მიერ გაღებული თანხის უდიდესი ნაწილი ქართული სკოლებისა და თეატრის დაფინანსებას მოხმარდა), „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ შექმნა, დაწყებითი, საერო სკოლების გახსნა თუ ქართულენოვანი სახელმძღვანელოების გამოცემა - ის მცირე ჩამონათვალია იმ საქმიანობისა, რამაც უდიდესი წვლილი შეიტანა განათლების ეროვნული სისტემის ჩამოყალიბება-განვითარების, ასევე, ქართველ საზოგადოებაში ეროვნული სულისკვეთების გაღვივებისა და ქართული იდენტობის კონსტრუირების საქმეში.

“ჭეშმარიტი განათლება განვითარებული გონების და გაწვრთნილის ზნე-ხასიათის ერთმანეთთან შეუღლებაა განუწყრელად. თუ კაცს ერთი აკლია ან მეორე, იგი განათლებული არ არის და ამიტომაც ჩვენა გვგონია, თუ სკოლას უნდა თავის დანიშნულება შეასრულოს, ეგ სწავლა - ცოდნა ზნე - ხასიათის წვრთნასაც უნდა შეურჩიოს³⁷” - წერდა ილია და ცოდნის მიღებასთან ერთად ერის, ეროვნული თვითშეგნების ფორმირების პროცესში აშკარად მიუთითებდა სკოლის ფუნქციაზე – ეზრუნა გაწვრთნილი ზნე-ჩვეულების მქონე, უპირველს ყოვლისა კარგი მოქალაქეების აღზრდაზე.

³⁷ ილია ჭავჭავაძე, პუბლიცისტიური წერილები, ტ.4, თბილისი, გამომცემლობა „პალიტრა L“, 2012 გვ. 79

მაშინდელი ქართველი ინტელექტუალები საკუთარ პოლიტიკურ პროგრამას ახორციელებდნენ მათ მიერ შექმნილი, დღევანდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით და ამით სამოქალაქო მონაწილეობის ტრადიციებს აფუძნებდნენ. ილია და თერგდალეულთა მთელი თაობა მოქმედების პრაგმატულობით გამოირჩეოდნენ და კარგად იცოდნენ, რომ ეროვნული მობილიზაციის შემთხვევაში უპირველესი სამიზნე ჯგუფი ეთნიკურად ქართველები იქნებოდნენ და რომ სხვა ეთნიკურ ჯგუფებს ქართული ეროვნული გრძნობების მიმართ არც თუ დიდი ენთუზიზმის გამოხატვა შეეძლოთ. ამიტომაც, თერგდალეულები (როგორც პირველი, ისე მომდევნო თაობა და მათ შორის ხშირ შემთხვევაში ქართველი სოციალ-დემოკრატებიც კი) ბუნებრივია არ განავითარებდნენ ისეთ იდეას, რომელიც რეალურ პრაქტიკაში ვერ იმუშავებდა და თუ იმუშავებდა, დიდი წარმატება ნამდვილად არ ექნებოდა.

იმ პერიოდის საქართველოში (და არა მარტო საქართველოში) ახალი სოციალური და პოლიტიკური კლასები, როგორც წესი, ეთნიკური შეფერილობის იყო. მაგალითად, ფინანსურად ყველაზე დაწინაურებული სომხური ბურჟუაზია, რომელიც მართალია ადგილობრივი, თბილისური წარმოშობის იყო, მაგრამ სხვა დანარჩენი ეთნიკური ჯგუფებისგან უმეტესად განცალკევებით იდგა და ხშირად მისდამი დამოკიდებულებაც უარყოფით ხასიათს ატარებდა. ამას თან ერთვის ისიც, რომ იმ პერიოდის სტატისტიკური მონაცემებით, განათლების და ცოდნის მიღების მხრივ ყველაზე დაბალი მაჩვენებელი სწორედ ეთნიკურ ქართველებს ჰქონდათ. “ჩვენი უცოდინრობა, უსწავლელობა ისე გვაბრკოლებს და გვაბორკილებს, რომ ცილობაც ვეღარ გავგიწევია ახალმო-

სულთა უცხოელთათვის. ყველაგან იგინი გვჯობიან, ყველაგან იგინი წინ გვასწრებენ, გამოსაჩენს საქმეს ხელიდან გვაცლიან“.³⁸ ის ხშირი დავაც, რომელიც მაშინდელ ქართველ ინტელექტუალებს და იგივე სომხურ ბურჟუაზიას შორის მიმდინარეობდა, სწორედ რომ სუსტი სამოქალაქო განვითარების კლასიკური გამოხატულებაა. სხვა ვითარებაში, სომხური კაპიტალი, ჩვეულებრივ ქართულ (არა ეთნიკური გაგებით) კაპიტალად უნდა გარდაქმნილიყო³⁹ და სოციალური და პოლიტიკურ ინტეგრაციის ერთ-ერთი საფუძველი გამხდარიყო.

პოლიტიკური პარტიებიც, რომელთა საშუალებით ნელ-ნელა ხდებოდა ახალი პოლიტიკური კლასის ფორმირება, უმეტეს შემთხვევებშიც ეთნიკური ხასიათისა იყო. რა თქმა უნდა იყო გამონაკლისები, როდესაც კონკრეტული პარტიის წევრები სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობისანი იყვნენ, მაგრამ როგორც წესი, პარტიული ელიტები მონოეთნიკურნი (ეს განსაკუთრებით მემარჯვენე ტიპის პოლიტიკურ დაჯგუფებებზე ითქმის, თუმცა არც მემარცხენეები განსხვავდებოდნენ მისგან დიდად) უფრო იყვნენ და რაიმე ეთნიკურ დაახლოებას ან სოლიდარობის გაჩენას ნებისთ თუ უნებლიედ ხელს არ უწყობდნენ.

1918-1921 წლების გამოცდილება

მიუხედავად საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ხანმოკლე ისტორიული არსებობისა, ეთნიკური (და არა მხოლოდ ეთნიკური) უმცირეობების საკითხი საკმა-

³⁸ ილია ჭავჭავაძე, პუბლიცისტური წერილები, ტ.4, თბილისი, გამომცემლობა „პალიტრა L“, 2012 გვ. 147

³⁹ ს. დუნდუა, ზ. აბაშიძე, ეთნიკური და რელიგიური იდენტობის საკითხები და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები საქართველოში, თბილისი, გამომცემლობა ინტელექტი, 2009, გვ. 13

ოდ აქტუალურად დადგა დღის წესრიგში. მაშინდელი საქართველოს პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები (როგორც სოციალისტური, ისე მემარჯვენე ფრთის წევრები) ეთნიკურ უმცირესობათა შემწყნარებლობას ყველა საკანონმდებლო ბაზით უზრუნველყოფდნენ. “რესპუბლიკის მცირე ერების უფლებათა” განსაზღვრას მაშინდელ ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური ძალების მხრიდან საკმაოდ დიდი ყურადღება დაეთმო და ეს ძალიან კარგად ჩანს კიდევ დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის მასალებიდან.

კონსტიტუციის მიღებამდე, საკონსტიტუციო კომისიის 1920 წლის 20 მაისის სხდომაზე ა. ჩხენკელი აღნიშნავდა: “მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული ინტერესები მთელის - სახელმწიფოსი და ნაწილის - ეროვნული უმცირესობისა: ერთის ბედნიერება მეორეს ბედნიერებაა და ერთის უბედურება - უბედურებაა მეორესათვის. აყვავება სახელმწიფოსი არის აყვავება და გამდიდრება უმცირესობისა. ეს უნდა ჰქონდეს შეგნებული ყოველ უმცირესობას, რომ ადგილი არ ექნეს რაიმე გაუგებრობასა და უნდობლობას; უმცირესობის აყვავება ჩვენი ინტერესიც არის და სწორედ საკითხის ასეთი გაშუქებიდან მოგვყავს ჩვენ მაქსიმუმი იმ უფლებათა, რომელთაც სახელმწიფო აძლევს უმცირესობას⁴⁰“. ა. ჩხენკელის, და ზოგადად, მაშინდელი ქართული პოლიტიკური ელიტის მიერ გაცხადებული “მაქსიმუმი უფლებები” იმაშიც გამოიხატა, რომ ეთნიკურმა თუ რელიგიურმა უმცირესობებმა საქართველოს კონსტიტუციაში რიგი საკითხების შესახებ სხვადას-

⁴⁰ იხ. მაცაბერიძე, მ. (1996) საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პოლიტიკური კონცეფცია, თბილისი, საქართველოს რესპუბლიკის ი. ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო საგანმანათლებლო საზოგადოება “ცოდნა” ISBN 5-89512-5, გვ. 84

ხვა პროექტი - რუსთა და სომეხთა ეროვნულმა საბჭოებმა, საქართველოში მაცხოვრებელმა ბერძნებმა, აღმოსავლეთ საქართველოს მუსლიმებმა, ამიერკავკასიის გერმანელთა კავშირმა, საქართველოში მცხოვრებმა ებრაელებმა – ყველამ საკუთარი პროექტი (სულ 7 პროექტი) წარადგინა და ყველა მათგანი საქართველოს ახლად შექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოსადმი გარკვეული უნდობლობით იყო განმსჭვალული. მიუხედავად იმისა, რომ ხშირ შემთხვევაში უმცირესობათა მიერ მოთხოვნილი უფლებების დაკმაყოფილება და მათი კონსტიტუციაში ჩადება თავისთავად კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა თავად საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობას (მაგალითისთვის რუსთა ეროვნული საბჭოს მიერ ე.წ. “ენათა თანასწორუფლებიანობის” საკითხის დღის წესრიგში დაყენებაც კმარა, რომლის ცხოვრებაში გატარების შემთხვევაში ფაქტობრივად, ქრებოდა სახელმწიფო ენის ცნება, რადგან აღნიშნული სტატუსით სარგებლობის პრეტენზია საქართველოში დაახლოებით 16-მდე ენას უჩნდებოდა). მიუხედავად ამ ყოველივესა, მაშინდელი საქართველოს მესვეურებმა შესძლეს ამ ტიპის წინაღობების გადალახვა და თან ისე, რომ ამ ფონზე არათუ არცერთი ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის უფლება არ შელახულა, არამედ პირიქით, მათთვის 1921 წლის კონსტიტუციაში ცალკე თავიც კი იქნა დათმობილი. ხოლო უმცირესობებისთვის მინიჭებული უფლებები, თავისი არსით, იმ დროისთვის პროგრესული მოვლენა იყო.⁴¹

⁴¹ იხ. მაცაბერიძე, მ. (1996) საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პოლიტიკური კონცეფცია, თბილისი, საქართველოს რესპუბლიკის ი. ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო საგანმანათლებლო საზოგადოება “ცოდნა” ISBN 5-89512-5, გვ. 92

ეს იყო პირველი შემთხვევა საქართველოს ისტორიაში, როცა ქართულ რეალობაში წარმოიქმნა თანამედროვე ტიპის ერი-სახელმწიფო. მაშინდელი კონსტიტუციონალიზმი ქმნიდა საყოველთაო თანასწორობის და საჯარო-პოლიტიკურ სივრცეში ჩართულობის ინსტიტუციონალურ საფუძვლებს. ეთნიკურ უმცირესობებს ეძლეოდათ უფლება მიეღოთ განათლება მშობლიურ ენაზე, აგრეთვე სამართალ წარმოების დროს გამოეყენებინათ მშობლიური ენა, საკუთარ ენაზე გამოეშვათ ჟურნალ-გაზეთები. აგრეთვე, მაშინდელი ქართული რესპუბლიკა, ზოგიერთი ეთნო-კონფესიური ჯგუფის მიმართ ავტონომიების შექმნასაც ითვალისწინებდა (აფხაზეთის და სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიები).

ერთი საინტერესო დეტალია დამახასიათებელი მაშინდელი კონსტიტუციისთვის. კონსტიტუციაში გაცხადებულია, რომ ლეგიტიმურობის წყარო მთელი ერია - “ხელმწიფება ეკუთვნის მთელს ერს, პარლამენტი ამ კონსტიტუციის ფარგლებში ახორციელებს ერის ხელმწიფებას”⁴². ანუ ეს იყო პირველი შემთხვევა საქართველოში, როდესაც ფორმალისებულ დონეზე უკანა პლანზეა გადაწეული საზოგადოების ეთნო-კულტურული დიფერენციაცია და უპირატესობა სამოქალაქო კუთვნილებას ენიჭება. „ერის“, როგორც ევროპული „ნაციის“ ქართული შესატყვისის მნიშვნელობა ამ შემთხვევაში არაეთნიკური კონცეფციით წარმოგვიდგება.

თანამედროვე საქართველო: გამოწვევები და პრობლემები

⁴² 1921 წლის საქართველოს კონსტიტუცია, თავი 4, მუხლი 52

პოსტსაბჭოთა საქართველოსთვის საკმაოდ მძიმე ისტორიული მემკვიდროებიდან ეთნიკური მრავალწევრიანობა და ამ ფონზე არსებული გაუცხოება ერთ-ერთ ყველაზე რთულად გადასალახავ პრობლემად და დანატოვრად იქცა. დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ტერიტორიულ თუ სხვა სახის პრობლემებთან ჭიდილის პარალელურად, ქვეყნის ხელისუფლებას ეთნომრავალწევრიანობის პრობლემის დაძლევა და მასთან მოსახლეობის შეგუება-ადაპტაცია უწევდა. გაუცხოების პრობლემაში არ ვგულისხმობთ მხოლოდ ეთნიკურ ქართველების გაუცხოებას არაეთნიკური ქართველებისადმი. გაუცხოება არანაკლები დოზით ეთნიკურ არაქართველებშიც არსებობს სატიტულო ერის მიმართ. მიუხედავად საუკუნოვანი თანაცხოვრებისა, ვერც ცარისტულმა რუსეთმა, ვერც საბჭოეთმა და ვერც დამოუკიდებელმა საქართველოს საჯარო-პოლიტიკურმა სივრცემ ვერ უზრუნველყო ეთნიკურ უმცირესობებსა და ქართველებს შორის ამ გაუცხოების სრულიად თუ არა, ნაწილობრივ აღმოფხვრა და არსებული ეთნოცენტრისტული მიდგომების შესუსტება მაინც. პირველ ორ შემთხვევაში – არც მეფის რუსეთს და არც საბჭოეთის პოლიტიკის შემქმნელებს მსგავსი რამ არც ჰქონიათ მიზნად დასახული. პირიქით, მათ მიერ განხორციელებული პოლიტიკა (სხვადასხვა დოზით და სხვადასხვა მეთოდით) გარკვეულწილად ურთიერთმეტრული დამოკიდებულების წახალისებას უფრო ემსახურებოდა, ვიდრე ინტეგრაციას და გაუცხოების აღმოფხვრას. დამოუკიდებლობის 20 წელზე მეტი პერიოდის მანძილზე სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური პრობლემის გამო ბოლომდე ვერც ქართულმა სახელმწიფომ დაძლია (მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით

რიგი ნაბიჯები ნამდვილად გადაიდგა, ამ მხრივ ჯერაც ძალიან ბევრია გასაკეთებელი) ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებით არსებული პრობლემები.

დღესდღეობით ამ მხრივ არსებული პრობლემების რამდენიმე ძირითადი მიმართულების გამოყოფაა შესაძლებელი⁴³:

1. ეთნიკურ არაქართველებში, განსაკუთრებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში (უმეტესწილად არაურბანიზებული ან ნაკლებად ურბანიზებული სივრცე), დაბალია ქართული ენის ცოდნის ხარისხი. გაეროს მიერ ჩატარებული სტატისტიკური კვლევის მონაცემებით სამცხე-ჯავახეთში მცხოვრებმა ეთნიკური სომხების 24,6%, ხოლო ქვემო ქართლში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელების მხოლოდ 16,9% ფლობს სახელმწიფო ენას. მაშინ როცა თბილისში (რაც ურბანულ ზონასთან ერთად, როგორც წესი, უმცირესობების დისპერსიულ განსახლებასაც გულისხმობს) იგივე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს შორის სახელმწიფო ენის ცოდნის მაჩვენებელი ძალიან მაღალია: ეთნიკურ აზერბაიჯანელებში - 95,6%, ხოლო ეთნიკურ სომხებში კი - 96,4%.⁴⁴

2. ქვეყანაში ზოგადად, და ამ მხრივ გამონაკლისს არც ეთნიკური უმცირესობები წარმოადგენენ, საკმაოდ მაღალია უმუშევრობის დონე. არაურბანულ

⁴³ ჩვენი კვლევის საგანს მოკემულ შემთხვევაში მხოლოდ ეთნიკური სომხები და ეთნიკური აზერბაიჯანელები შეადგენენ.

⁴⁴ საქართველოს გაეროს ასოციაცია, ეროვნული ინტეგრაციისა და ტოლერანტობის შეფასება [“National Integration and Tolerance in Georgia Assessment Survey Report”] (October 2008), გვ. 36 <http://www.una.ge/eng/artdetail.php?id=74&group=documents>.

სივრცეში უმუშევრობის კიდევ უფრო მაღალი პროცენტული მაჩვენებელია (შედარებით ურბანული სივრცისა), რის შედეგადაც თავად ქართულენოვან მოსახლეობასაც ნაკლებად უწევს საჯარო სივრცეში უმცირესობებთან შეხება. ეს კი ნაკლებად უწყობს ხელს იგივე ეთნიკური უმცირესობების ჯეროვან სამოქალაქო ინტეგრაციას.

3. კულტურული და საინფორმაციო გაუცხოება. კარჩაკეტილი კულტურული განვითარება ეთნიკურ ჯგუფთა მხრიდან ურთიერთ კულტურული მიღწევების მიმართ დაუინტერესებლობას და არაინფორმირებულობას აყალიბებს. პრაქტიკულად ერთ კულტურულ სივრცეში, კულტურულად გაუცხოებული რამდენიმე ქვეკულტურა არსებობს;

4. საკმაოდ მაღალია სამოქალაქო გაუცხოების ხარისხი. სუსტი სამოქალაქო ინსტიტუციური ქსელი არ იწვევს არასახელმწიფო დონეზე ეთნიკურ ჯგუფთა თანამშრომლობას და კერძო ინტერესთა ჯეროვან არტიკულაციას.

დღესდღეობით ეროვნული უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის ცოდნის მსგავსი დაბალი პროცენტული მაჩვენებელი და შესაბამისად, განათლების დაბალი დონე ერთ-ერთი უმთავრესი (თუმცა არა ერთადერთი) შემაფერხებელი პრობლემაა სამოქალაქო ინტეგრაციის გზაზე. დამოუკიდებლობის პერიოდიდან მოყოლებული არც გამსახურდიას მთავრობას და არც შევარდნაძის ხელისუფლებას არ გადაუდგამს ეთნიკური უმცირესობების საჯარო-პოლიტიკურ სივრცეში ჩართულობის ხარისხის ასამაღლებელად მიმართული ნაბიჯები. გამსახურდიას ხელისუფლებას ხშირად ეთნოცენტრის-

ტული პოლიტიკის გატარებაშიც ადანაშაულებენ (თუმცა არ გვეგონია მთლად მართებული იყოს მმართველობის წელიწად-ნახევრიან პერიოდში მიღებული და გატარებული ღონისძიებებით იმსჯელო ამა თუ იმ მმართველობის პოლიტიკურ კურსზე, მით უმეტეს იმ უმძიმესი საგარეო თუ საშინაო ფონის გათვალისწინებით, რომელშიც ახლად შექმნილი დამოუკიდებელი საქართველო აღმოჩნდა). შევარდნაძის პერიოდი კი ამ მხრივ სრული „უძრაობის ხანით“ ხასიათდება. ხელისუფლება არანაირად არ ზრუნავდა ეთნოუმცირესობების საჯარო-პოლიტიკურ სივრცეში ჩართულობის ასამაღლებლად და, შესაბამისად, არც განათლების დონის გაუმჯობესების კუთხით დგამდა ნაბიჯებს. შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ეთნო-პოლიტიკური ელიტები უფრო ვიწრო პოლიტიკურ ინტერესების გამტარებლები არიან, და ნაკლებად ემსახურებიან ზოგადად უმცირესობების ინტეგრაციას. უმცირესობების, როგორც პოლიტიკურად ყველაზე ადვილად მოწყვლადი ერთეულების, ხმებს საარჩევნო პერიოდში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. შესაბამისად ხელისუფლებას არ აწყობდა ეთნიკურ უმცირესობებში არც ქართული ენის ცოდნის ამაღლება და არც განათლების დონის გაზრდა, რაც ლოგიკურად მათში ინფორმაციულობის ხარისხის გაზრდას და კომუნიკაციის გაუმჯობესებას გულისხმობდა. შედეგად მიღებული ეთნოჯგუფების პოლიტიკური მანიპულირება კი გართულდებოდა და უფრო მეტ რისკთან იქნებოდა დაკავშირებული.

ამ მიმართულებით ვითარება აშკარად უკეთესობისკენ შეიცვალა ვარდების რევოლუციის შემდეგ. 2003 წლიდან მოყოლებული საქართველოს ხელისუფლების მიერ ეთნიკურ

უმცირესობებთან მიმართებით არაერთი ნაბიჯი გადაიდგა, რაც ძირითადად ორ მიმართულებას მოიცავდა.

1. ერთი მხრივ არაქართველი მოსახლეობისთვის ქართული ენის სავალდებულო სწავლება;

2. და მეორე მხრივ, ეთნიკური უმცირესობებისთვის საკუთარი ენისა და კულტურული ღირებულებების შენარჩუნებაზე ზრუნვა.

საკანონმდებლო დონეზე მოცემულმა პოლიტიკამ ასახვა ჰპოვა საქართველოს კანონში ზოგადი განათლების შესახებ, სადაც კონკრეტულად ნათქვამია: „საქართველოს მოქალაქეებს, რომლებისთვისაც ქართული ენა მშობლიური არ არის, უფლება აქვთ მიიღონ სრული ზოგადი განათლება მათ მშობლიურ ენაზე, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სავალდებულოა სახელმწიფო ენის სწავლება.“⁴⁵

მიუხედავად იმისა, რომ ეთნიკურად არაქართველების უდიდესმა ნაწილმა არ (ან ძალიან ცუდად) იცის ქართული ენა, მათი უმრავლესობა თავიანთ პოლიტიკურ სამშობლოდ მაინც საქართველოს აღიქვამს. სამცხე ჯავახეთსა და ქვემო ქართლში „სიდას“ მიერ ჩატრებული კვლევის ფარგლებში, შეკითხვაზე, აღიარებენ თუ არა საქართველოს საკუთარ სამშობლოდ და უკავშირებენ თუ არა პერსპექტივაში მას საკუთარ შემოსავლებს თუ სამსახურს, გამოკითხული რესპოდენტების 96% უპასუხა რომ საქართველოსთან აიგივებს საკუთარ-

⁴⁵ საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მე-4 მუხლის მე-3 ქვეპუნქტი, <http://www.mes.gov.ge/uploads/Licenzireba/kanoni%20zogadi%20ganatlebis%20shesaxeb.pdf>

რი თავის და ოჯახის შემოსავლებს უახლოესი 5 წლის მანძილზე⁴⁶. ვფიქრობთ გამოკითხული მოსახლეობის ასეთი მაღალი პროცენტული მაჩვენებელი, ვინც მომავალს საქართველოს უკავშირებს, (ბუნებრივია სხვა ფაქტორებთან ერთად) გარკვეულწილად იმ პოლიტიკის შედეგად უნდა იყოს, რომელიც რამდენიმე წლის წინ დაიწყო და დღემდე გრძელდება საგანმანათლებლო სფეროში.⁴⁷

2010 წლიდან ამოქმედებული კანონის თანახმად, ეთნიკური უმცირესობები ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ზოგადი უნარების ტესტებს საკუთარ (აზერბაიჯანულ, სომხურ, ოსურ და აფხაზურ) ენებზე აბარებენ. ბუნებრივია, ამან შედეგად მოიტანა არაქართულენოვანი სტუდენტების რაოდენობის ზრდა უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც თავის მხრივ ამოქმედდა 4+1 სისტემა – ჩარიცხული ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის ერთი წლის განმავლობაში ქართული ენის გაძლიერებული სწავლება. ამასთანავე, დაწესდა კვოტირების სიტემაც, რომლის ფარგლებშიც განისაზღვრა უმცირესობების ის რაოდენობა, რომელიც ამ საშეღავათო პოლიტიკის ფარგლებში განაგრძობდა სწავლას. (ეს მაჩვენებლები ასე გადანაწილდა: აზერბაიჯანულ და სომხურენოვანი ტესტების ჩაბარების შედეგად ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მისაღები სტუდენტების საერთო რაოდენობის 5-5%. ხოლო

⁴⁶ <http://tolerantoba.ge/index.php?id=1281619861&kat=316>

⁴⁷ სამწუხაროდ რამდენიმე წლის წინანადელი მონაცემები ანალოგიური ტიპის გამოკითხვაზე არ არსებობს, რაც საშუალებას მოგვცემდა ერთმანეთთან შეგვედარებინა პროცენტული მაჩვენებლები. არც სიღას მიერ მოყვანილი კვლევის ფარგლებში არ დასმულა კითხვა, რომელიც დაგვეზარებოდა რესპოდენტების ამგვარი დამოკიდებულების განმაპირობებელი ფაქტორების განსაზღვრაში. შესაბამისად, ჩვენს მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ განათლებისა და ქართული ენის სწავლების კუთხით მიმართულმა პოლიტიკამ განაპირობა გარკვეულწილად მსგავსი ხედვა, ვერ იქნება გამყარებული რომელიმე კვლევის შედეგებით.

ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი სტუდენტების – 1-1%). მსგავსი პოლიტიკის შედეგად ბოლო წლების მანძილზე იმატა იმ არაქართველ სტუდენტთა რაოდენობამ, რომლებიც სწავლას საქართველოს უმაღლესეობში აგრძელებენ. ეს ფაქტი, თავისთავად, დადებით მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა ამასთან დაკავშირებით გვაქვს გარკვეული მოსაზრებები.

1. კვოტირების სისტემა, ჩვენი მოსაზრებით, დროის გარკვეულ მონაკვეთზე შეიძლება მისაღები აღმოჩნდეს. თუმცა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ამ სისტემის მოქმედება არ მიგვაჩნია მართებულად. ზოგადად, კვოტირების სისტემა ყველა ქვეყანასა და ყველა ტიპის ჯგუფთან მიმართებით ფართოდ დანერგილი პრაქტიკაა თანამედროვე მსოფილოს პოლიტიკურ სისტემებში. თუმცა, ამ სისტემას თავის დადებით ეფექტებთან ერთად უარყოფითი მხარეებიც აქვს. საქართველოს შემთხვევაში, ვფიქრობთ, არსებობს ალბათობა იმისა, რომ ერთი მხრივ ამან შედეგად მოგვცეს ისეთ პრესტიჟულ ფაკულტეტებზე კვოტირებულთა კონცენტრაცია, სადაც სტუდენტთა სიჭარბე ისედაც თვალშისაცემია, ხოლო სხვა, ნაკლებად პრესტიჟულ ფაკულტეტებზე კი კვლავ კადრების დეფიციტის ალბათობა არსებობდეს. თუმცა, აქვე გასათვალისწინებელია სულ ახლახანს ამ მიმართულებით სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯებიც – კერძოდ კი, თანამედროვე რეალობის საქართველოში რიგი ნაკლებ პოპულარული პროფესიების სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსება, რაც თავისთავად გამოიწვევს მოცემულ ფაკულტეტებზე (14 სპეციალობა სულ) სტუდენტთა რაოდენობის ზრდას.

2. მეორე მხრივ, არსებობს მოსაზრებაც იმის თაობაზე, რომ ქართულ ენაზე ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უნარებ-

ის ტესტების ჩაბარების ვალდებულობის მოხსნის პირობებში, შესაძლოა ეთნიკურ არაქართველებს, რომლებსაც სახელმწიფო აძლევს საშუალებას საკუთარ ენაზე ჩააბარონ ერთიანი ეროვნული გამოცდები, შეუმცირდეთ ქართული ენის შესწავლის მოტივაცია.⁴⁸ მსგავსი მოსაზრება ვფიქრობთ ნაკლებად მართებულია, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის შემთხვევაში (მიუხედავად იმისა, თუ რა ენაზე აბარებენ ეთნიკური უმცირესობები ეროვნულ გამოცდებს, სწავლის გაგრძელება სახელმწიფო ქართულ ენაზე უწყევთ. შესაბამისად, ვფიქრობთ, გრძელვადიანი ინტერესების მართებული გააზრების პირობებში, ეთნიკური უმცირესობები მშვენივრად გააცნობიერებენ, რომ სასკოლო დონეზე სახელმწიფოს მიერ საგანმანათლებლო პოლიტიკის განხორცილება და მათი ამ პროგრამებში აქტიური ჩართულობა ისევ და ისევ მათ ინტერესებს ემსახურება, როგორც ყოველდღიური ურთიერთობების გაუმჯობესების კუთხით, ასევე უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელების, განათლების მიღების და, შესაბამისად, საჯარო-პოლიტიკურ სივრცეში უკეთ ჩართულობის კუთხითაც. ამ მოსაზრებას კიდევ უფრო გვიმყარებს ნაშრომზე მუშაობის პროცესში ჩატარებული კვლევის შედეგები⁴⁹.

კვლევის ფარგლებში ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუება ეთნიკურად აზერბაიჯანელ და სომეხ რესპოდენტებ-

⁴⁸ განათლების პოლიტიკის ახალი ინიციატივები სამოქალაქო ინტეგრაციის კონტექსტში, მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, პოლიტიკის ანგარიში, 2010, გვ.5

⁴⁹ გამოკითხულ იქნა 10-10 ეთნიკური სომეხი და აზერბაიჯანელი. ინტერვიუების ჩატარებაში დიდი დახმარება გაგვიწია ილიას უნივერსიტეტის მაგისტრატურის სტუდენტმა, ბექა ბაღაშვილმა., რომელიც ამავდროულად საგანმანათლებლო პოლიტიკის ფარგლებში არის ქართული ენის მასწავლებელი დმანისში, სოფ ჯანდარაში.

თან (მარნეული-დმანისი და ახალციხე-ახალქალაქის რეგიონებში). ინტერვიურების შედეგების გაშიფვრისას გამოიკვეთა ორი ძირითადი პრობლემა:

1. არასაკმარისია საათების ის რაოდენობა, რაც სკოლებში ქართული ენის შესწავლას ეთმობა. გამოკითხულთა უმრავლესობა თვლის, რომ შედეგის მისაღწევად აუცილებელია ქართული ენის სწავლების კურსის კიდევ უფრო გაძლიერება;

2. არასაკმარისია არასასკოლო სივრცეში, ყოველდღიურ ურთიერთობების დონეზე ქართველებთან შეხების ინტენსივობა. შესაბამისად, გამოიკვეთა რამდენივე ვერსიაც, თუ რითია შესაძლებელი ამ პრობლემის გადაჭრა, მათ შორის შეიძლება გამოვყოთ, მაგალითად, სავალდებულო სამხედრო სამსახური, სადაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს საშუალება ექნებათ ქართველებთან ურთიერთობის, ასევე პატრიოტთა ბანაკების ტიპის პროექტების გაფართოება.

მიუხედავად ამისა, გამოკითხული მოსახლეობა ცალსახად დადებითად აფასებს ქართული ენის სწავლების კუთხით გატარებულ პოლიტიკას და მიიჩნევს, რომ ამ მხრივ საქმე უკეთესობისკენაა შეცვლილი.

დასკვნა

ენა ხშირად მხოლოდ კომუნიკაციის იარაღად აღიქმება, თუმცა ლინგვისტური ჯგუფები, იცავენ რა თავიანთ ენას, სულაც არ (ან ძალიან ნაკლებად) გულისხმობენ „კომუნიკაციის იარაღის” დაცვას; ამ შემთხვევაში ისინი იცავენ საკუთარ ეროვნულ იდენტობას, კულტურას და ავტონომიურ ინ-

სტიტუტებს. ენა, ცხადია, წარმოადგენს კომუნიკაციის ძირითად საშუალებას, თუმცა, ამასთან ერთად, ენა მჭიდროდ არის დაკავშირებული ეროვნულ იდენტობასთან და კულტურულ ასპექტებთან. სწორედ ენის ფაქტორი განსაზღვრავს ერის ჩამოყალიბების პროცესს და ხელს უწყობს მის შემდგომ ფორმაციას. ჩვენს მიერ სტატიაში მოყვანილი და განხილული მაგალითები კიდევ ერთი ნათელი დასტურია იმისა, რომ ენა და განათლება უდიდეს როლს თამაშობენ როგორც ზოგადად ერად ქმნადობის პროცესში, ასევე ინტეგრაციისა და კომუნიკაციის გაძლიერების საქმეშიც.

ჩვენს მიერ კვლევის პროცესში შესწავლილი მაგალითებისგან საქართველოს ეთნო უმცირესობების, მათი განსახლებისა და ზოგადად, წარმომავლობის გათვალისწინებით, რიგი ფაქტორები გამოარჩევს და, შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლების მიერ ამ კუთხით გატარებული საგანმანათლებლო პოლიტიკაც თვისებრივად განსხვავდება ბალტიისპირეთისა და უკრაინის შემთხვევებისგან. ბალტიის ქვეყნების (უფრო კონკრეტულად კი ლატვიასა და ესტონეთის) მიერ ამ მიმართულებით გატარებული პოლიტიკა ნაკლებად ისახავდა მიზნად ეთნიკური უმცირესობებისთვის ადგილობრივი, სატიტულო ენების სწავლებას და ამით საჯარო-პოლიტიკურ სივრცეში მათი (ეთნიკური რუსების) ინტეგრირების პროცესის ხელშეწყობას, ხოლო უკრაინაში კი უკრაინული ენის წინ წამოწევა უფრო მეტად უკრაინული ეროვნული იდენტობის გამყარებას ემსახურებოდა და თავად ეთნიკურ უკრაინელებში უფრო ისახავდა მიზნად „უკრაინიზაციის“ პროცესის განხორციელებას, ვიდრე ეთნიკურ არაუკრაინელებში. საქართველოს მაგალითი თვისებრივად სხვაა.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში, ნაკლებად იდგა ქართული იდენტობის პრობლემა. ქართულ ენას, როგორც უმთავრეს საკომუნიკაციო საშუალებას, საჯარო თუ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, განსხვავებით ბევრი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკისგან, არასდროს დაუკარგავს მოსახლეობაში გავლენა (ბუნებრივი, უპირველეს ყოვლისა ეთნიკურ ქართველებს შორის ვგულისხმობთ, თორემ ზოგად საჯარო-პოლიტიკურ სივრცეში რუსული ენით ოპერირება სრულიად თავისუფლად შესაძლებელი, დასაშვები და მოწონებულ-წახალისებული იყო კიდევ საბჭოთა ხელისუფლების მიერ). ეთნიკურ ქართველებში ნაკლებად გავრცელებული და დამკვიდრებული იყო პირად თუ ნებისმიერი ტიპის არაფორმალურ ურთიერთობებში არაქართული ენის (ამ შემთხვევაში რუსულის) გამოყენება. ალბათ ამ რეალობას ასახავს ის ფაქტიც, რომ ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი საბჭოთა პერიოდშიც არ დაუკარგავს (მიუხედავად ამ მიმართულებით გაკეთებული მცდელობისა). ამასთანავე, საქართველოს, უმცირესობების სახით იმგვარი ეთნიკური ჯგუფების მემკვიდრეობა ერგო, რომელთათვისაც თავად არ ყოფილა რუსული მშობლიური ენა, მიუხედავად მათი მხრიდან რუსულის ფლობის ხარისხის განსხვავებულობისა, ის მათთვის არ იყო მშობლიური ენა. განსხვავებით არაერთი პოსტსაბჭოთა რესპუბლიკისგან (მაგალითად ბალტიისპირეთის ქვეყნები), საქართველოს ხელისუფლებამ ქართული ენის უმცირესობებისთვის სწავლების გზით, სამოქალაქო ინტეგრაციის და სამოქალაქო სივრცეში მათი აქტივობის გაზრდა დაისახა მიზნად. სხვა საკითხია, თუ რამდენად წარმატებული იყო ამ მხრივ გადადგმული ნაბიჯები.

ბოლო პერიოდამდე ქართული პოლიტიკური ისტე-
ლიშმენტი მეტად ფრთხილობდა ეთნიკურ პოლიტიკასთან
მიმართებაში და მისი მხრიდან ამ მიმართულებით გაუბედა-
ობაც საკმაოდ ხშირი იყო. მიუხედავად ბოლო წლებში გან-
ხორციელებული ცალკეული პროექტების და მცდელობებისა,
ძნელია მაინც იმის თქმა, რომ ქართული სახელმწიფო თან-
მიმდევრულ და ეფექტურ პოლიტიკას აწარმოებს მისი ეთნო-
რელიგიური მრავალწევრიანობისგან გამოწვეული პრობლემე-
ბის გადასალახად. მართალია ამ თვალსაზრისით, უკანასკნელ
ხანებში გაჩნდა გარკვეული პოზიტიური ძვრები (მაგალითად
ტოლერანტობის და სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფციის
შემუშავება და მის საფუძველზე განხორციელებული ზოგი-
ერთი პროგრამა, პასპორტებიდან საბჭოური ყაიდით ეთნიკუ-
რი კუთვნილების დაფიქსირების ამოღება, გარკვეული საგან-
მანათლებლო პროგრამების განხორციელება, ერთიან ეროვ-
ნულ გამოცდებზე უნარების ტესტების უმცირესობების ენაზე
ჩაბარება, კვოტირების სისტემი დანერგვა და ა.შ), მაგრამ მო-
ცემული მცდელობები მაინც ფრაგმენტული ხასიათისაა და
არ შეიძლება მას ეწოდოს კარგად რეფლექსირებული და
ფორმირებული ერთიანი პოლიტიკა, რომელიც უახლოეს მო-
მავალში ეფექტურ და სწრაფ ცვლილებებს მოიტანს სამოქალ-
აქო ინტეგრაციის თვალსაზრისით. კომპაქტურად ეთნიკუ-
რი ჯგუფები (დისპერსიულად განსახლებული ეთნიკური უმ-
ცირესობების შემთხვევაში საქმე უკეთაა) ძალიან სუსტად არ-
იან ინტეგრირებულნი ერთიან სამოქალაქო-პოლიტიკურ
სივრცეში და პრაქტიკულად არ მონაწილეობენ პოლიტიკური
ინსტიტუტების და სახელმწიფოებრიობის მშენებლობის პრო-
ცესში. ეთნიკური უმცირესობები, მაღალ პოლიტიკურ ეშელ-
ონებში მიღებული გადაწყვეტილებების პასიური მიმდებნი

უფრო არიან, ვიდრე პოლიტიკური დღის წესრიგის ჩამოყალიბების აქტიური მონაწილენი, რომელნიც მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობის და თვითშეგნების სულისკვეთებით იქნებიან გამსჭვალულნი.

თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეთნიკური უმცირესობებისთვის ენის სწავლების კუთხით გატარებული პოლიტიკა საკმაოდ გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი და ბუნებრივია, მისი შედეგები თვალშისაცემი მყისიერად ვერ გახდება. ენის სწავლებას და ქართულ ენაზე განათლების მიღებას წლები სჭირდება. შესაბამისად, სახელმწიფო ენის თავისუფლად მცოდნე, ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ცოდნამიღებული თაობები შემდგომში იქნება ერთ-ერთი გარანტი და ხელისშემწყობი ფაქტორი (ერთ-ერთი, რამეთუ მხოლოდ ქართული ენის ცოდნა არსებულ პრობლემათა მრავალფეროვან სპექტრს ვერ გადაჭრის) იმისა, რომ საჯარო-პოლიტიკურ სივრცეში ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია წარმატებული და საფუძვლიანი იქნება.

ბიბლიოგრაფია

1. დუნდუა ს, აბაშიძე ზ, ეთნიკური და რელიგიური იდენტობის საკითხები და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები საქართველოში, თბილისი, გამომცემლობა ინტელექტი, 2009

2. განათლების პოლიტიკის ახალი ინიციატივები სამოქალაქო ინტეგრაციის კონტექსტში, მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, პოლიტიკის ანგარიში, 2010

3. მაცაბერიძე, მ. (1996) საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პოლიტიკური კონცეფცია, თბილისი, საქართვე-

ლოს რესპუბლიკის ი. ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო საგანმანათლებლო საზოგადოება “ცოდნა” ISBN 5-89512-5

4. მეხუზლა სალომე, ედინ როშე, განათლების რეფორმა და ეროვნული უმცირესობები საქართველოში, ECMI-ის სამუშაო მოხსენება #46, სექტ. 2009

5. ჭავჭავაძე ილია, პუბლიცისტური წერილები, ტ.4, თბილისი, გამომცემლობა პალიტრა L, 2012

6. საქართველოს გაეროს ასოციაცია, ეროვნული ინტეგრაციისა და ტოლერანტობის შეფასება [“National Integration and Tolerance in Georgia Assessment Survey Report”] (October 2008) <http://www.una.ge/eng/artdetail.php?id=74&group=documents>.

7. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მე-4 მუხლის მე-3 ქვეპუნქტი, <http://www.mes.gov.ge/uploads/Licenzireba/kanoni%20zogadi%20ganatlebis%20shesaxeb.pdf>

8. 1921 წლის საქართველოს კონსტიტუცია, თავი 4, მუხლი 52

9. Deutsch Karl, W, *Nationalism and Social Communication: An Inquiry into the Foundations of Nationality*, Cambridge, Massachusetts and London: MIT Press, 1966, pp.58.

11. <http://tolerantoba.ge/index.php?id=1281619861&kat=316> (მოდიებულია 2015 . 10.11)

The Role of Language and Education in The Process of Civil Integration

Resume

Language is often perceived just as a communicational tool but linguistic groups adhering their language do not mean at all (or very little) to protect “communication tool”; in this case they are protecting their own national identity, culture and autonomous institutions. Language, of course, is the main means of communication but, in addition, language is closely related to the national identity and cultural aspects. Exactly the language factor determines the process of nation formation and facilitates its further formation.

After the independence in Georgia there was not (or very little) the problem of identity. Georgian language, as the main means of communication whether in various fields of public or social life, unlike many of the former Soviet Union countries, has never lost the sight of impact in the population (naturally, first of all we mean ethnic Georgians, but in the general public-political environment operating with the Russian language was entirely freely available, acceptable and approved-encouraged by the Soviet government). Within ethnic Georgians it was less widespread and deep-rooted in private or any type of informal relations to use a non-Georgian (in this case Russian) language. Perhaps this reality is reflected in the fact that the Georgian language has not lost the status of the official language even in the period of the Soviet Union (in spite of the efforts made in this direction). Unlike much of the post-Soviet republics, the Georgian

government, by the way of teaching Georgian language to the minorities, set as a goal to increase their civic integration and activity in the civic space. Another question is how successful were the steps taken in this regard.

Until recently Georgian political establishment was very cautious with the ethnic politics and indecision in this regard was also quite often. Despite the individual projects and efforts carried out in recent years, it is still difficult to say that the Georgian government has consistent and effective policies in order to overcome problems caused by its ethno-religious multi-member. Although in this sense recently there are some positive trends (for example, development of the concept of tolerance and civic integration and some programs realized on the basis of it, removing from passports the fixation of ethnic in a Soviet-style, holding certain educational programs, tests of the skills on the Unified National Examinations on the languages of minorities, establishment of the quota system, etc.) but the given efforts have still fragmented character and they cannot be called well-formed reflexive and formed coherent policy that in the near future will bring rapid and effective changes in terms of civic integration.

Predominantly ethnic groups (there is a better picture in the case of disperse settled ethnic minorities) are very poorly integrated into the general public-political space and practically do not participate in the process of building political institutions and the state. Ethnic minorities are the passive recipients of the decisions taken in high political echelons rather than active participants in the development of the political agenda, who will be imbued with a high sense of civic responsibility and the spirit of self-consciousness. However, it should be also noted that the policy in the field of language teaching to the ethnic minorities is aimed at long-time

perspective and naturally its results cannot be immediately apparent. Accordingly, the generations who will know the state language fluently, who will be educated in Georgian educational space in the future will be one of (one of, because only knowledge of the Georgian language cannot solve the diverse range of problems) the guarantors and contributing factor of the fact that the integration of the ethnic minorities in the public-political space will be successful and well-grounded.